

სოციალური და ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტი
The Institute for Social and Economic Studies

პაატა ლეიაშვილი

ფული, კრედიტი და ბანკები:
ილუზია და რეალობა

გამომცემლობა „სიახლე“

თბილისი, 2017

UDC (უაკ) 33.671 + 33.677

ლ-40

პაატა ლეიაშვილი. ფული, კრედიტი და ბანკები: ილუზია და რეალობა. თბილისი. გამომცემლობა „სიახლე“. 2017, გვ. 106.

ნაშრომში განხილულია ფულის, კრედიტის და საბანკო სისტემის პრობლემები თანამედროვე ეკონომიკაში. ეკონომიკურ სახელმძღვანელოებში ეს პრობლემები არ არის სწორად ასახული, რის გამოც ეკონომიკური პროფილის სტუდენტთა მთელი თაობები ამთავრებენ უნივერსიტეტებს არასწორი წარმოდგენებით თანამედროვე საბანკო სისტემის ფუნქციონირების შესახებ. ეს პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2008 წლის კრიზისის შემდეგ, რომლის პროვოცირებაშიც დიდი როლი ითამაშეს ფინანსურმა სექტორმა, კომერციული ბანკების საკრედიტო ექსპანსიამ. ქართული საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა პრაქტიკულად არაფერი იცის საბანკო სექტორში მიმდინარე რეალური პროცესების თაობაზე და იმ პრობლემების შესახებ, რომელსაც ისინი ბადებენ ეკონომიკის რეალურ სექტორში. წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყოს ამ ინფორმაციის დეფიციტის აღმოფხვრას და დაეხმაროს მკითხველს გაერკვას ამ საკითხებთან დაკავშირებული არასწორე ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადში.

ნაშრომი განკუთვნილია მეცნიერთანამშრომლების, ეკონომიკური ფაკულტეტების ლექტორების და სტუდენტებისთვის, აგრეთვე პოლიტიკოსებისთვის და ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რეცენზენტები:

ნოდარ ჭითანავა- ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

როზეტა ასათიანი - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ISBN 978-9941-9377-3-6

© პ. ლეიაშვილი, 2017;

© გამომცემლობა „სიახლე“, 2017.

პაატა ლეიაშვილი

ფული, კრედიტი და ბანკები:
ილუზია და რეალობა

შინაარსი

წინასიტყვაობა	6
შესავალი	13
I თავი. ფულის მულტიპლიკატორის მოდელი	17
II თავი. თანამედროვე საბანკო სისტემა	23
2.1. როგორ იქმნება ფული?	23
2.2. როგორ ხდება გადახდა?	32
III თავი. საპროცენტო განაკვეთი	40
3.1. კრედიტების განაწილება	40
3.2. მარადიული ვალი	43
IV თავი. არასტაბილურობა და კრიზისები	45
4.1. საფინანსო სექტორის ზრდა	45
4.2. „ფინანსური არასტაბილურობის ჰიპოთეზა“	49
V თავი. ფულის თეორია	53
5.1. სასაქონლო ფულის თეორია	55
5.2. საკრედიტო ფულის თეორია	57
5.3. „იგავი იუველირის შესახებ“	62
VI თავი. ფულის მასის გაზომვა	72
6.1. ფულადი აგრეგატები	72
6.2. ფულის მიმოქცევის სიჩქარე	76
VII თავი. ფულის რაოდენობრივი განტოლება	79
VIII თავი. შემოთავაზებული რეფორმები	85
დასკვნა	97
გამოყენებული ლიტერატურა	104

„როდესაც საზოგადოებში ერთად მცხოვრები ადამიანებისთვის მარცვა ხდება ცხოვრების წესი, დროთა განმავლობაში ისინი თავისთვის ქმნიან ისეთ სამართლებრივ სისტემას, რომელიც აძლევს მათ ამის კეთების უფლებას და ისეთ ზნეობრივ კანონებს, რომლებიც იწონებენ ამას.“

ფრედერიკ ზასტია, 1801 – 1850, ინგლისელი ეკონომისტი.

წინასიტყვაობა

მონეტარული პოლიტიკა, ვერ იქნება ეფექტური იქამდე, სანამ ეფუძნება მცდარ თეორიას. იმის გაცნობიერება, რომ ნეოკლასიკური თეორია და მასზე დაფუძნებული მონეტარული პოლიტიკა ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს, სულ უფრო ცხადი ხდება მსოფლიოში პროგრესულად მოაზროვნე ეკონომისტებისთვის. სამწუხაროდ საქართველოში თითქმის ერთი-ერთზე ხდება იმ პოლიტიკის კოპირება, რაც წარუმატებელია თვით დასავლეთშივე. თითქმის სამი ათწლეულია ვატარებთ რეფორმებს „ვამინგტონის კონსენსუსის“ რეცეპტებით, მაგრამ ქვეყანა ისევ უმძიმეს მდგომარეობაშია. ამ ათწლეულების მანძილზე ეკონომიკურ მეცნიერებაშიც დაიბადა ახალი პროგრესული იდეები და თვით ეკონომიკაშიც მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, მაგრამ ეკონომიკური პოლიტიკის ხედვაში არსებითად არაფერი შეცვლილა.

კორუფცია, თაღლითობა, ძალადობა და მარცვა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 90-იანი წლებში და დაიწყო „შოკური თერაპიით“, პრივატიზაციით, სახელმწიფო ვალების მითვისებით და

შემდეგ „ამნისტიის შესახებ კანონით“ ხალხის მძარცველებისთვის ნაძარცვის დაკანონებით, გრძელდება დღემდე და გახდა ჩვეულებრივი მოვლენა. და ეს გრძელდება თითქმის 30 წელია. როგორც მე-19 საუკუნის ინგლისელი ეკონომისტი ფრედერიკ ბასტია წერდა: „როდესაც საზოგადოებში ერთად მცხოვრები ადამიანებისთვის ძარცვა ხდება ცხივრების წესი, დროთა განმავლობაში ისინი თავისთვის ქმნიან ისეთ სამართლებრივ სისტემას, რომელიც აძლევს მათ ამის კეთების უფლებას, და ისეთ ზნეობრივ კანონებს, რომლებიც იწონებენ ამას.“ (ფრედერიკ ბასტია, 1801 – 1850.) საქართველოში შექმნილი მდგომარეობა ადასტურებს ამ სიბრძნეს.

რაც უფრო დიდი ხნით გაიწელება ეკონომიკური რეფორმები, მით უფრო გაძნელდება მათი წარმატებით რეალიზება. და მართლაც, გარდა იმისა, რომ კორუფცია, თარღითობა და ძარცვა უკანონოდ ახდენენ სიმდიდრის და შემოსავლების გადანაწილებას და ხელს უწყობენ საზოგადოების უკიდურეს პოლარიზაციას მდიდრებად და ღარიბებად, ამასავე, უკვე კანონიერად, აკეთებს სახელმწიფოს ულტრა-ლიბერალური პოლიტიკა. ამ პოლიტიკის შედეგად საზოგადოების მცირე ნაწილი სულ უფრო და უფრო მდიდრდება უმრავლესობის ხარჯზე. ამიტომ საზოგადოებაც და მისი ინტერესებიც გაიყო ორ დაპირისპირებულ მხარედ. ის რაც აწყობს ერთ მხარეს - არ აწყობს მეორეს. ამიტომ, როდესაც ვამბობთ, რომ ეკონომიკური პოლიტიკა არაეფექტიანია, საჭიროა დავაზუსტოთ - „არაეფექტიანია ვისთვის?“. და პასუხიც ცხადია. პასუხს იძლევა თვით ამ პოლიტიკის შედეგები. ამიტომ ამ ეკონომიკური პოლიტიკის ძირეულად შეცვლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების უმრავლესობისთვის, მაგრამ იგი არ შედის საზოგადოების გარკვეული ჯგუფის ინტერესებში. მართალია, ეს საზოგადოების ძალზე მცირე ნაწილია, მაგრამ, სწორედ ამ ჯგუფშია კონცენტრირებული ეკონომიკური და პოლი-

ტიკური ძალაუფლება და მათზე დამოკიდებული ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარება.

ამასთან, ულტრალიბერალური პოლიტიკა და საბაზრო ძალების გათავისუფლება ცხადდება ეკონომიკის განვითარების და საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლების უმთავრეს პირობად. ანუ, იგი ემსახურება მთელი საზოგადოების ინტერესებს. ამ იდეებს, რომლებიც ეფუძნება ნეოკლასიკური თეორიის მცდარ დოგმებს, თავს ახვევენ საზოგადოებას ეკონომიკური განათლების სისტემის და მასმედიის მეშვეობით. ხოლო ამ პოლიტიკის რეალური შედეგები არის შემოსავლების გადანაწილება მდიდარი უმცირესობის სასარგებლოდ, რაც, თავის მხრივ, იწვევს ეკონომიკური განვითარების ბლოკირებას. ეს პოლიტიკა აწყობს მდიდარ უმცირესობას და ეწინააღმდეგება მთლიანად საზოგადოების ინტერესებს. შედეგები დიამეტრალურად განსხვავდება დეკლარირებული მიზნებისაგან.

სოციალური უსამართლობა ბადებს უამრავ სხვა პრობლემას: შიდაპოლიტიკურ არასტაბილურობას, საზოგადოების ზნეობრივ დეგრადაციას, კრიმინოგენურ გარემოს, საზოგადოების აპათიას, უიმედობას და ა.შ. ეს თავისთავად უმძიმესი პრობლემებია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეკონომიკური პოლარიზაცია პირველ რიგში პრობლემებს ქმნის თვით ეკონომიკაში. შემოსავლების პოლარიზაციის პირობებში ერთობლივი მოთხოვნა მცირდება, რაც იწვევს მშპ-ს ვარდნას. ეს გამოწვეულია იმით, რომ მდიდარი უმცირესობა მოიხმარს თავისი შემოსავლების მხოლოდ მცირე ნაწილს და დანარჩენს ზოგავს და ახდენს მის კაპიტალიზაციას. ხოლო საზოგადოების უმრავლესობას, აღარ რჩება საკმარისი შემოსავლები საქონლის და მომსახურების შესაძენად, რომელიც იწარმოება ქვეყანაში.

საქმე იმაშია, რომ საქონლის და მომსახურების წარმოების პროცესში იქმნება ის შემოსავლები, რომლითაც შესყიდული უნდა იქნას ეს საქონელი. მაგრამ, თუ შემოსავლების უკიდურესად უთა-

ნაბრო განაწილების გამო, მდიდარი უმცირესობის შემოსავლების მნიშვნელობანი ნაწილი არ ხმარდება წარმოებული პროდუქციის შექმნას და გაედინება წარმოების სფეროდან (საფინანსო სექტორში, უძრავი ქონების ბაზრებზე, საზღვარგარეთ ოფშორებში და ა.შ.), მაშინ დარიბი უმრავლესობის შემოსავლები აღარ ყოფნის წარმოებული საქონლის რეალიზებას. ერთობლივი მოთხოვნა ეცემა და იწვევს მშპ-ს ვარდნას. ხდება ეკონომიკის თვითბლოკირება და აუცილებელი ხდება მოთხოვნის ხელოვნური სტიმულირება. ასეთი კრიზისი გამოწვეულია არა ეკონომიკური ციკლით, არამედ საბაზრო ეკონომიკის სისტემური პრობლემებით.

პირველად ეს პრობლემები გამოვლინად 30-ანი წლების დიდი დეპრესიის ფორმით და მის დასაძლევად საჭირო გახდა მოთხოვნის ხელოვნური სტიმულირება. მოთხოვნის ხელოვნური სტიმულირება გადაავადებს პრობლემას, მაგრამ ვერ აღმოფხვრის პრობლემების მიზეხს. რადგან ეს სისტემური პრობლემებია და განპირობებულია გაცილებით სიღრმისეული ფაქტორებით. კერძოდ, გამოწვეულია მონოპოლიზაციის და ეკონომიკური პოლარიზაციის შეუქცევადი პროცესებით. ამიტომაც, მოთხოვნის სტიმულირება ფისკალური მეთოდებით კეინზიანური პოლიტიკის თანახმად აღმოჩნდა ისევე წარუმატებელი, როგორც მოთხოვნის სტიმულირება მონეტარული მეთოდებით ნეოლიბერალური პოლიტიკის თანახმად. ორივე პოლიტიკამ ჯერ წარმოშვიეს ხანგძლივი ეკონომიკური ზრდა, მაგრამ, ბოლოს ორივე დამთავრდა ღრმა კრიზისით (1970-იანი წლების სტაგფლაციით და 2008 წლის „დიდი რეცესიით“).

მართალია საქართველოში შემოსავლების და სიმდიდრის პოლარიზაცია გამოწვეულია არა საბაზრო ეკონომიკის ევოლუციით, არამედ „შოკური თერაპიით“ და თავსმოხვეული ნეოლიბერალური პოლიტიკით, მაგრამ ეკონომიკის თვითბლოკირების მიზეხი იგივეა - შემოსავლების და სიმდიდრის პოლარიზაცია. წარმოება ვერ ვითარდება, რადგან ქვეყანაში ერთობლივი შემოსა-

ვალი მცირეა და ისიც პოლარიზებულია, ხოლო შემოსავალი მცირეა და პოლარიზებულია იმიტომ, რომ წარმოება განუვითარებელია და ისიც მონოპოლიზირებულია. ამიტომ მოხდა ეკონომიკის თვითბლოკირება. ლომის წილი ამ აბსურდული და ყოვლად არაპერსპექტიული ვითარების შექმნაში შეაქვს საბანკო სისტემას და ნეოლიბერალურ მონეტარულ პოლიტიკას, რომლებიც ეფუძნებიან სრულიად დისკრედიტირებულ ეკონომიკურ თეორიას.

საქართველოში ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ სექტორად ითვლება საბანკო სექტორი. იგი ორგანიზებულია თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების მიხედვით. ხოლო მისი ფუნქციონირების, ან დასაწერგი სიახლეების შეფასებისას, ძირითადი კრიტერიუმი არის - „მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკა“. სამწუხაროდ, საბანკო სისტემის ორიენტაცია დასავლური საბანკო სისტემის მექანიკურ კოპირებაზე ბადებს არასასურველ შედეგებს. როდესაც საბანკო სისტემის შეფასების და თვითშეფასების მთავარ კრიტერიუმად მიჩნეულია „მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტები“, ამით ყურადღების ცენტრიდან გამოყავთ მისი ფაქტიური გავლენა საქართველოს ეკონომიკის რეალურ სექტორზე. სამწუხაროდ ეს გავლენა არ გამოირჩევა პოზიტიური შედეგებით და ამას ადასტურებს ეკონომიკის რეალური მდგომარეობა. ის, თუ რატომ ხდება ასე, განხილულია წინამდებარე ნაშრომში.

პრობლემა არა მარტო იმაშია, რომ იგნორირებულია ჩვენი ქვეყნის სპეციფიკა, და ცხადია, რომ რადიკალურად განსხვავებულ გარემოში, სისტემა იძლევა განსხვავებულ შედეგებს. მთავარი პრობლემა იმაშია, რომ დასავლეთის საბანკო სისტემას და მონეტარულ პოლიტიკას თვითონ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები და გახდნენ მწვავე კრიტიკის ობიექტი თვით დასავლეთში. აუცილებელია ქრთული საზოგადოება უკეთ იცნობდეს იმ იდეებს და კრიტიკული დამოკიდებულების არგუმენტებს, რომელიც თვით დასავლეთის პროგრესულად მოაზროვნე

ეკონომისტებს გააჩნიათ მათივე ეკონომიკის საბანკო სისტემასთან დაკავშირებით.

განვითარებულ ქვეყნებში 1980-იანი წლებიდან დაწყებული თანდათან მოხდა საბანკო საქმის დერეგულირება. ამ დერეგულირების თეორიულ საფუძველს წარმოადგენდა ნეოკლასიკური ანალიზი, რომლის თანახმადაც ბანკები მიჩნეული იყო უბრალო ფინანსურ შუამავლებად. ეს თეორია ახდენდა ფულის მიწოდების შექმნაში კომერციული ბანკების წამყვანი როლის იგნორირებას. ამ თეორიულმა შეცდომამ გამოიწვია უმძიმესი პრაქტიკული შედეგი - 2008 წლის მსოფლიო კრიზისი.

ნეოლიბერალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია საკრედიტო ექსპანსია, მონეტარული პოლიტიკა და სხვ. ამ საკითხების კვლევამ გამოიწვია ჩემი დაინტერესება ფულის, კრედიტის და საბანკო სისტემის პრობლემებით. შესაბამისი ლიტერატურის გაცნობამ ცხავდი გახადა, თუ რამდენად განსხვავდება მოარული წარმოდგენები თანამედროვე ფულის, კრედიტის და საბანკო სისტემის შესახებ რეალობისაგან, თუ რამდენად აბსურდული, სოციალურად უსამართლო და რისკების შემცველია კომერციული ბანკების საქმიანობა.

საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის ის, რომ ფულის მიწოდების 95%-ს ქმნის არა სახელმწიფო, არამედ ქმნიან კომერციული ბანკები; რომ ფულის მიწოდების ძირითად ნაწილს დღეს წარმოადგენს ელექტრონული ფული და, აგრეთვე ის, თუ როგორ ქმნიან და როგორ ანაწილებენ კომერციული ბანკები ამ ფულს. როგორც წესი, ეს არ წერია სახელმძღვანელოებში. ის, რასაც გვასწავლიან სახელმძღვანელოები, არის მცდარი შეხედულებები და არ შეესაბამება დღეს არსებულ რეალობას. ნაღდი ფულის მცირე გამონაკლისის გარდა, დღეს ფული ძირითადად წარმოადგენს ინფორმაციას, კომპიუტერების მეხსიერებში ჩაწერილ მონაცემებს. ხოლო მათ, ვინც ქმნიან ახალ ფულს, გააჩნიათ უზარმაზარი ძალაუფლება - ისინი ქმნიან სიმდიდრეს კომპიუტერების მეხსიერებაში

უბრალოდ ციფრების ჩაწერის მეშვეობით. და ისინი წყვეტენ, თუ ვინ გამოიყენებს ამ ფულს და რა მიზნებისათვის. საქართველოს რეალობაში, საბანკო სისტემა არის მახინჯი ეკონომიკური სისტემის ფორმირების და მისი ბლოკირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

თანამედროვე საბანკო სისტემა, მათ შორის საქართველოშიც, არ ფუნქციონირებს ისე, როგორც ამას აღწერენ სახელმძღვანელოები. აუცილებელია, რომ ეკონომიკური პროფილის სტუდენტები, პოლიტიკოსები და მთლიანად ქართული საზოგადოება უკეთ იცნობდნენ იმ იდეებს, რომელსაც ეფუძნება დასავლეთის პროგრესულად მოაზროვნე ეკონომისტების კრიტიკული დამოკიდებულება თანამედროვე საბანკო სისტემის მიმართ. როგორც უკვე ავლნიშნე, ამ პრობლემების მნიშვნელობამ განაპირობა ჩემი დაინტერესება ამ საკითხებით, რისი შედეგიც არის ეს მცირე ნაშრომი. მოხარული ვიქნები, თუ იგი ხელს შეუწყობს ფულის, კრედიტის და ბანკების შესახებ არსებული ილუზიების ნგრევას და ეკონომიკური რეალობის მიმართ ადექვატური დამოკიდებულების ფორმირებას.

დაბოლოს, მადლობა მინდა გადაუხადო წიგნის რეცენზენტებს, ბატონ ნოდარ ჭითანავას და ქალბატონ როზეტა ასათიანს იმისათვის, რომ გამონახეს დრო ტექსტის გასაცნობათ. განსაკუთრებით მინდა ავლნიშნო ქალბატონ როზეტა ასათიანის წვლილი ტექსტის საბოლოო ფორმით ჩამოყალიბებაში და ნაშრომის გამოცემაში, რისთვისაც დიდ მადლობას უხდი მას.

სექტემბერი, 2017 წელი.

„იქამდე, სანამ მთავრობა არ დააწესებს კონტროლს ფულის ემისიაზე და კრედიტზე და სანამ ეს არ ჩაითვლება მის მთავარ და წმინდათაწმინდა მოვალეობად, ყოველგვარი ლაპარაკი პარლამენტის და დემოკრატიის უზენაესი ძალაუფლების შესახებ ცარიელი ყბედობაა ... საჭესთან მყოფ მევახშეობას ხალხი მიჰყავს კატასტროფისკენ.“

უილიამ ლაიონ მაკენზი კინგი - კანადის პრემიერ-მინისტრი 1935-1948 წლებში

შესავალი

ითვლება, რომ საქართველოში საბანკო სისტემა არის ეკონომიკის ყველაზე წარმატებული და ეფექტიანი სექტორი, და თუ ასეა, მაშინ სხვა უამრავი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ფონზე, საბანკო სექტორის რეფორმირების აუცილებლობა კარგავს აქტუალობას და წინა პლანზე იწევს სხვა რეფორმები, რომლებიც საჭიროებენ დაუყოვნებელ ქმედებებსა და რესურსების მობილიზებას. მაგრამ სინამდვილეში სწორედ საბანკო სექტორი წარმოადგენს მრავალი ეკონომიკური პრობლემის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს და რეფორმებს პირველ რიგში საჭიროებს სწორედ საბანკო სექტორი. ჩვენთვის ვერაფერი შეღავათია ის გარემოება, რომ ჩვენი საბანკო სისტემის პრობლემები იგივეა, რაც განვითარებულ ქვეყნებში. პირიქით, ჩვენთან სიტუაციას ამძიმებს ის გარემოება, რომ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, ჩვენი საზოგადოება გაცილებით ცუდად არის ინფორმირებული მათ შესახებ და არაფერს აკეთებს მათ მოსაგვარებლად.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გააცნოს ქართველ მკითხველს მსოფლიო მეცნიერებაში არსებულ მოწინავე იდეები, პოლიტიკოსებისა და თვით ბანკირების მოსაზრებები თანამედროვე საბანკო სისტემის, ფულისა და კრედიტის შესახებ. ნაშრომი წარმოადგენს პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერთა იდეების ერთგვარ კომპილაციას, რომლებიც არასაკმარისად არის გაშუქებული, უფრო სწორად, თუ არ ვცდები, პრაქტიკულად არ არის გაშუქებული ქართულენოვან ეკონომიკურ ლიტერატურაში. მართალია, დასავლეთში ეს იდეები დიდი ხანია ასახულია სამეცნიერო ტექსტებში, მაგრამ ფართო სამეცნიერო ბრუნვაში დასამკვიდრებლად ისინი მხოლოდ 2008 წლის კრიზისის შემდეგ „იკაფავენ გზას“.

აღსანიშნავია, რომ ეს კონცეფციები დასავლეთშიც კი ჯერაც არ არის შეტანილი ეკონომიკურ სახელმძღვანელოებში. ეკონომისტების, ექსპერტების, მეცნიერების და ლექტორების მთელ თაობებს, რომელთა ეკონომიკური განათლებაც ეფუძნებოდა მეინსტრიმის სტანდარტულ დოგმებს, დღემდე აქვთ მცდარი წარმოდგენები იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს საბანკო სისტემა. ზემოხსენებული პროგრესულად მოაზროვნე ავტორების წრე სულ უფრო ფართოვდება. მათ შორის განსაკუთრებით შეიძლება გამოიყოს ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან ნობელიანტი ჯ. სტიგლიცი, ეკონომისტები რ. ვერნერი, ა. ტერნერი, ს. კინი, ხ. დე სოტო, ბ. დაისონი, ჯ. ჰოჯსონი, ა. ჯეკსონი და სხვები. ნაშრომში ფართოდ არის გამოყენებული მათი პუბლიკაციები, აგრეთვე მდიდარი მასალა ფილმიდან „ფული როგორც ვალი“ (ავტორი პ. გრიგონი).

გარკვეული პირობითობით შეიძლება ითქვას, რომ ტექსტი შედგენილია პოსტმოდერნის ტრადიციებში („ავტორი თითქმის არსად არის, მაგრამ იგი არის ყველგან“) ანუ, ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი შედგენილია სხვა ავტორების ამონარიდებიდან (სრულ ან შემოკლებულ, პირდაპირ, ან ტექსტთან მიახლოებულ

თარგმანში, ტექსტის აღქმის გაიოლების მიზნით). ზოგოერთი დებულების ინტერპრეტაციის და რამდენიმე მოსაზრების გარდა, რომლებიც ეხება განხილული პროცესების გამოვლენის სპეციფიკას საქართველოში, ავტორს ეკუთვნის მხოლოდ მთელი მასალის განლაგება და ურთიერთდაკავშირება ისეთი ფორმით და თანმიმდევრობით, რომ მკითხველისთვის ადვილად გასაგები გახდეს ის აბსურდულობა, უსამართლობა, საფრთხე და სრული უპერსპექტიობა, რომელიც ასოცირდება თანამედროვე საბანკო სისტემის ფუნქციონირებასთან.

ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ წიგნში არაფერი ახალი არ არის ნათქვამი. უცხო ენებზე ეს მასალები უკვე დიდი ხანია გახდა ხელმისაწვდომი. განსაკუთრებით ბევრი მასალა გაჩნდა 2008 წლის კრიზისის შემდეგ. მაგრამ, მართალია ეს ინფორმაცია დიდი ხანია არსებობს ინტერნეტში, რომელიც არ არის კონტროლირებადი სახელმწიფოს მიერ, მიუხედავად ამისა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ისევე როგორც დასავლეთში, ეკონომიკის და ფინანსების ქართული სახელმძღვანელოების უმრავლესობაში არაფერია ნათქვამი ამ კონცეფციების შესახებ. გარდა ამისა, ამ თემის ირგვლივ იმდენად დიდია ინფორმაციის ნაკადი, რომ სათანადო კვალიფიკაციის გარეშე მკითხველს გაუძნელდება ამ ფაქტების და იდეების კორიანტელში ორიენტირება, გაუძნელდება განასხვავოს მეცნიერული იდეები დილეტანტური მოსაზრებებისაგან, საიმედო ინფორმაცია მიკერძოებული ინტერპრეტაციისაგან და სიმართლე სიცრუისაგან.

მნელია იმის წარმოდგენა, რომ საბანკო სექტორის წარმომადგენლები საქართველოში არ იცნობენ ამ უაღრესად მნიშვნელოვან იდეებს და ინფორმაციას ფულის, კრედიტის და საბანკო სისტემის შესახებ, რომლებიც ადვილად ხელმისაწვდომია თუნდაც ინტერნეტიდან, რომ აღარაფერი ვთქვათ მათთვის ხელმისაწვდომ სხვა არხებზე. უფრო ადვილია იმის წარმოდგენა, რომ ამ ინფორმაციის გავრცელებაში არ არიან დაინტერესებული ისინი, ვინც სარგე-

ბელს ნახულობენ არსებულ მდგომარეობაში. რადგან მისმა გავრცელებამ შესაძლოა გამოიწვიოს საზოგადოების აღშფოთება საბანკო სისტემასთან დაკავშირებული უსამართლობის, საფრთხის და სრული აბსურდულობის გამო.

სამწუხაროდ, არც საქართველოს მეცნიერები არ ავლენენ ჯეროვან დაინტერესებას ამ პრობლემების მიმართ. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ეს ტაბუდადებული თემებია. მართალია, თვით დასავლეთშიც ფართო დისკუსია ამ საკითხებზე გააქტიურდა მხოლოდ 2008 წლის კრიზისის შემდეგ, მაგრამ მას შემდეგ გასული თითქმის 10 წელი საკმარისი იყო იმისთვის, რომ ეს პროგრესული და რეალობის ადეკვატურად ამსახველი შეხედულებები აქტიურად შემოდგეულიყო ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ეკონომიკური განათლების სისტემაში, იმისათვის, რომ მათთვის მეტი ყურადღება დაეთმოს პოლიტიკოსებს, ეკონომიკურ ექსპერტებს და მასმედიას.

„... მონეტარულ მეცნიერებაში სირთულე გამოიყენება იმისთვის, რომ შენიღბონ ან თავი აარიდონ ჭეშმარიტებას, და არა იმისთვის, რომ გამოავლინონ იგი.“
ჯონ კენტ გელბრეიტი.

I თავი. ფულის მულტიპლიკატორის მოღველი

1. თბილისის ქუჩებში შემთხვევით გამვლელებს რომ ვკითხოთ - მათი აზრით ვინ ქმნის ფულს, დიდი უმრავლესობა იტყვის, რომ ამას აკეთებს სახელმწიფო ან ცენტრალური ბანკი ფულის საბეჭდი მანქანის მეშვეობით. მაგრამ ასე ფიქრობენ არა მარტო საქართველოში. ასეთი სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარებული იყო გერმანიაში რამდენიმე წლის წინ და აღმოჩნდა, რომ ასე ფიქრობდა გამოკითხულთა 84%. ხოლო შეკითხვაზე - იქნებოდით თუ არა თანახმა, რომ ფული იქმნებოდეს და ნაწილდებოდეს კერძო ორგანიზაციების მიერ? - 90%-ზე მეტმა გასცა უარყოფითი პასუხი. [1] მაგრამ რეალობა სწორედ ასეთია. მიმოქცევაში არსებული ფულის მასის უდიდეს ნაწილს საკუთარი ინტერესების საფუძველზე ქმნიან და ანაწილებენ კერძო ორგანიზაციები, კერძოდ, კომერციული ბანკები. მაგრამ საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა არაფერი იცის ამის შესახებ. ამას არ ასწავლიან სკოლაში, არც თანამედროვე ეკონომიკურ სახელმძღვანელოებში წერენ ამის შესახებ. და თვით ბანკებში, რიგითმა თანამშრომლებმა, რომლებიც ასრულებენ თავიანთი პროფესიული მოვალეობების ვიწრო სეგმენტს, ყოველთვის არ იციან ამის შესახებ. თუმცა ეს

პრობლემა არ არის ახალი. ამის შესახებ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, და უფრო ადრეც, წერდნენ პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერები, ბანკირები და პოლიტიკოსები. მაგრამ სიმართლე იმის შესახებ, თუ როგორ იქმნება ფული, როგორ ფუნქციონირებს საბანკო სისტემა, რა ეკონომიკურ და სოციალურ რისკებს ბადებს არსებული სისტემა, ყოველივე ეს იმალება საზოგადოებისაგან მათ მიერ, ვინც დაინტერესებულია ამ სისტემის არსებობაში. რადგან ამ სისტემის უსამართლობა, ცინიზმი და უგუნურება სცილდება ყოველგვარ ზღვარს და შეუძლია წარმოშვას ძლიერი სოციალური პროტესტი მისი ორგანიზატორების მიმართ, რომლებიც ლეგიტიმურად, მაგრამ ფარულად ახდენენ საზოგადოების დოვლათის გადანაწილებას თავიანთ სასარგებლოდ.

განვითრებულ ქვეყნებში უკვე დაიწყო სოციალური აქტიობა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების და სისტემის რეორგანიზების მიზნით. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. მაგრამ საქართველოში პრობლემის არსებობაც კი არ არის სათანადოდ გაცნობიერებული, და არა მარტო საზოგადოებაში, არამედ სამეცნიერო წრეებშიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გზების ძიებაზე. დღემდე არაფერი გაკეთებულა პრობლემის სერიოზულობის საზოგადოებრივ ცნობიერებამდე დასაყვანად და იმ აბსურდულობის საჩვენებლად, რომელიც ახლავს დასავლეთიდან კოპირებული საბანკო სისტემის მოდელს და მონეტარულ პოლიტიკას.

2. რაზე ამახვილებენ ყურადღებას თანამედროვე საბანკო სისტემის დასავლელი კრიტიკოსები? ფული, რომელსაც მთავარი წარმოდგენების თანახმად ქმნის სახელმწიფო და ცენტრალური ბანკი, და რომელიც ასოცირდება ფულის საბეჭდ მანქანასთან, მართლაც არსებობს ბანკნოტების და მონეტების სახით. მაგრამ იგი წარმოადგენს მომოქცევაში არსებული ფულადი მასის მიზერულ ნაწილს, არა უმეტეს 5%-ს. ფულის მიწოდების ძირითად ნაწილს, 95%-ზე მეტს, შეადგენენ საბანკო დეპოზიტები, რომლებიც

ყოველდღიურად დიდი მოცულობით იქმნება და ნადგურდება კერძო ორგანიზაციების, კონკრეტულად, კომერციული ბანკების მიერ. ფულის შექმნის პროცესი უშუალოდ არის დაკავშირებული დეპოზიტების შექმნასთან, რომელიც ხდება მსესხებელთათვის კრედიტების გაცემის პროცესში. გარდა ამისა, საზოგადოება არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, რომ კრედიტის სახით ბანკები გასცემენ არა იმ ფულს, რომელიც მეანაბრებს შეაქვთ ბანკში დეპოზიტების სახით. და არც ბანკების შემოსავლებიდან არის გაცემული ეს ფული. ეს ფული მსესხებელის ანგარიშზე არ გადმოირიცხება რომელიმე სხვა ანგარიშიდან (არც ამავე ბანკის, და არც რომელიმე სხვა ბანკის ანგარიშიდან). კრედიტის სახით გაიცემა ფული, რომელიც, სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, იქმნება „არსაიდან“.

ასეთ ვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, სადაც მიმოქცევაშია ორო ვალუტა (ლარი და დოლარი). რადგან ლარებში და დოლარებში გაცემული და დაბრუნებული კრედიტების თანაფარდობა, წარმოადგენს სავალუტო კურსის ფორმირების არსებით ფაქტორს.¹ ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი ეკონომიკისთვის მისი უზომოდ გახსნილობის გამო (როდესაც იმპორტი შეადგენს მშპ-ის 50%-ზე მეტს).

მაგრამ იქამდე, სანამ უფრო დაწვრილებით განვიხილავდეთ ამ საკითხებს, გავიხსენოთ თუ რას წერენ ეკონომიკის სახელმძღვანელოებში თანამედროვე საბანკო სისტემაში კრედიტების შექმნის შესახებ.

3. ფულადი მულტიპლიკატორის მოდელი. სახელმძღვანელოების თანახმად, ერთ-ერთი მთავარი კონცეფცია, რომელსაც ეფუძნება თანამედროვე საბანკო სისტემა და მონეტარული პოლიტიკა, წარმოდენილია ფულადი მულტიპლიკატორის მოდელით.

¹ შესაძლოა ეს უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვიდრე ქვეყანაში ვალუტის შემოდინება და გადინება. ეს საჭიროებს სპეციალურ გამოკვლევას.

კონკრეტულ მაგალითზე განვიხილოთ ფულადი მულტიპლიკატორის მოქმედების პრინციპი.

დაუშვათ, რომ პეტრემ კომერციულ ბანკში შეიტანა ანაბარი \$1000. ბანკმა იცის, რომ, როგორც წესი, კლიენტები არ თხოულობენ ერთბაშად მთელი დეპონირებული თანხის დაბრუნებას (ამ შემთხვევაში \$1000). ბანკი ინახავს მცირე „რეზერვს“ ცენტრალურ ბანკში (ამას კანონიც ავალდებულებს დადგენილი ნორმის მიხედვით). თუ სარეზერვო ნორმა შეადგენს, მაგალითად, 10%-ს, მაშინ ამ \$1000-დან რეზერვების სახით ბანკი დაიტოვებს \$100, ხოლო დანარჩენ \$900 კრედიტის სახით გასცემს მსესხებლებზე. დაუშვათ კრედიტი აიღო პავლემ. პავლეს სახელზე იხსნება სადეპოზიტო ანგარიში \$900-ის ოდენობით. ახლა უკვე პეტრესაც და პავლესაც თავიანთ ანგარიშებზე აქვთ ფული. პირველადი დეპოზიტი \$1000 გარდაიქმნა საბანკო დეპოზიტებად მოცულობით \$1900, საიდანაც \$1000 ეკუთვნის პეტრეს, ხოლო \$900 - პავლეს.

შემდეგ მსესხებელი პავლე ხარჯავს ამ \$900 ეკონომიკაში სხვადასხვა საქონელის და მომსახურების საყიდლად. ამ საქონელის და მომსახურების გამყიდველებს (ფირმებს, მაღაზიებს, სხვა ეკონომიკური აგენტებს) შეაქვთ ეს \$900 თავის ანგარიშებზე სხვა ბანკებში. გამარტივების მიზნით დაუშვათ, რომ საქმე გვაქვს ერთ გამყიდველთან, რომელსაც შეაქვს ეს ფული სხვა ბანკში. ეს ბანკი აგრეთვე, ამ \$900-დან 10%-ს იტოვებს სავალდებულო რეზერვების სახით, ხოლო დანარჩენ 90%-ს გასცემს კრედიტის სახით მესამე პირს და ა.შ. პროცესი გრძელდება და საბოლოო ჯამში, თუ ნორმა შეადგენს 10%-ს, მაშინ თავდაპირველი ნაღდი ფულით \$1000-დან საბანკო სისტემა შექმნის 10-ჯერ მეტ საბანკო ფულს - \$10 000-ს. ანუ, მულტიპლიკაციის კოეფიციენტი უდრის 10-ს. თუ ცენტრალური ბანკი გაზრდის სარეზერვო ნორმას (დაუშვათ, 10%-დან 20%-მდე), მაშინ საბანკო სისტემაში შეიქმნება ნაკლები საბანკო ფული, რადგან ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გაცემული

იქნება ნაკლები კრედიტი. ამიტომ, მულტიპლიკაციის კოეფიციენტი იქნება ნაკლები. თუ სარეზერვო ნორმა შემცირდება, მაშინ ეს კოეფიციენტი გაიზრდება. ამ მოდელის თანახმად:

1. კომერციულ ბანკებს არ შეუძლიათ კრედიტის გაცემა, სანამ ვინმე არ შეიტანს ფულს ბანკში სადეპოზიტო ანგარიშზე. ეს კონცეფცია ნაწილობრივ ადასტურებს ბანკების შუამავლობის იდეას, რადგან ბანკები განიხილებიან როგორც „რიგრიგობით“ შუამავალები, რის შედეგადაც მთლიანად საბანკო სისტემაში იქმნება ფული. ანუ, თეორიის თანხმად, მართალია კომერციულ ბანკებს ინდივიდუალურად არ შეუძლიათ ფულის შექმნა, მაგრამ მთლიანად საბანკო სისტემა ქმნის ფულს;
2. ეს მოდელი აგრეთვე გულისხმობს, რომ სარეზერვო ნორმის და ფულადი ბაზის (ნაღდი ფულის და რეზერვების ჯამის) ცვლილებით ცენტრალურ ბანკს შეუძლია აკონტროლოს კრედიტების შექმნა ეკონომიკაში;
3. ფულის მიწოდება ვერ გაცდება გარკვეულ ზღვარს, რადგან დამოკიდებულია ფულის ბაზაზე და სარეზერვო ნორმაზე, რომლებსაც აკონტროლებს ცენტრალური ბანკი.

შესაბამისად, ეკონომისტები და პოლიტიკოსები შეცდომით მიიჩნევენ, რომ:

1. კომეციული ბანკები არიან მხოლოდ შუამავლები და არ გააჩნიათ რეალური კონტროლი ეკონომიკაში ფულის მიწოდებაზე;
2. ცენტრალურ ბანკს შეუძლია აკონტროლოს ეკონომიკაში ფულის მიწოდება;
3. ფულის მიწოდება ვერ გავა კონტროლიდან, რადგან მისი ზღვრული ოდენობა „მათემატიკურად“ არის შეზღუდული სარეზერვო ნორმით და ფულის ბაზის სიდიდით, რომლებსაც აკონტროლებს ცენტრალური ბანკი [1].

მაგრამ რეალობა სრულიად განხვავებულია. კომერციული ბანკები არ არიან უბრალოდ შუამავლები. ისინი თვითონ ქმნიან ფულს და თვითონვე წყვეტენ თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე ვის მისცენ კრედიტი და რომელ პროექტებში განახორციელონ ფულის ინვესტირება. ამასთანავე, კრედიტების გაცემა არ საჭიროებს წინასწარ დეპოზიტების მიღებას. მსესხებელის ანგარიშზე დეპოზიტები იქმნება კრედიტის გაცემის დროს და ცენტრალურ ბანკს არ შეუძლია ამ პროცესის გაკონტროლება მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ის, და არა კომერციული ბანკები, არის პასუხისმგებელი ეკონომიკაში ფულის მიწოდების რეგულირებაზე. [2]

„თანამედროვე საბანკო სისტემა ფულს ქმნის არაფრიდან. ეს პროცესი არის, შესაძლოა, ყველაზე უფრო დაუჯერებელი ფოკუსი ოდესმე მოფიქრებული. მევახშეობა ჩაფიქრებულია უკანონობით და შობილია მანკიერებით. ბანკირებს ეკუთვნით მთელი მსოფლიო. წართვით მათ იგი, მაგრამ დაუტოვეთ მათ ფულის შექმნის ძალაუფლება, და ისინი კალმის ერთი გაკვრით შექმნიან საკმარის ფულს, რათა უკანვე გამოისყიდონ იგი. ... წართვით მათ ეს დიდი ძალაუფლება და ყველა დაგროვილი დიდი სიმდიდრე, ისევე როგორც ჩემი, გაქრება, და ისინი უნდა გაქრეს კიდევ, რათა მსოფლიო გახდეს უკეთესი და უფრო ბედნიერი. მაგრამ თუ თქვენ გინდათ განაგრძოთ ბანკების მონობა და თან ფული იხადოთ საკუთარი მონობისათვის, მაშინ მიეცით უფლება ბანკირებს განაგრძონ ფულის შექმნა და სესხების მართვა.“
სერ ჯოზეაი სტემპი. ინგლისის ბანკის დირექტორი 1928-1941 წლებში. იმდროინდელი მეორე უმდიდრესი ადამიანი ინგლისში.

II თავი. თანამედროვე საბანკო სისტემა

2.1. როგორ იქმნება ფული?

1. რათა უკეთ გავიგოთ შემდგომი მსჯელობის ლოგიკა, საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ თანამედროვე ეკონომიკაში არსებობს ფულის 3 სახეობა: 1) ნაღდი ფული ბანკოტების და მონეტების სახით, რომელსაც ქმნის ცენტრალური ბანკი; 2) სარეზერვო ფული, რომელსაც აგრეთვე ქმნის ცენტრალური ბანკი და რომელიც არსებობს მხოლოდ ელექტრონული ფორმით კომპიუ-

ტერების მეხსიერებაში; 3) საბანკო ფული, რომელსაც ქმნიან კომერციული ბანკები, რომელიც არსებობს დეპოზიტების სახით და ისიც არსებობს ელექტრონული ფორმით.

ნაღდი ფული და სარეზერვო ფული, რომელსაც ქმნის ცენტრალური ბანკი, წარმოადგენენ ფულად ბაზას, ეგრეთწოდებულ „ძლიერ ფულს“. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ნაღდი ფულისაგან განსხვავებით სარეზერვო ფული არსებობს მხოლოდ ცენტრალური ბანკის ანგარიშებზე და არ გადის მიმოქცევაში ცენტრალური ბანკის გარეთ. შესაბამისად, რეალურ მიმოქცევაშია მხოლოდ ნაღდი ფული და კომერციული ბანკების სადეპოზიტო ფული. ამასთან, ნაღდი ფული შეადგენს მთლიანად ფულის მასის 5%-ზე ნაკლებს, ხოლო კომერციული ბანკების სადეპოზიტო ფული - 95%-ზე მეტს.

ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებობს ბანკებს შორის ანგარიშსწორების 2 ფორმა. პირდაპირი ტრანსაქციებისათვის მათ შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი საკორესპონდენტო ანგარიშები, რომლებიც გახსნილი აქვთ სხვა ბანკებში. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ გამოიყენონ ანგარიშები, რომლებიც გახსნილი აქვთ ცენტრალურ ბანკში და რომელზეც ინახავენ თავიანთ სარეზერვო ფულს. ისევე, როგორც კომერციული ბანკების კლიენტებს აქვთ თავისი ანგარიშები კომერციულ ბანკებში, ასევე კომერციულ ბანკებს აქვთ თავიანთი ანგარიშები ცენტრალურ ბანკში, რომლებსაც ეწოდება სარეზერვო ანგარიშები. ისევე, როგორც ბანკის კლიენტებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი სახსრები თავიანთ ანგარიშებზე იმისათვის, რომ შეეძლოთ განახორციელონ ოპერაციები, ასევე, კომერციულ ბანკებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი სარეზერვო ფული თავიანთ სარეზერვო ანგარიშებზე იმისთვის, რომ კლიენტების დავალებით შეეძლოთ ფულის გადარიცხვა სხვა ბანკებში;

2. საბანკო ფული არ იქმნება ისე, როგორც ამას აღწერენ სახელმძღვანელოები. მულტიპლიკატორის მოდელი გულისხ-

მობს, რომ კრედიტი გაიცემა მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ვინმე შეიტანს ფულს დეპოზიტზე. და თუ სარეზერვო ნორმა არის 10%, მაშინ კრედიტის სახით შეიძლება გაიცეს დეპონირებული თანხის 90%. მაგრამ თანამედროვე პირობებში კრედიტების გაცემა, როგორც წესი, არ საჭიროებს წინასწარ ფულის დეპონირებას. ფული გაიცემა კრედიტის სახით საბანკო ფულის, ანუ დეპოზიტის შექმნის გზით, რომელიც წარმოადგენს სხვა არაფერს, თუ არა ელექტრონულ ფულს, ანუ კომპიუტერის მეხსიერებაში გაკეთებულ ჩანაწერს. ამიტომ, თუ ვინმე ბანკში შეიტანს \$1000 ნაღდი ფულით, ბანკი მთლიანად იტოვებს მას რეზერვის სახით. და თუ სარეზერვო ნორმა არის 10%, ბანკს შეუძლია ეს \$1000 მთლიანად ჩათვალოს აუცილებელი რეზერვების 10%-ად და სარეზერვო მოთხოვნის დარღვევის გარეშე კრედიტის სახით გასცეს არა \$900, არამედ \$9000, ანუ, დეპონირებული თანხის არა 90%, არამედ 900%. როდესაც ეს \$9000 დაიხარჯება და შეტანილი იქნება რომელიმე სხვა ბანკში, მაშინ ამ თანხის 90%, ანუ \$8100, ისევ იქნება გაცემული კრედიტის სახით. შემდეგ ისევ \$8100-ის 90% გაიცემა კრედიტის სახით და ა.შ. საბანკო სისტემა წარმოადგენს ჩაკეტილ წრეს.² ერთი ბანკის მიერ გაცემული სესხები ხდება ანაბარი რომელიმე სხვა ბანკში, და პირიქით. თეორიულად, ეფექტი იქნება ისეთი, თითქოს მთელი ეს ციკლი მიმდინარეობს ერთ ბანკში. პროცესი მიმდინარეობს იქამდე, სანამ თავდაპირველი \$1000 ნაღდი ფულით, საბოლოოდ გადაიქცევა \$100 000, ანუ თავდაპირველი თანხის 10 000%. [3]

3. როგორ ხდება ეს რეალურ პირობებში? თუ პავლეს სურს აიღოს კრედიტი \$1000, ბანკი აფორმებს მასთან კონტრაქტს, რომლის თანახმადაც პავლე იღებს ვალდებულებას დაუბრუნოს ბანკს ვალი შეთანხმებულ ვადებში. ეს არის პავლეს ვალდებულება ბანკის წინაშე, რომელიც, ხელმოწერის შემდეგ იძენს კანონიერ

² პირობითად არ ვითვალისწინებთ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ძალას. თუ პავლე არ დააბრუნებს ვალს, იგი დაკარგავს სახლს, მანქანას ან რაიმე სხვა ძვირად ღირებულ ქონებას, რომელიც ჩადებული იქნება გირაოს სახით. ამის შემდეგ ბანკი გახსნის პავლეს სახელზე სადეპოზიტო ანგარიშს \$1000-ის თანხაზე. ეს უკვე არის ბანკის ვალდებულება პავლეს წინაშე. მაგრამ, პავლეს საბანკო ანგარიშზე დარიცხული ეს \$1000 არ იქნა გადმორიცხული რომელიმე სხვა ანგარიშიდან, არც ამავე ბანკში არსებულიდან, და არც ბანკის გარედან. მოხდა მხოლოდ რიცხვების ჩაწერა ბანკის კომპიუტერების მეხსიერებაში.

ამასთან დაკავშირებით ინტერესს წარმოადგენს ამ პროცესის ინტერპეტაცია პროფ. რიჩარდ ვერნერის მიერ, რომლის თანახმადაც, იურიდიული თვალსაზრისით, ის, რასაც ბანკი უწოდებს კრედიტის გაცემას, სინამდვილეში არ არის კრედიტის გაცემა. რადგან, როგორც წესი, კრედიტის გაცემა გულისხმობს, რომ კრედიტის სახით გაცემული საგანი, ფიზიკურად იქნება ამოღებული ერთი სუბიექტის მოხმარების სფეროდან და მოსახმარად გადაეცემა მეორე სუბიექტს. მაგრამ, თანამედროვე ბანკების მიერ კრედიტების გაცემის დროს არ ხდება ფულით სარგებლობის უფლების გადაცემა ერთი სუბიექტიდან მეორესთვის. აქ საერთოდ არ ხდება ფულის, როგორც მსყიდველობითი უნარის, საიდანმე ამოღება. ამიტომ ეს პროცესი არ არის კრედიტის გაცემა სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ბანკები არ *გაცემენ* ფულს კრედიტების სახით, არამედ *ქმნიან* მას. [10]

იმას, რასაც აკეთებენ ბანკები, რ. ვერნერი განიხილავს არა როგორც კრედიტის გაცემას, არამედ უფრო ამსგავსებს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას. როდესაც კლიენტი ხელს აწერს საკრედიტო შეთანხმებას, კანონის თანახმად იქმნება ფასიანი ქაღალდი. ეს არის კლიენტის სავალო ვალდებულება ბანკის წინაშე. ბანკი ყიდულობს კლიენტისაგან ამ სავალო ვალდებულებას. წმინდა იურიდიული თვალსაზრისით სწორედ ეს ხდება კომერციულ ბანკებში. მაგრამ რით იხდის ბანკი ამ ფასიანი ქაღალდის

საფასურს? საფასურს იგი იხდის შემხვედრი ვალდებულებით. კერძოდ, ბანკი ხსნის კლიენტის სახელზე მოთხოვნამდე დეპოზიტს. ეს ახლადშექმნილი დეპოზიტი სწორედაც არის ახალი ფული, ახალი მსყიდველობითი უნარი, რომელიც ბანკმა შექმნა „არაფრიდან“, უბრალოდ ციფრების ჩაწერით კლიენტის სადეპოზიტო ანგარიშზე. ეს ფული არსაიდან იყო აქ გადმორიცხული.

ყოველივე ეს სწორედაც მოწმობს იმაზე, რომ კერძო ბანკები არიან არა უბრალოდ შუამავლები დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის, არამედ საბანკო ფულის შემქმნელები. და ესე იგი ის, რასაც წერენ სახელმძღვანელოებში, რადიკალურად განსხვავდება იმისაგან, რაც ხდება სინამდვილეში.³ [1], [3], [7], [10].

³ „ამ სქემის რეალობაში განხორციელება ბანკებს შეუძლიათ მხოლოდ მთავრობის აქტიური ხელშეწყობით. ჯერ-ერთი, მთავრობა კანონით გვავალდებულებს ჩვენ ვისარგებლოდ ეროვნული ვალუტით. მეორეც, მთავრობა უფლებას ანიჭებს კერძო ბანკებს გაანადღონ საკრედიტო ფული ეროვნულ ვალუტაში. მესამეც, სასამართლო ხელისუფლება სჯის ვალეებისთვის. და ბოლოს, მთავრობა საკანონმდებლო დონეზე ზრუნავს ამ მონეტარულ სისტემაზე და ამყარებს მის იმიჯს ხალხის თვალში, მაგრამ არაფერს ეუბნება ხალხს იმის შესახებ, თუ სინამდვილეში საიდან იბადება ფული. სიმართლე ისაა, რომ ხელმოწერილი გირავნობის ვალდებულება, ანუ, ვალის დაბრუნების პირობა, საკუთრების გირაოში ჩადებით და ჯარიმის გადახდის მუქარით, არის ერთად-ერთი რეალური ფასეულობა, რომელიც მონაწილეობს ოპერაციაში. ნებისმიერისთვის, ვისაც სჯერა ამის, ასეთი გირავნობის ქალაქი ხდება ფასეულობა, რომელიც შეიძლება გადაეცეს სხვას, ან გაიცვალოს სხვა რამეზე. ეს არის სავაჭრო ვალდებულება, რომელიც ამტკიცებს - „მე მაქვს შენი ვალი“. იგი წარმოადგენს ფასეულობას და ღებულობს ფულის სპეციფიკურ ფორმას. ამ ფულს მოვალე ცვლის იმაზე, რასაც ეწოდება კრედიტი. რეალურ სამყაროში კრედიტი ნიშნავს, რომ იმას, ვინც გასცემს სესხს, აქვს ის, რასაც გასცემს სესხად. თუ თქვენ გჭირდებათ ჩაქუჩი, მე კი თქვენ გაძლევთ ხელწერილს, რომ გადმოქცემთ ჩაქუჩს, რომელიც არა მაქვს, ეს უაზრობაა. მაგრამ ხელოვნურად შექმნილ ფულის სამყაროში, ბანკის დაპირება, რომ გადაიხდის ფულს, რომელიც მას არა აქვს, უტოლდება რეალურ ფულს. და ჩვენ ამას ვთანხმდებით. როდესაც მსესხებელი ხელს აწერს სავაჭრო ვალდებულებას, კომპიუტერის კლავიშებზე თითის რამდენიმე დაწკაპუნებით, ბანკი ქმნის თავის საკუთარ ვალს მსესხებელის წინაშე. მსესხებელის თვალსაზრისით - ეს არის ფული მის ანგარიშზე. და რადგან მთავრობა ნებას რთავს ბანკის ეს ვალი მსესხებელის წინაშე განადებულ იქნეს ეროვნულ ვალუტაში, ამიტომ ყველა მას აღიქვავს როგორც ფულს. ... მსესხებელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის გარეშე, ბანკირს არაფერი აქვს გასაცემი.“ [3]

„გამოდის, რომ ჩვენი ნაციონალური მიმოქცევის საშუალებები არსებობენ ბანკების სკრედიტო ოპერაციების წყალობით, რომლებიც სესხად გასცემენ არა ფულს, არამედ მხოლოდ დაპირებას, რომ გადაიხდიან ფულს, რომელიც მათ არა აქვთ.“

ირვინგ ფიშერი. ციტ. წყარო [3]

„ორივე მხარეს რომ წარმოადგენდნენ ადამიანი და ადამიანი, და არა ბანკი და ადამიანი, მაშინ ისინი ვერ შეძლებდნენ გადახდის საშუალებების ინფლაციის შექმნას საკრედიტო გარიგების გზით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კრედიტორი ვერ შეძლებდა სესხად იმის გაცემას, რაც მას არა აქვს, როგორც ამას აკეთებენ ბანკები. ... მხოლოდ კომერციულ ბანკებს და საინვესტიციო კომპანიებს შეუძლიათ სესხად გასცენ ფული, რომელსაც ისინი ქმნიან დაკრედიტების გზით.“

ირვინგ ფიშერი. [4]

4. ახალი კრედიტების გაცემის და ძველი ვალების გასტუმრების კვალდაკვალ ეს საკრედიტო ფული იქმნება და ნადგურდება ყოველდღიურად უზარმაზარი ოდენობით. ინგლისის ბანკის 2014 წლის კვარტალურ ბიულეტენში ეს პროცესი ასეა აღწერილი:

„როდესაც ბანკი ქმნის კრედიტს, მაგალითად, იმისთვის, ვისაც სურს იპოთეკის აღება სახლის საყიდლად, იგი, როგორც წესი, არ აძლევს მას ათასობით ფუნტის ღირებულების ბანკნოტებს. ამის ნაცვლად იგი აკრედიტებს მათ საბანკო ანგარიშებს საბანკო დეპოზიტებით იპოთეკის ოდენობით. ამ მომენტში იქმნება ახალი ფული.“

Bank of England Quarterly Bulletin, 2014 Q1

და პირიქით, როდესაც მსესხებლები თავიანთ დეპოზიტებს იყენებენ ვალის დასაფარად, პროცესი მიემართება საპირისპირო

მიმართულებით და ხდება ფულის განადგურება.⁴ ინგლისის ბანკის თანახმად:

„ზუსტად ისევე, როგორც კრედიტების გაცემა ქმნის ახალ ფულს, საბანკო კრედიტების დაფარვა ანადგურებს ფულს. ... ბანკების მიერ კრედიტების შექმნა და მომხმარებლების მიერ მათი დაფარვა არის ძირითადი ხერხი, რომლითაც საბანკო დეპოზიტები იქმნება და ნადგურდება თანამედროვე ეკონომიკაში.“

Bank of England Quarterly Bulletin, 2014 Q1

ეკონომიკაში კრედიტების გაცემის და ვალების დაბრუნების პროცესში ბანკები ყოველდღიურად მასიურად ქმნიან და ანადგურებენ ფულს. ბანკები პერმანენტულად უნდა ქმნიდნენ ახალ კრედიტებს, რათა შეეძლოთ დაბრუნებული ვალების კომპენსირება. იმაზე, თუ როგორია რისკისადმი მიდრეკილება, და რამდენად აქტიურად ხდება ახალი კრედიტების გაცემა და რამ-

⁴ „ბანკები არ გასცემენ ფულს ვალად. ისინი უბრალოდ ქმნიან მას ვალისაგან. და ეს ვალები არაფრით არიან შეზღუდული ისევე, როგორც ფულის მიწოდება. მეორე მხრივ, შესაძლებელია საპირისპირო სიტუაცია. არ არის ვალები - არ არის ფული. საკვირველია, რომ კოლოსალური რესურსების, მუდმივად მზარდი წარმოების და ახალი ტექნოლოგიების პირობებში, ყოველი ჩვენთაგანი, მთავრობები, კომპანიები და ცალკეული ინდივიდები, ვიმყოფებით ვალებში ჩაფლული ბანკირების წინაშე. და არავინ ჩერდება და არ დაფიქრდება, რატომ არის ეს შესაძლებელი? როგორ ხდება, რომ ადამიანები, რომლებიც ქმნიან ყველა მატერიალურ დოვლათს მსოფლიოში, აღმოჩნდნენ ვალში მათთან, ვინც ვალად იძლევა ამ მატერიალური დოვლათის სიმბოლოებს. და უფრო მეტად საკვირველია ის, რომ როგორც კი გავიგებთ, რომ ფული არის ვიდაცის ვალი, მაშინ ისიც უნდა გავიგოთ, რომ თუ ვალები არ იქნება, მაშინ არც ფული იქნება. ... უმრავლესობა ფიქრობს, რომ თუ გავისტუმრებთ ყველა ვალს, მაშინ ეკონომიკის მდგომარეობა გაუმჯობესდება. ეს ასეა მხოლოდ ყოფით დონეზე. ჩვენ გვრჩება მეტი ფული, როდესაც გასტუმრებული გვაქვს ვალები. ამიტომ ვფიქრობთ, რომ, თუ ყველა გაისტუმრებს ვალებს, მაშინ ყველას ექნება მეტი ფული. სინამდვილეში ყველაფერი არის სრულიად საპირისპიროდ. საერთოდ არ იქნება არავითარი ფული. ასე რომ, იმისათვის, რომ არსებობდეს ფული, ჩვენ ყველა უნდა ვიყოთ დამოკიდებული საბანკო კრედიტებზე. არ არის კრედიტები - არ არის ფული. ასე მოხდა „დიდი დეპრესიის“ დროს. ფულის მიწოდება შეჩერდა, როდესაც შეჩერდა კრედიტების მიწოდება.“ [3]

დენი მოვალე აბრუნებს ვალს, დამოკიდებულია გაიზრდება თუ შემცირდება ეკონომიკაში ფულის მასა, ერთობლივი მოთხოვნა და ეკონომიკური ზრდის ტემპები.

ბუნებრივად იბადება კითხვა - ბანკებისთვის რა აზრი აქვს კრედიტების გაცემისას ფულის შექმნას, თუ ვალის დაბრუნებისას ეს ფული ისევ ნადგურდება? აზრი იმაშია, რომ მთელი ეს პერიოდი კრედიტების გაცემიდან ვალების დაბრუნებამდე ბანკები იღებენ პროცენტს. სწორედ ეს არის მათი შემოსავალი. გარდა ამისა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ, მართალია კრედიტების გაცემისას ფული იქმნება „ჰაერიდან“, მაგრამ მსესხებელმა გირაოში უნდა ჩადოს სავსებით რეალური აქტივები (სახლი, მიწის ნაკვეთი, ზინა, მანქანა და სხვ.). ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ბანკი სრულიად კანონიერ საფუძველზე ითვისებს ამ ქონებას, რომელსაც აქვთ რეალური ღირებულება. ანუ, ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ფიქტიური ფულის სანაცვლოდ ბანკი ღებულობს კომპენსაციას რეალური აქტივებით.

როგორც უკვე აღინიშნა, მართალია საზოგადოებამ არ იცის, რომ მიმოქცევაში არსებული ფულის 95%-ს შეადგენს საბანკო დეპოზიტები და რომ ამ საბანკო ფულს ბანკები ქმნიან „არაფრიდან“, მაგრამ თვითონ ბანკირებმა იციან ამის შესახებ.⁵

⁵ აი რას წერენ ისინი: „ფულის შექმნაში გაცილებით უფრო მიშენელოვან როლს თამაშობს საბანკო სექტორი ... როდესაც ბანკები გასცემენ კრედიტებს, ისინი ქმნიან დამატებით დეპოზიტებს მათთვის, ვინც იღებს ვალებს.“ (Bank of England, 2007). „... ფულის მასის ცვლილებები პირველ რიგში ასახავენ საბანკო დაკრედიტების განვითარებას, როგორც ახალი დეპოზიტების შექმნას.“ (Bank of England, 2007). „რადგან დეპოზიტები და საბანკო დაკრედიტება თითქმის იდენტურია, ფული და კრედიტი ხშირად გამოიყენება თითქმის ერთნაირად, როგორც ურთიერთჩანაცვლებადი კი ...“ (Bank of England, 2008) „ყოველ ჯერზე და ყოველთვის, როდესაც ბანკი ქმნის კრედიტს, იქმნება ახალი საბანკო კრედიტი - ახალი დეპოზიტი - ბრენდი ახალი ფული.“ **გრანამ ტოლერსი**, კანადის ცენტრალური ბანკის ყოფილი მმართველი, 1939; „ევროსისტემაში, ფული იქმნება, პირველ რიგში, საბანკო კრედიტის გაფართოების ზრდის მეშვეობით. ... კომერციულ ბანკებს თვითონ შეუძლიათ ფულის შექმნა, ეგრედ წოდებული „ჟირო-ფული“.“ **Bundesbank**, 2009; „ემორჩილებიან რა მხოლოდ (მაგრამ მკაცრად) რწმენას

„ეს აზრი შოკისმომგვრელია. ჩვენ ყველა დამოკიდებულებები ვართ კომერციულ ბანკებზე. ვიღაცა უნდა იღებდეს ვალად მიმოქცევაში არსებულ თვითივლით დოლარს, ნაღდს ან საკრედიტოს. თუ ბანკები შექმნიან ბევრ ხელოვნურ ფულს, ჩვენ ავყვავდებით; თუ არა, მაშინ შიმშილით მოვკვდებით. ჩვენ არ გვაქვს მუდმივი ფული. როდესაც ხედავ მთლიანობაში შექმნილ სურათს, ჩვენი უიმედო მდგომარეობის ტრაგიკული აბსურდულობა გვეჩვენება დაუჯერებლად, მაგრამ ეს ასეა.“

რობერტ ჰემპჰილი. აშშ-ს ფედერალური სარეზერვო ბანკის საკრედიტო განყოფილების მმართველი. ატლანტა, ჯორჯია. ციტ. წყარო [3]

5. ზოგს ჰგონია, რომ საბანკო ფული არის კრედიტი, და განასხვავებს მას საკუთრივ „ფულისაგან“. ეს არ არის ასე. შეუძლებელია განვასხვავო ფული ჩემს საბანკო ანგარიშზე იმის მიხედვით, თუ რა გზით მოხვდა იგი ამ ანგარიშზე - მე შევიტანე ბანკის სალაროში \$1000 ნაღდი ფულით, თუ იგი გადმორიცხული იქნა რომელიმე სხვა ანგარიშიდან (ამასთან, შესაძლოა, თვით იმ ანგარიშზეც ფული შექმნილი იყო „ჰაერიდან“ კრედიტის გაცემის დროს). [10]

კრედიტის გაცემის დროს შექმნილი საბანკო ფული მიმოქცევაში შედის მაშინ, როდესაც მსესხებელი იწყებს ფულის ხარჯვას. ბუნებრივად იბადება კითხვა - თუ საბანკო ფული, ანუ დეპოზიტები, წარმოადგენენ მხოლოდ რიცხვების ჩანაწერს საბანკო კომპიუტერების მეხსიერებაში, და ესე იგი არსებობენ მხოლოდ ელექტრონული ფულის ფორმით, მაშინ როგორ ასრუ-

თავისი გადახდისუნარიანობის თაობაზე, ბანკები ზრდიან კრედიტს უზრალოდ მსესხებელი კლიენტების მიმდინარე ანგარიშების ზრდით, რომელიც შეიძლება იყოს გადახდილი ნებისმიერ ადგილას, სადაც ისურვებს მსესხებელი ბანკის „საკუთარ თავზე გამოწერილი ჩეკის“ მეშვეობით. ანუ ბანკები ზრდიან კრედიტს ფულის შექმნის გზით.“ **პოლ ტაკერი,** ინგლისის ბანკის მმართველის მოადგილე და მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის წევრი, 2007. ციტ. წყარო [3].

ლებენ ისინი ფულის ფუნქციებს? დეპოზიტების მფლობელებს ხომ სჭირდებათ ფული და არა ციფრები კომპიუტერების მეხსიერებაში? მაგრამ საქმე იმაშია, რომ თანამედროვე პირობებში გადახდების 95% ხორციელდება უნაღდო გადარიცხვების ფორმით. ანუ, უმრავლეს შემთხვევაში კლიენტები არ თხოულობენ ბანკისაგან ნაღდი ფულის გაცემას. ტრანსაქციების დიდი უმრავლესობა ხდება „ანგარიშიდან ანგარიშზე“, და არა „ხელიდან ხელში“. ამიტომ ადგილი აქვს კომპიუტერების მეხსიერებაში ჩაწერილი ციფრებით მანიპულირებას. მაგრამ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც კლიენტებს სურთ ნაღდი ფულის გატანა, ბანკები ინახავენ ნაღდი ფულის გარკვეულ ოდენობას. მაგრამ ამისათვის საჭირო რეზერვები არ არის დიდი, რადგან რეალურ ეკონომიკაში ნაღდი ფულით ტრანსაქციების რაოდენობა 5%-ზე ნაკლებია. ამიტომ, კლიენტების მხრიდან ნაღდი ფულის გატანის მოთხოვნა შეადგენს ბანკებში გახსნილი დეპოზიტების მხოლოდ მიზერულ ნაწილს.

2.2. როგორ ხდება გადახდა?

1. განვიხილოთ თუ როგორ ხორციელდება გადახდები დეპოზიტების (ანუ, ელექტრონული ფულის) მეშვეობით. თუ გადამხდელი და ფულის მიმღები არიან ერთი და იგივე ბანკის კლიენტები, მაშინ მთელი პროცედურა დაიყვანება იმაზე, რომ გადამხდელის ანგარიშიდან გადასახადი თანხა ჩამოიწერება და დაირიცხება მიმღების ანგარიშზე. ეს არის უმარტივესი ოპერაცია, რომელშიც მონაწილეობას არ ღებულობს ნაღდი ფული, ხოლო თუ გადამხდელს და ფულის მიმღებს ანგარიშები გახსნილი აქვთ სხვადასხვა ბანკებში, მაშინ გადახდა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მეთოდებით:

- 1) თავისი ანგარიშიდან გადამხდელს გამოაქვს ბანკიდან გადასახდელი თანხა ნაღდი ფულის ფორმით და გადასცემს მიმღებს, რომელიც შეიტანს მას თავის ანგარიშზე სხვა ბანკში;
- 2) კომერციულ ბანკს შეუძლია გამოიყენოს თავისი საკორესპონდენტო ანგარიშები, რომელიც გახსნილი აქვს სხვა ბანკებში პირდაპირი ტრანსაქციებისათვის. კლიენტის მოთხოვნით მისი ანგარიშიდან ფული გადაირიცხება სხვა ბანკში მიმღების ანგარიშზე;
- 3) კომერციულ ბანკს შეუძლია გამოიყენოს თავისი სარეზერვო ანგარიში, რომელიც გახსნილი აქვს ცენტრალურ ბანკში. ამ შემთხვევაში, ამ ბანკის სარეზერვო ანგარიშიდან ფული გადაირიცხება მიმღები ბანკის სარეზერვო ანგარიშზე. [2]

თუ პეტრემ გადაუხადა პავლეს \$1000, მაშინ ცენტრალურ ბანკში მოხდება უბრალოდ სარეზერვო ფულის \$1000 გადარიცხვა ერთი ბანკის სარეზერვო ანგარიშიდან მეორე ბანკის სარეზერვო ანგარიშზე. როგორც უკვე აღინიშნა, კომერციული ბანკების დეპოზიტების მსგავსად, ცენტრალური ბანკის რეზერვები მხოლოდ რიცხვებია კომპიუტერების მეხსიერებაში. ამიტომ, ასეთი გადარიცხვის შედეგად, ერთი ბანკის სარეზერვო ანგარიში შემცირდება \$1000-ით, ხოლო მერე ბანკის სარეზერვო ანგარიში გაიზრდება იგივე თანხით, მაგრამ რეზერვების საერთო მოცულობა ცენტრალური ბანკის სარეზერვო ანგარიშებზე არ შეიცვლება. იმის შემდეგ, რაც მიმღები ბანკის სარეზერვო ანგარიშზე დარიცხული იქნება \$1000, ეს ბანკი დაამატებს \$1000-ს თავისი კლიენტის სადეპოზიტო ანგარიშზე. ამ ოპერაციაში მოხდა მხოლოდ ციფრებით მანიპულირება საბანკო სისტემის სხვადასხვა ანგარიშებზე, მაგრამ ნაღდი ფული არ გახდა საჭირო.

2. დღეს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში მოქმედებს *რეალურ დროში ანგარიშსწორების სისტემა (Real Time Gross*


Settlement -RTGS). ეს სისტემა 2001 წლიდან დანერგულია აგრეთვე საქართველოშიც. RTGS არის კომპიუტერული სისტემა, რომელშიც ინახება ყველა კომერციული ბანკის სარეზერვო ანგარიშები და ტრანსაქციები ხორციელდება ამ სარეზერვო ანგარიშებს შორის. RTGS-ის პროცესორი მართავს ფულადი ტრანსფერების ნაკადებს - ამცირებს გადამხდელი ბანკის სარეზერვო ანგარიშის ბალანსს და ზრდის მიმღები ბანკის სარეზერვო ანგარიშებს.

დღეისათვის საქართველოში 16 კომერციულ ბანკს და სახელმწიფო ხაზინას გახსნილი აქვთ სარეზერვო ანგარიშები ეროვნულ ბანკში. ყოველდღიურად მათ შორის ხდება უამრავი გადარიცხვა. იმის ნაცვლად, რომ თითოეულმა ბანკმა საქმე იქონიოს სათითაოდ დანარჩენ ბანკებთან და ინდივიდუალურად აკეთოს გადარიცხვები, მათ შეუძლიათ უბრალოდ გაგზავნონ საგადახდო დავალება ეროვნული ბანკის RTGS პროცესორში.

საერთო ჯამში გამოდის, რომ მთლიანად საბანკო სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ერთი დიდი ბანკი, რომელშიც უნაღდო ანგარიშსწორების პროცესში ფული გადადის ანგარიშიდან ანგარიშზე. და რადგან უნაღდო ანგარიშსწორება ეკონომიკაში შეადგენს 95%-ს, ხოლო ნაღდი ფულით ანგარიშსწორება - მხოლოდ 5%-ს, ამიტომ მთლიანად ეკონომიკაში, როგორც უკვე აღინიშნა, ფულის მიმოქცევა ძირითადად წარმოადგენს ფულის მოძრაობას „ანგარიშდან ანგარიშზე“, და არა „ხელიდან ხელში“. ხოლო ფულის მოძრაობა „ანგარიშდან ანგარიშზე“ არის მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაციული ნაკადები საბანკო სისტემის კომპიუტერულ ქსელში. ინფორმაციამ ჩაანაცვლა ბანკოტები და მონეტები ფულად მიმოქცევაში.

3. ყოველდღიურად ქვეყნის მასშტაბით უამრავი ადამიანი ახორციელებს ფულად ტრანსფერებს მხოლოდ რამდენიმე ძირითადი ბანკის მეშვეობით (იხ. ნახაზი 1.) ეს ბანკები აწარმოებენ ანგარიშებს თავიანთ კომპიუტერულ სისტემებში და როგორც წესი, გადარიცხვების მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება ურთიერთ-

საპირისპირო მიმართულებით და ყოველი დღის ბოლოს აკომპენ-სირებენ ერთმანეთს. ანუ ხდება ეგრეთ წოდებული **შიდა დღიური კლირინგი**. ამიტომ დღის ბოლოს, ცენტრალური ბანკის რეზერ-ვების ფაქტიური სიდიდე, რომელიც საჭიროებს გადარიცხვებს ბანკების სარეზერვო ანგარიშებს შორის, არის განხორციელებული ტრანსფერების საერთო ღირებულების ძალზე უმნიშვნელო ნაწილი.



ნახ. 1. ექვს კომერციულ ბანკს შორის ცენტრალური ბანკის რეზერვების შიდადღიური კლირინგის და ეთმანეთში რეზერვებით ვაჭრობის გამარტივებული სქემა.

რაც უფრო დიდია ბანკი, მით უფრო ნაკლები რეზერვები სჭირდება მას, რადგან მით უფრო მეტი ტრანსაქცია ხდება მის საკუთარ კლიენტებს შორის, და არა მისი და სხვა ბანკების კლიენტებს შორის. იგი სარგებლობს მასშტაბის უპირატესობით. ამიტომ ამ ბანკს შეუძლია კლირინგის მეშვეობით თავის კლიენტებს შორის გადარიცხვები განახორციელოს ტრანსაქციებით ცენტრალური ბანკის რეზერვების გამოყენების გარეშე, და სხვა ბანკებში პირდაპირი გადარიცხვების გარეშე. [2]

ასეთივე კლირინგს ადგილი აქვს მთლიანად საბანკო სისტემაში. როგორც მილიონობით დოლარი ყოველდღიურად გადარიცხება ერთი ბანკის ანგარიშიდან სხვა ბანკებში, დაახლოვებით ამდენივე უბრუნდება მას იგივე ბანკებიდან. ცხადია, ფულის გადინებასა და შემოდინებას შორის სხვაობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ამ ტრანსაქციების საერთო მოცულობა.

როგორც ვხედავთ, ერთი და იგივე ბანკის კლიენტებს შორის გადარიცხვები საერთოდ არ საჭიროებენ სარეზერვო ფულის გადარიცხვას სხვა ბანკებში, ხოლო სხვადასხვა ბანკების კლიენტებს შორის გადარიცხვები საჭიროებს რეზერვების ძალზე მცირე რაოდენობას. თუ ცენტრალური ბანკის რეზერვები ამოღებული იქნება ერთი ბანკის სარეზერვო ანგარიშიდან, იგი აუცილებლად ჩაირიცხება რომელიმე სხვა ბანკის სარეზერვო ანგარიშზე. ეს ნიშნავს, რომ ამ სისტემაში თითოეულმა ბანკმა იცის, რომ მთლიანად სისტემაში თითქმის ყოველთვის იქნება საკმარისი რეზერვები ყველა ტრანსფერისათვის. თუ რომელიმე ბანკს დააკლდება რეზერვები, მას შეუძლია ისესხოს სხვა კომერციული ბანკისაგან. როგორც წესი, რომელიმე მათგანს აუცილებლად აღმოაჩნდება ჭარბი რეზერვები. [2]

4. მაგრამ, თუ ყველა ბანკი ერთდროულად გაზრდის კრედიტების მოცულობას, რაც ხდება ხოლმე ეკონომიკური ექსპანსიის დროს, მაშინ მთლიანად სისტემაში გაჩნდება რეზერვების უკმარისობა. ამ შემთხვევაში ცენტრალური ბანკი ქმნის დამატებით რეზერვებს და აკმაყოფილებს კომერციული ბანკების მოთხოვნილებებს. ბანკები ან ისესხებენ, ან იყიდიან რეზერვებს (ფასიანი ქაღალდების მეშვეობით) ცენტრალური ბანკისაგან.

ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია მხედველობაში ვიქონიოთ შემდეგი გარემოება. რათა საბანკო სისტემაში არ შეიქმნას ლიკვიდობის დეფიციტი და არ შეიქმნას კრიზისის საფრთხე მთლიანად საბანკო სისტემაში, ცენტრალური ბანკი, როგორც წესი, აკმაყოფილებს კომერციული ბანკების მოთხოვნას დამატებით

რეზერვებზე. ამიტომ გამოდის, რომ ცენტრალური ბანკი კი არ განსაზღვრავს რეზერვების მეშვეობით კრედიტების საერთო რაოდენობას, არამედ, პირიქით, კომერციული ბანკები განსაზღვრავენ რეზერვების მოცულობას, რომელიც ცენტრალურმა ბანკმა უნდა მისცეს მათ სესხად იმისათვის, რომ არ შეიქმნას პრობლემები საბანკო სისტემის ფუნქციონირებაში.⁶ როგორც სტივი კინი წერს:

„თუ მთელი საბანკო სისტემა იმყოფება სარეზერვო მოთხოვნების ზღვარზე, მაშინ ფედერალურ სარეზერვო სისტემას აქვს სამი არჩევანი:

- უარი თქვას ახალი რეზერვების გამოშვებაზე და წარმოშვას საკრედიტო კრაზი;
- შექმნას ახალი რეზერვები; ან
- შეასუსტოს სარეზერვო ნორმა.

ვინაიდან ფედერალური რეზერვების ძირითადი როლი არის საკრედიტო სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, პირველი არჩევანი მიუღებელია - ამიტომ იგი ან დაამატებს საბაზისო ფულს სისტემაში, ან შეასუსტებს სარეზერვო მოთხოვნას, ან გააკეთებს ერთსაც და მეორესაც. ამგვარად, ფულის შექმნისას კაუზალობას აქვს იმის საპირისპირო მიმართულება, ვიდრე ნაჩვენებია ფულის მულტიპლიკატორის მოდელში: საკრედიტო ფულზეა დამოკიდებული ფიატური ფული. როგორც ფულის ოდენობა სისტემაში, ასევე მისი ის კომპონენტი, რომელიც შექმნილია სახელმწიფოს მიერ, კონტროლირდება თვითონ კომერციული სისტემის, და არა ფედერალური რეზერვების მიერ.“

სტივი კინი. [5]

⁶ „ბენეზი და კამპოფი ამტკიცებენ, რომ უმრავლეს შემთხვევაში, როდესაც ბანკები თხოულობენ დახარჯული რეზერვების შევსებას, ცენტრალური ბანკი თანხმდება. ამიტომ, ამ მოსაზრების თანახმად, რეზერვები არ განიცდის შეზღუდვას, რადგან, კიდლანდის და პრესკოტის სიტყვებით, დეპოზიტური მულტიპლიკატორი არის უზრალოდ მითი. ამ თეორიის თანახმად, კერძო ბანკები თითქმის მთლიანად აკონტროლებენ ფულის შექმნის პროცესს.“ [7]

მაშასადამე, 1) რადგან ცენტრალური ბანკი ყოველთვის აკმაყოფილებს კერძო ბანკების მოთხოვნას რეზერვებზე, და 2) რადგან მთლიანად საბანკო სისტემა ფაქტიურად მოქმედებს როგორც ერთი დიდი ბანკი, რომელშიც ურთიერთ საპირისპირო ტრანსაქციები აკომპენსირებენ ერთმანეთს (როგორც ცალკეული ბანკის, ასევე საბანკო სისტემის ფარგლებში), ამიტომ სარეზერვო ნორმა პრაქტიკულად ვერ ახდენს გავლენას კრედიტების მოცულობაზე და ფულის მიწოდებაზე, და, ესე იგი, ვერც ერთობლივ მოთხოვნაზე და ნომინალური მშპ-ზე.⁷ შესაბამისად, რეალურ ეკონომიკურ სექტორზე მონეტარული პოლიტიკის ზემოქმედების ეს არხი, სრულიად არაეფექტიანია.

ამიტომა, 1980-იანი წლების შემდეგ სარეზერვო ნორმის, როგორც რეგულირების ინსტრუმენტის როლი, მნიშვნელოვნად შემცირდა. [2] რიგ ქვეყნებში, როგორც არის ავსტრალია, შვედეთი, ჰონკონგი, სარეზერვო ნორმა უდრის ნულს, ევროკავშირში იგი უდრის 1%-ს. დანარჩენი ქვეყნების მონეტარულ პოლიტიკაში სარეზერვო ნორმა თამაშობს უმნიშვნელო როლს, ხოლო წამყვანი როლი დაეკისრა საპროცენტო განაკვეთის რეგულირებას.

5. ყოველივე ზემოთქმული ახასიათებს საერთოდ თანამედროვე საბანკო სისტემას. მაგრამ საქართველოში მიმდინარე პროცესების უფრო სრული სურათის შესაქმნელად, საჭიროა გავითვალისწინოთ, პირველი, ეკონომიკის ძალზე დიდი გახსნობა (იმპორტის წილი მშპ-ში შეადგენს 50%-ზე მეტს) და, მეორეც, დოლარიზაციის მაღალი დონე. დოლარიზაციის დონის შესამცი-

⁷ საინტერესოა ა. ტერნერის შენიშვნა: „... ვიკსელი განიხილავს რა მოხდება, თუ საბანკო სისტემა ორგანიზებული იქნება როგორც „ერთი ბანკი“. პასუხი მდგომარეობს იმაში, რომ სისტემაში, სადაც ყველა გადარიცხვა იქნება *ერთი* გადარიცხვები, იქ საერთოდ არ დაიბადება ფულადი რეზერვების შენახვის სტიმულები, რადგან „ერთ ბანკში“, ერთი კლიენტის ანგარიშიდან ყველა გადარიცხვები იქნება ნაჩვენები როგორც მეორე კლიენტის დეპოზიტები იმავე ბანკში. ვიკსელის ეს ფუნდამენტალური მოსაზრება უაღრესად მნიშვნელოვანია.“

[7]

რებლად გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, მრავალი მსხვილი გარიგება რეალურად ხდება დოლარებში და დოლარზე მოთხოვნა დიდია. ამიტომ, კრედიტების დიდი რაოდენობა გაიცემა დოლარებში. ეს ნიშნავს, რომ კომერციული ბანკები „არაფრიდან“ ქმნიან ფულს არა მხოლოდ ლარებში, არამედ დოლარებშიც. ანუ კომერციული ბანკები თვითონ ქმნიან უნაღდო დოლარებს ისევე, როგორც უნაღდო ლარებს. ამიტომ, სავალუტო კურსი დიდად არის დამოკიდებული არა მარტო ექსპორტის და იმპორტის თანაფარდობაზე, ან უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე, არამედ კომერციული ბანკების საქმიანობაზეც, იმაზე, თუ რომელ ვალუტაში გაიცემა კრედიტები და როგორია ლარებში და დოლარებში გაცემული კრედიტების თანაფარდობა. თუ დოლარიზაციის შემცირების მიზნით ეროვნული ბანკი შეეცდება გავლენა იქონიოს კომერციულ ბანკებზე, რათა შეზღუდონ კრედიტების გაცემა დოლარებში, ამის შედეგი იქნება დოლარის კურსის ზრდა და ლარის კურსის ვარდნა, რადგან შეიცვლება მიმოქცევაში არსებული ლარის და დოლარის მასების თანაფარდობა. როგორც წესი, სავალუტო კურსის მკვეთრი ცვლილებების მიზეზების ახსნისას, ეს ფაქტორი ნაკლებად არის გათვალისწინებული ეკონომიკური ექსპერტების მიერ. ამიტომ კურსის მკვეთრი რყევები ხშირად რჩება აუხსნელი, რაც ხელს უშლის ადეკვატური მონეტარული პოლიტიკის გატარებას. მაგრამ სავალუტო კურსის მკვეთრი ცვლილებები დაკავშირებულია არაერთგვაროვან პროცესებთან (მაგალითად, ლარის კურსის ვარდნა დადებით გავლენას ახდენს ექსპორტის და იმპორტის თანაფარდობაზე, მაგრამ სერიოზულ პრობლემებს უქმნის დოლარებში აღებული კრედიტების მსესხებლებს, რომლებიც შემოსავლებს ღებულობენ ლარებში. ცხადია, ეს დაკავშირებულია ფინანსური არასტაბილურობის საფრთხესთან, მოსახლეობის გადახდისუნარიანობის და საბაზრო მოთხოვნის შემცირებასთან, სოციალურ უკმაყოფილებასთან და სხვ.)

„აი ეს არის ცენტრალიზაცია! საკრედიტო სისტემა, რომლის ცენტრსაც წარმოადგენს ეგრეთ წოდებული ნაციონალური ბანკები და მათ ირგვლივ დაჯგუფებული ფულით მოვაჭრენი და მევახშეები, წარმოადგენენ გიგანტურ ცენტრალიზაციას, და იგი ანიჭებს ამ პარაზიტების კლასს ზღაპრულ ძალას ... რათა ყველაზე უფრო საშიში ფორმით ჩაერიონ რეალურ წარმოებაში, - და ამასთანავე, ამ ბანდამ არაფერი იცის წარმოების შესახებ და არაფერი საერთო არა აქვს მასთან.“
კარლ მარქსი. კაპიტალი, ტომი მესამე. [50]

III თავი. საპროცენტო განაკვეთი

3.1. კრედიტების განაწილება

1. ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ სარეზერვო ნორმის რეგულურება არის მონეტარული პოლიტიკის არაფექტიანი ინსტრუმენტი. მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას საპროცენტო განაკვეთის რეგულირებაზეც, რომელიც დღეს ითვლება მონეტარული პოლიტიკის ძირითად საშუალებად. ილუზია იმის თაობაზე, რომ საპროცენტო განაკვეთის რეგულირებით ცენტრალურ ბანკს შეუძლია არეგულიროს ფულის მიწოდება, ფასების დონე, ერთობლივი მოთხოვნა და ეკონომიკური ზრდა, ასევე განპირობებულია მცდარი ეკონომიკური თეორიით.

ამ თეორიის თანახმად საპროცენტო განაკვეთი, ანუ ფულის ფასი,⁸ ისევე არეგულირებს ფულის ბაზარს, როგორც საბაზრო ფასი არეგულირებს ნებისმიერ სხვა ბაზარს. მაგრამ ფულზე მოთხოვნა და ფულის მიწოდება განსხვავდება სხვა საქონლის ან მომსახურების მოთხოვნისა და მიწოდებისაგან. ამ შემთხვევაში არ

⁸ უფრო ზუსტად, ფულით დროებით სარგებლობის უფლების ფასი.

მოქმედებს კლებადი სარგებლიანობის პრინციპი. ანუ, იგნორირებულია ფულის ბაზრის სპეციფიკა. საქონელზე და მომსახურებაზე მოთხოვნა შეიძლება იქნეს დაკმაყოფილებული გარკვეული რაოდენობით. გარკვეული ზღვარის შემდეგ მათი რაოდენობის ზრდას აღარ მოაქვს დამატებითი სარგებლიანობა. ასე არაა ფულის შემთხვევაში. ფულზე მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ ფულის მიწოდება ყოველთვის ნაკლებია ფულზე მოთხოვნასთან შედარებით. [8] ეს ნიშნავს, ჯერ ერთი იმას, რომ კრედიტების ბაზარი განისაზღვრება კრედიტების რაოდენობით, რომელსაც აწვდიან კომერციული ბანკები და მეორეც, იმას, რომ ბანკების გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული, თუ ვინ მიიღებს კრედიტს და ვინ - არა.

2. მოსაზრება, რომ ბანკები ბაზარს მიაწვდიან იმდენ კრედიტს, რამდენზეც არის მოთხოვნა და რომ ფულის ბაზარი გაწონასწორდება ცენტრალური ბანკის მიერ ტარგეტირებული განაკვეთის დონეზე - არ შეესაბამება რეალობას. ასე რომ იყოს, კრედიტებზე დიდი მოთხოვნის გამო, საბაზრო განაკვეთი ჩამოყალიბდება მაღიან მაღალ დონეზე. ეს გამოიწვევს რაციონალური მსესხებლების განდევნას ბაზრიდან და დატოვებს მხოლოდ მაღალ რისკზე ორიენტირებულ მსესხებლებს. ამის შედეგად გაიზრდება პროექტების გაკოტრების და დაუბრუნებელი სესხების რაოდენობა. ბანკები ვერ შეძლებენ მოგების მაქსიმიზაციას.

როგორც წესი, გაუწონასწორებელ ბაზრებზე ადგილი აქვს ნორმირებულ განაწილებას ანუ *რაციონირებას*. ასეთი ბაზრები განისაზღვრება არა საბაზრო ფასით (ჩვენს შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთით), არამედ საქონლის რაოდენობით, რომელსაც განსაზღვრავს მოთხოვნა, ან მიწოდება, იმისდა მიხედვით, თუ რომელი მხარეა დეფიციტური. მასზეა დამოკიდებული ბაზარზე შექმნილი სიტუაცია. ემპირიული გამოცდილებიდანაც ვიცით, რომ ბანკები არ აძლევენ კრედიტს ყველას, ვისაც

მოესურვება და იმდენს, რამდენიც მოესურვება. საბოლოო გადაწყვეილებას კრედიტების თაობაზე ღებულობენ ბანკები. [44] კრედიტის მიღების მსურველები ყოველთვის მეტია, ვიდრე - გაცემის. ეს გარემოება უკვე თავის თავად მიუთითებს იმაზე, რომ საკრედიტო ბაზარზე ადგილი აქვს რაციონირებას.

„ბანკირის როგორც კრედიტის შემქმნელის და დილერის ფუნქცია არის მეწარმეების მიერ შემოთავაზებული მრავალი პროექტიდან გააკეთოს არჩევანი ... ზოგს მისცეს შესაძლებლობა განახორციელოს თავისი გეგმები, დანარჩენს კი უთხრას უარი.“

ჟოზეფ შუმპეტერი. [9].

3. რადგან ფულის ბაზარი არ არის გაწონასწორებელი, ამიტომ საპროცენტო განაკვეთი ყალიბდება არა იმ დონეზე სადაც კრედიტზე მოთხოვნა და მიწოდება აწონასწორებენ ერთმანეთს, არამედ იქ, სადაც საბანკო სისტემა ახდენს მოგების მაქსიმიზაციას. ანუ იქ, სადაც პროცენტის ზრდით გამოწვეული შემოსავლების ზრდა დაბალანსდება დაუბრუნებელი სესხებით გამოწვეულ ზარალს. რადგან ცხადია, რომ ერთი მხრივ, წარმატებული პროექტების შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთის ზრდა იწვევს შემოსავლების ზრდას. მაგრამ, მეორე მხრივ, განაკვეთის ზრდა იწვევს ნორმალური პროექტების განდევნას ბაზრიდან და ძალიან სარისკო პროექტების მომრავლებას. ცხადია, ამის შედეგად გაიზრდება გაკოტრების შემთხვევებიც, უიმედო ვალებიც და ბანკების ზარალიც. სხვა სიტყვებით, საპროცენტო განაკვეთის გაზრდა საბაზრო წონასწორობის დონემდე უარყოფითად იმოქმედებს ბანკების შემოსავლებზე. ამიტომ ბანკების მხრიდან კრედიტების მიწოდება ნაკლებია, ვიდრე მათზე მოთხოვნა.⁹

⁹ თავის სანობელო ლექციაში ჯ. სტიგლიცმა განაცხადა : „ინფორმაციის არასრულყოფილებით განმსჭვალულია მთლინად ეკონომიკა: მართლაც ძნელია წარმოვიდგინოთ თუ როგორი იქნებოდა მსოფლიო სრულყოფილი ინფორმაციის

რეფინანსირების განაკვეთის მეშვეობით ცენტრალურ ბანკს შეუძლია ზემოქმედება ბანკთაშორის ფულის ბაზარზე. მაგრამ ეს გავლენა ნაკლებად აისახება კომერციული ბანკების მიერ გაცემულ კრედიტებზე, რადგან აქ ადგილი აქვს რაციონირებას და განსხვავებული ლოგიკით ყალიბდება საპროცენტო განაკვეთები. კრედიტების მოცულობას განსაზღვრავს არა საპროცენტო განაკვეთი, არამედ ბანკების რწმენა, რომ მსესხებელი შეძლებს ვალის დაბრუნებას და რომ სხვა ბანკებიც და მთლიანად საბანკო სისტემა იქნება გადახდისუნარიანი. შესაბამისად, კრედიტებს ანაწილებენ კომერციული ბანკები და არა საბაზრო მექანიზმი. [10]

3.2. მარადიული ვალი

ფული ვერ შეიქმნება ვერც რეალურ სექტორში წარმოების პროცესში, ვერც ფულად-სასაქონლო მიმოქცევაში, ვერც საფინანსო სპეკულაციების სფეროში. როგორც უკვე აღინიშნა, ფული იქმნება კრედიტების გაცემის პროცესში, ხოლო მათი დაბრუნების დროს ნადგურდება იმავე რაოდენობით. პრაქტიკულად, მიმოქცევაში

პირობებში. ... სხვადასხვა ადამიანებმა იციან სხვადასხვა რამ: მშრომელმა მეტი იციან თავიანთი შესაძლებლობების შესახებ, ვიდრე ფირმამ; დაზღვევის მყიდველმა მეტი იცის თავისი ჯანმრთელობის შესახებ, იმის შესახებ ბევრს ეჩვენა და სვავს თუ არა, ვიდრე სადაზღვევო კომპანიამ; მანქანის მფლობელმა მეტი იცის მანქანის შესახებ, ვიდრე მისმა პოტენციურმა მყიდველმა; ფირმის მფლობელმა მეტი იცის ფირმის შესახებ, ვიდრე პოტენციურმა ინვესტორმა; მსესხებელმა მეტი იცის თავისი რისკის და დამატებით ასაღები რისკის შესახებ, ვიდრე კრედიტორმა.“ [11]. „სტიგლიცი აღნიშნავს, რომ იდეა კრედიტის რაციონირების შესახებ პირველად გამოთქვა ადამ სმიტმა. მაგრამ სმიტის შემდეგ ეკონომისტებმა ვერ შეძლეს იმის გარკვევით ახსნა, თუ რატომ ხდება ეს. ასიმეტრიული ინფორმაციის თეორიის ფარგლებში სტიგლიცმა და ვეისმა წამოიწყეს დისკუსია, რომელიც დღეს განვითარდა და რომლის თანახმადაც ბანკებს, არიან რა ისინი ნაკლებად ინფორმირებულ პრინციპალები, საქმე აქვთ საკუთარი რისკის შესახებ უკეთ ინფორმირებულ მსესხებლებთან. ასეთ პირობებში შეიძლება დაიბადოს საპროცენტო განაკვეთის ორი წონასწორობა, და საპროცენტო განაკვეთი შეიძლება გამოყენებულ იქნეს არჩევანის გასაკეთებლად. მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში, კარგი მსესხებლები იქნებიან განდევნილი, ზუსტად ისე, როგარც აღნიშნავდა ადამ სმიტი.“ [12]

არსებული მთელი ფული ასე იქმნება და ნადგურდება. მაგრამ, რადგან კრედიტზე ირიცხება პროცენტები, ამიტომ გამოდის, რომ ვალის დაფარვისას ხდება უფრო მეტი ფულის დაბრუნება, ვიდრე გაიცემა კრედიტის ალბისას. ბუნებრივია, იბადება კითხვა - საიდან იბადება ფული პროცენტების გადასახდელად? თუ ლაპარაკია ცალკეულ მსესხებლებზე, მაშინ ცხადია, რომ ის მსესხებლები, რომელთაც ეფექტიანად განახორციელებენ ფულის ინვესტირებას მომგებიან პროექტებში, გადაიხდიან პროცენტებს მომავალი შემოსავლებიდან. ისინი, ვინც ვერ შეძლებენ ამის გაკეთებას - გაკოტრდებიან და ბანკები მიითვისებენ გირაოში ჩადებულ ქონებას. მაგრამ, როდესაც ლაპარაკია მთლიანად ეკონომიკაზე, მაშინ კითხვა უნდა დაისვას სხვაგვარად. კერძოდ, მთლიანად საბანკო სისტემას უნდა დაუბრუნდეს მეტი ფული, ვიდრე გაცემულია კრედიტების სახით. და ფულის ეს ნამეტი შეიძლება იქნეს ალბებული ასევე მხოლოდ კრედიტის სახით, რადგან ფულის მიღების სხვა წყარო უბრალოდ არ არსებობს. მაგრამ პროცენტების დასაფარად ალბებული კრედიტები თვითონაც საჭიროებენ პროცენტების გადახდას. ანუ გარდუვალია, რომ ეკონომიკაში ყოველთვის ვინმეს მოუწევს ახალი კრედიტების ალბა, რათა გაისტუმროს ადრე ალბებული კრედიტები. [3] შესაბამისად, კრედიტების საერთო მოცულობა იზრდება, და გადახდას საჭიროებენ სულ უფრო და უფრო მეტი პროცენტები. ამის შედეგად ფულის მასა გამუდმებით იზრდება და ინფლაცია იღებს პერმანენტულ ხასიათს. ფულის მსყიდველობითი უნარი მცირდება და აქედან მთელ სარგებელს ღებულობენ ბანკები.¹⁰

¹⁰ „დღეს თანამედროვე ფული ბანკების მიერ იქმნება არაფრიდან უფრო დახვეწილი მეთოდებით, მაგრამ პრინციპები დარჩა იგივე, და ყველაზე არსებითი ხარვეზი ისევ რჩება სისტემაში. როდესაც ბანკები ქმნიან ფულს, ისინი არ ქმნიან მას საკმარისად იმისათვის, რომ გადახდილ იქნეს პროცენტები იმ კრედიტებზე, რომლითაც შეიქმნა ეს ფული. მაგალითად, თუ მთლიანობაში საბანკო სისტემამ შექმნა 100 ერთეული ფული დღეს და გასცა კრედიტის სახით წლიურ 10%-ად, მაშინ მომდევნო წელს მსესხებლების მიერ დაბრუნებული უნდა იქნეს 110

„ის, ვინც აკონტროლებს ფულის რაოდენობას ჩვენს ქვეყანაში, არის მთლიანად მრეწველობის და ვაჭრობის სრული ბატონ-პატრონი. ... და როდესაც თქვენ გესმით, რომ სისტემა ძალზე მარტივად იმართება სხვადასხვა გზებით პირამიდის თავში მყოფი რამდენიმე გავლენიანი ადამიანის მიერ, მაშინ აღარაა საჭირო თქვენთვის იმის ახსნა, თუ როგორ იბადება ინფლაციის და დეპრესიის პერიოდები.“
ჯეიმს გარფილდი, ამერიკის პრეზიდენტი, 1881 წ.

IV თავი. არასტაბილურობა და კრიზისი

4.1. საფინანსო სექტორის ზრდა

1. სასაქონლო მასასთან მიმართებაში ფულის მასის წინმსწრები ზრდა ვერ გაგრძელდება უსასრულოდ. წარმოიშობა ფინანსური ბუშტი, რომელიც სკდება და რომელსაც გარდუვალად მოსდევს საფინანსო (და, ხშირად, ეკონომიკურიც) კრიზისი. „ისევე როგორც ფულის მასა იზრდებოდა საბანკო მულტიპლიკატორის შესაბამისად, კრედიტების „არაფრიდან“ შექმნით გამოწვეული

ერთეული. მაგრამ საიდან გაჩნდება დამატებით 10 ერთეული? თანამედროვე საბანკო სისტემაში პასუხი არის ასეთი, რომ საბანკო კრედიტების და მათზე დარიცხული პროცენტების მთლიანად გადახდა საჭიროებს ფულის დამატებითი რაოდენობის შექმნას. ეს დიდი პრობლემა იმიტომ, რომ დღეს ყველა განვითარებულ ქვეყანაში მხოლოდ საბანკო სისტემა ქმნის ახალი ფულის უმეტესობას. და რადგანაც საბანკო სისტემა ახალ ფულს ქმნის მათი კრედიტად გაცემის გზით, ამის შედეგად ვიღებთ მეტ ვალებს და ამიტომ ციკლები გრძელდება. სულ უფრო და უფრო მეტი ფულით ივსება გარემო, სულ უფრო და უფრო იზრდება ვასები და გვეუფლება განცდა, რომ ვალების გროვა არასოდეს შემცირდება.“ [13].

ეკონომიკური ექსპანსია, საბოლოო ანგარიშით, იწვევს ენდოგენურ ვარდნას, რომელიც, მკვეთრად ამცირებს ფულის მასას. ეს ხდება კრედიტების ნაადრევი დაფარვის და საკრედიტო დავალიანებების მოცულობის ზრდის ფართოდ გავრცელების გამო. ამიტომ, ნაწილობრივი რეზერვების საბანკო სისტემა ქმნის ძალზე ელასტიკურ ფულად მასას, რომელიც ადვილად „იწელება“, მაგრამ შემდეგ ასევე ადვილად უნდა შეიკუმშოს, რაც შესაბამის გავლენას ახდენს ეკონომიკურ აქტიობაზე, რომელიც პერიოდული თანმიმდევრობით გაივლის აღმავლობის და ვარდნის ფაზებს. ეკონომიკური აქტიობის „მანიაკალურ-დეპრესიული“ ხასიათი, ყველა თავისი მძიმე და მტკივნეული სოციალური შედეგებით, უდავოდ წარმოადგენს თანამეროვე საბანკო სისტემის მიერ საზოგადოებაზე განხორციელებულ ყველაზე დამღუპველ და დამანგრეველ ზემოქმედებას.“ [14, გვ.196-197].

2. კეინზიანურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც ეფუძნებოდა ფისკალური მეთოდებით ერთობლივი მოთხოვნის ხელოვნურ სტიმულირებას, ხელი შეუწყო განვითარებული ქვეყნების ინტენსიურ ეკონომიკურ ზრდას კრიზისების გარეშე თითქმის 30 წლის განმავლობაში (მეორე მსოფლიო ომის შედეგ 70-ან წლებამდე). მაგრამ ამ მეთოდების უზომოდ გამოყენებამ წარმოშვა მსოფლიო ეკონომიკის ხანგრძლივი სტაგფლაცია და უამრავი პრობლემა, რამაც აიძულა ეს ქვეყნები უარი ეთქვათ კეინზიანურ მეთოდებზე. სტაგფლაციაზე რეაქცია იყო რ. რეიგანის და მ. ტეტჩერის მიერ ინიცირებული ეკონომიკური პოლიტიკა. იგი გახდა ეკონომიკაში ლიბერალური შეხედულებების, ეკონომიკის, და, მათ შორის, ფინანსური სექტორის, დერეგულირების აღორძინების მათწყებელი. ნეოლიბერალურმა პოლიტიკამ, და მის მიერ განპირობებულმა საბანკო სექტორის ზედმეტმა თავისუფლებამ, წარმოშვეს პროცესები, რომლებმაც გამოიწვიეს საფინანსო სექტორის მკვეთრი ზრდა, მისთვის დამახისიათებელ ფინანსურ არასტაბილურობასთან ერთად. მართალია ნეოლიბერალურმა

პოლიტიკამ შეძლო სტაგფლაციის დაძლევა და გარკვეული პერიოდით უზრუნველყო ეკონომიკური ზრდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, სწორედ ამ პოლიტიკის ლოგიკური შედეგი იყო 2008-2010 წლების ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი. და ამ კრიზისის გარდუვალობა მეცნიერულად იყო დასაბუთებული პოსტკეინზიანელის ჰაიმან მინსკის მიერ, ხოლო მის თეორიაზე დაყრდნობით მისი მიმდევრების მიერ პრაქტიკულად ნაწინასწარმეტყველები იყო 2008 წლამდე დიდი ხნით ადრე.

3. ზოგადად, ნეოლიბერალური პოლიტიკის ლოგიკა ეფუძნება ფისკალური მეთოდებით ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირების ჩანაცვლებას მონეტარული მეთოდებით. როდესაც 70-იან წლებში კეინზიანურმა პოლიტიკამ ამოწურა ფისკალური მეთოდებით ერთობლივი მოთხოვნის გამყარების და მშპ-ის ზრდის შესაძლებლობები, მოთხოვნის გამყარება საბანკო კრედიტებით თავდაპირველად ბადებდა პრობლემის გადაჭრის ილუზიას. ნეოკლასიკოსების ასეთმა სტრატეგიამ წარმოშვა გვერდითი მოვლენები და დამთავრდა სრული იმედგაცრუებით. მაგრამ მთავარი პრობლემა ნეოკლასიკოსებმა მაინც ვერ გადაჭრეს. საერთოდ რატომ დაიბადა ერთობლივი მოთხოვნის ხელოვნური სტიმულირების საჭიროება? (ეს პრობლემა კეინზმა მოაქცია ყურადღების ცენტრში და შემოგვთავაზა ამ პროცესის თავისებური ახსნა. მაგრამ მისმა თეორიამ მხოლოდ ნაწილობრივ ახსნა პრობლემა, მაგრამ ვერ შეძლო გამოევილინა ამ პროცესის სიღრმისეული მიზეზები. ამიტომ მის თეორიაზე დაფუძნებულმა პოლიტიკამ ვერ მოიტანა სასურველი შედეგები)

4. ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგად, რომელიც ტარდებოდა 80-იანი წლებიდან, კერძო ბანკების მიერ შექმნილმა კრედიტებმა, ფულმა და მსყიდველობითმა უნარმა ითამაშეს გადამწყვეტი როლი 2008 წლის მსოფლიო კრიზისის აღმოცენებაში. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ფინანსური სექტორის ლიბერალიზაციით განპირობებული ეკონომიკის საფინანსო

სექტორის მკვეთრი ზრდა. განვითარებულ ქვეყნებში საშუალოდ კერძო სექტორის ვალი მშპ-თან მიმართებაში გაიზარდა 50%-დან 1950 წელს 170%-მდე 2006 წელს. [15]. ერთი საკითხია, კარგია ეს, თუ ცუდი, მაგრამ ცხადია, რომ ვალების ასეთი მკვეთრი ზრდის შედეგად, დაიბადა სრულიად ახალი ეკონომიკური რეალობა. თანამედროვე ეკონომიკა და 50-იანი წლების ეკონომიკა სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

„50 წლის განმავლობაში კერძო სექტორის საკრედიტო მხარი - კრედიტი გაყოფილი მშპ-ზე - სწრაფად გაიზარდა ყველა განვითარებულ ქვეყანაში; 1950 წლიდან 2006 წლამდე იგი გასამმაგდა. ... საკრედიტო მხარი გაიზარდა იმიტომ, რომ კრედიტი იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ნომინალური მშპ. ორი ათწლეულის მანძილზე 2008 წლამდე, მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ტიპური სურათი იყო ის, რომ კრედიტი იზრდებოდა წელიწადში 10-15%-ით, ხოლო ნომინალური ეროვნული შემოსავალი - 5%-ით. მაშინ ისე ჩანდა, თითქოს კრედიტების ასეთი ზრდა აუცილებელი იყო ადეკვატური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. ... ისე ჩანს, თითქოს ჩვენთვის აუცილებელია კრედიტების უფრო სწრაფი ზრდა მშპ-თან შედარებით იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ეკონომიკური ზრდა მისაღებ დონეზე, მაგრამ ამას გარდუვალად მივყავართ კრიზისამდე, ვალების წნეხის ზრდამდე და პოსტ-კრიზისულ რეცესიამდე.“

ადაირ ტერნერი. [16, გვ. 7].

5. მთლიანად საფინანსო სექტორი იმდენად გაიზარდა, რომ გაიჩინა განვითარების საკუთარი წყაროები და მისი კავშირი რეალურ სექტორთან შესუსტდა და დაიწყო ნეგატიურად ზემოქმედება მის განვითარებაზე. საფინანსო ნაკადები სულ უფრო წყდება საქონლისა და მომსახურების ნაკადებს. ფინანსური ტრანსაქციების მზარდი დისტანცირება რეალური სექტორის განვითარებისაგან

ბადებს ფინანსური კაპიტალის დაგროვების დაშორებას რეალური კაპიტალის ფორმირებისაგან. თუ თავდაპირველად ფინანსური სექტორი ემსახურებოდა ინვესტიციების ეფექტიანობის ზრდას და ხელს უწყობდა დაბანდებას რეალურ ეკონომიკურ სექტორში, გარკვეული პერიოდიდან მან დაიწყო, პირიქით, რეალური სექტორიდან ინვესტიციების „გადაბირება“. კაპიტალის გადადინება ფინანსურ სექტორში ხდება ფინანსურ აქტივებში ინვესტირების მეტი მიმზიდველობის გამო. მრავალი ფორმა მათში აბანდებს გაუნაწილებელ მოგებას, ნაცვლად იმისა, რომ მოახ-დინოს მისი რეინვესტირება წარმოებაში.

6. რისკი და არასტაბილურობა, რომელსაც ბადებს ფინანსური სექტორი, უარყოფითად ზემოქმედებენ ეკონომიკაზე. ფინანსური მაჩვენებლების მერყეობის ზრდა განაპირობებს არა მარტო თვითონ ფინანსური სექტორის, არამედ მთლიანად ეკონომიკური აღწარმოების პროცესის არასტაბილურობას. ფინანსური სექტორის არასტაბილურობა ძირს უთხრის გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის შესაძლებლობებს, საჭიროებს რისკებისაგან დაზღვევის კოლოსალურ ხარჯებს და ა.შ. ეკონომიკის ფუნქციონირების არასტაბილურობის და გაურკვევლობის ზრდის უშუალო რეზულტატს წარმოადგენენ კრიზისები. 2008-2010 წწ. კრიზისის შემდეგ ეკონომისტების ყურადღების ცენტრში მოექცა ამერიკელი ეკონომისტის ჰაიმან მინსკის ფინანსური არასტაბილურობის თეორია.

4.2. „ფინანსური არასტაბილურობის ჰიპოთეზა“

1. ფინანსური ბაზრების არასტაბილურობას ჰ. მინსკი აკავშირებდა სპეკულაციური ბუშტების წარმოქმნასთან. ნორმალურ პირობებში, როდესაც ჯერ კიდევ არ არის წაშლილი მეხსიერებიდან ახლო წარსულში მომხდარი ფინანსური კრაზი, ბანკები და მსესხებლები გაურბიან რისკს. ამის შედეგად მსესხებლებს

გააჩნიათ მცირე საკრედიტო მხარი (ვალის თანაფარდობა საკუთარ კაპიტალთან), ხოლო მათი შემოსავლების თანაფარდობა გადასახად პროცენტებთან - დიდია. ასეთი კონსერვატიული პოლიტიკის შედეგად საინვესტიციო პროექტების უმრავლესობა წარმატებულია, ძლიერდება ოპტიმისტური განწყობილებები. იწყება აყვავების პერიოდი, როდესაც მსესხებელთა შემოსავლები იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე ეს საჭიროა ვალების დასაფარად, ვითარდება სპეკულაციური ეიფორია. იზრდება მოთხოვნა კრედიტებზე და იზრდება საპროცენტო განაკვეთები. მზარდი ოპტიმიზმი ხელს უწყობს რისკისადმი მიდრეკილების ზრდას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს საკრედიტო მხარის ზრდას, რაც მსესხებლებს ხდის უფრო მგრძობიარეს საპროცენტო განაკვეთის ზრდისადმი. განაკვეთების ზრდის გამო კომპანიებისთვის სულ უფრო ძნელი ხდება საკუთარი შემოსავლებით ვალების მომსახურება. ახალი კრედიტების გაცემა იწყებს შენელებას. ხოლო საკრედიტო ექსპანსიის გარკვეულ ეტაპზე კრედიტების სიდიდე აღემატება იმ მოცულობას, რომლის დაბრუნებაც ფირმებს შეუძლიათ თავისი შემოსავლებიდან. ასეთი სპეკულაციური საკრედიტო ბუშტის წარმოქმნის გამო ბანკები ზღუდავენ კრედიტების გაცემას და კრედიტი ნაკლებად ხელმისაწვდომი ხდება იმ კომპანიებისთვისაც კი, რომლებსაც შეუძლიათ ვალების გასტუმრება და ეკონომიკა იწყებს ვარდნას. [17]

2. ეს თეორია მინსკიმ წამოაყენა 60-იან და 70-იან წლებში. მაშინ კავშირი საფინანსო ბაზრებსა და რეალურ ეკონომიკას შორის ჯერ არ იყო ისე ცხადად გაცნობიერებული მეცნიერებაში, როგორც დღეს. ეს თეორია გასაგებს ხდის რატომ ხდება საფინანსო სისტემის მოძრაობა სტაბილურობიდან არასტაბილურობისაკენ, რომელიც მთავრდება კრიზისით. ამასთან, იგი ხაზგასმით მიუთითებდა ცენტრალური ბანკების, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორების, მნიშვნელობაზე. ამ თეორიაში, რომელსაც ჰ. მინსკიმ უწოდა „ფინანსური არასტაბილურობის ჰიპოთეზა“,

მოხდა ცნობილი ეკონომისტების მიერ მეცნიერულ ბრუნვაში უკვე დამკვიდრებული იდეების სინთეზირება.¹¹ 1974 წელს ჰ. მინსკი წერდა: „ჩვენი ეკონომიკის ფუნდამენტური თვისება არის ის, რომ საფინანსო სისტემა მერყეობს სტაბილურობასა და არასტაბილურობას შორის, და ეს რყევები წარმოადგენენ იმ პროცესის განუყრელ ნაწილს, რომელიც ბადებს ეკონომიკურ ციკლებს.“ [17, გვ. 5] მას მიაჩნდა, რომ ძირითადი მიზეზი, რომელიც ეკონომიკას უბიძგებს კრიზისისაკენ, არის კერძო სექტორში ვალების დაგროვება. ამიტომ ჰ. მინსკი იყო იმ დერეგულირების წინააღმდეგი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 80-იან წლებში.

3. კრიზისები პერიოდულად ჩნდებოდნენ მე-19 საუკუნეში. კრიზისები ჩვეულებრივი მოვლენა იყო იქამდე, სანამ ეგრეთ წოდებული „დიდი მთავრობა“ (“big government”) გახდებოდა ნორმად საბაზრო ეკონომიკაში. მაგრამ 30-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ შემდეგ მრავალი წლის მანძილზე ღრმა კრიზისები აღარ იბადებოდა. და მაშინ ჰ. მინსკიმ დასვა კითხვა:

¹¹ მინსკის თეორიის საფუძველზე სტივი კინმა შექმნა მათემატიკური მოდელი და იყო ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ეკონომისტებს შორის, რომლებმაც იწინასწარმეტყველეს 2008-2010 წწ. კრიზისი. „პოსტ-კეინზიანური და ავსტრიული სკოლები აშკარად ითვალისწინებდნენ თავიანთ ეკონომიკურ მოდელებში კრედიტს და ფულს, და ამ სკოლების მრავალი ეკონომისტი ელოდა კრიზისს - პირველი ჯგუფი იმიტომ, რომ იცნობდა ჰაიმან მინსკის „არასტაბილურობის ჰიპოთეზას“, ხოლო მეორე - იმიტომ, რომ იცნობდა ჰაიეკის არგუმენტებს დაბალი საპროცენტო განაკვეთის თაობაზე, რომელსაც ზედმეტად დაბალ დონეზე აკავებდა მთავრობის პოლიტიკა. მე შევიმუშავე იმის მათემატიკური მოდელი, თუ როგორ შეიძლება მოხდეს კრიზისი. ეს მოდელი დინამიკაში ასახავს გვიანდელი ჰაიმან მინსკის ეკონომიკურ შეხედულებებს დისბალანსის თაობაზე, რომლებიც, თავის მხრივ, ეყრდნობოდნენ არანეოკლასიკოსი დიდი მოაზრობნეების - მარქსის, შუმპეტერის, ფიშერის და კეინზის მიგნებებს. მინსკის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ ეს ინდივიდუალურად ძლიერი და მწყობრი, მაგრამ არასრული ანალიზები ჩააწნა ერთ თანმიმდევრულ ქსოვილში, რომელიც გვაგებინებს კაპიტალიზმის უდიდეს სისუსტეს: მის მიდრეკილებას განიცადოს არა მხოლოდ ეკონომიკური ციკლები, არამედ აგრეთვე შემთხვევითი დეპრესიებიც, რომლებიც პრობლემურს ხდიან თვით კაპიტალიზმის სიცოცხლისუნარიანობას.“ [18, გვ. 38]

„შეიძლება „იგი“ - დიდი დეპრესია - ისევ მოხდეს? და თუ „იგი“ შეიძლება მოხდეს, მაშინ რატომ არ მოხდა „იგი“ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში? ეს კითხვა ბუნებრივად გამომდინარეობს როგორც ისტორიის ჩანაწერებიდან, ასევე ბოლო 35 წლის შედარებითი წარმატებიდან. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად უნდა გვექონდეს ეკონომიკური თეორია, რომელიც დიდ დეპრესიას გახდის ერთ-ერთ შესაძლებელ მდგომარეობად, რომელშიც შეიძლება აღმოჩნდეს ჩვენი ტიპის კაპიტალისტური ეკონომიკა.“

***ჰაიმან მინსკი.** [19, გვ. 5].*

ადეკვატურ ეკონომიკურ მოდელს უნდა შეეძლოს დეპრესიის, როგორც ერთ-ერთი შესაძლებელი რეზულტატის, გენერირება. მაგრამ, ნეოკლასიკური თეორიის აბსტრაქტულ მოდელს არ შეუძლია არასტაბილურობის გენერირება. ამიტომ ჰ. მინსკი ცალსახად უარყოფდა ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიას. ნეოკლასიკოსები არ ითვალისწინებენ ფინანსური სექტორის როლს; ბანკების შესაძლებლობებს შექმნან კრედიტი, ფული და მსყიდველობითი უნარი; მომავალის გაურკვეველობით წარმოქმნილ პრობლემებს და ა.შ.

„ფული არ არის ლითონი. იგი არის დაფიქსირებული ნდობა. და თითქოს არა აქვს მნიშვნელობა სად არის იგი დაფიქსირებული: ვერცხლზე, თიხაზე, ქაღალდზე, თუ დისპლეის თხევად კრისტალებზე.“

ნეილ ფერგიუსონი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი. [31, გვ.30].

V თავი. ფულის თეორია

1. ყველა ზემოხსენებული პრობლემის უკან დგას „ეკონომიქსის“ სახელმძღვანელოებში გადმოცემული სტანდარტული ნეოკლასიკური თეორიის მცდარი დოგმები. აღსანიშნავია, რომ მრავალი საინტერესო და უფრო რეალური იდეა იქნა წამოყვებული დიდი ხნის წინ ისეთი ეკონომისტების მიერ, როგორებიც არიან ჰ. მაკლეოდი, ფ. ვიზერი, კ. ვიკსელი, ი. ფიშერი, ი. შუმპეტერი, ფ. ხაიეკი, ჯ. კეინზი, ჰ. მინსკი და სხვ. მრავალი საინტერესო კონცეფცია წამოაყენეს პოსტკეინზიანელებმა და ახალმა კეინზიანელებმა. მაგრამ ნეოკლასიკოსები ახდენენ ყოველივე ამის იგნორირებას თავიანთი დოგმების დაცვის მიზნით. ხოლო ეს დოგმები არ არის მხოლოდ მეცნიერული ახირებები. ეს დოგმები სჭირდებათ მათ იმისათვის, რათა „მეცნიერულად“ გაამართლონ ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა. ამ პოლიტიკის არაეფექტიანობაზე მეტყველებს თვით ეკონომიკური რეალობა. მრავალი გამოჩენილი მეცნიერი სწორედ მას აკისრებს ბრალად როგორც მსოფლიოში უდიდესი ეკონომიკური კრიზისების (30-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ და 2008-2010 წლების „დიდი

რეცესიის“) პროვოცირებას,¹² ისე აბსურდამდე მისულ ეკონომიკურ უთანაბრობას ქვეყნების შიგნით და ქვეყნებს შორის.¹³ ქვეყნით განხილულია თეორიის რამდენიმე ასპექტი, რომელთაც აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა ნეოკლასიკოსების იმ „მეცნიერული“ დებულებების არამართებულობის გასაგებად, რომელსაც ეფუძნება როგორც თანამედროვე საბანკო სისტემა, ისე ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკა.

2. პირველ რიგში საჭიროა აღინიშნოს, რომ მეინსტრიმში პრობლემურად რჩება თვით ფულის და კრედიტის არსის გაგება და, შესაბამისად, ფულის მიწოდების ინდიკატორების გაგებაც, რომლებიც გამოიყენება მონეტარული პოლიტიკის შესამუშავებ-

¹² „კომერციული ბანკების ხელში არსებული ეს ფულის შექმნის ძალაუფლება მიჩნეული იყო როგორც 30-იანი წლების „დიდი დეპრესიის“, ასევე 2007-2009 წლების ფინანსური კრიზისის ერთ-ერთ ძირითდ მიზეზად.“ [20].

¹³ 2007 წლისათვის აშშ-ში „მდიდრების 1% კვირაში დეზულობდა 40%-ით მეტ შემოსავალს, ვიდრე [მოსახლეობის] ქვედა მეხუთედი წლის განმავლობაში; ზედა 0,1% დღენახევარში იღებდა დაახლოებით იმდენს, რამდენსაც ქვედა 90% იღებდა მთელი წლის განმავლობაში; ხოლო უმდიდრესი 20% გადასახადების გადახდის შემდეგ მთლიანობაში იღებდა მეტს, ვიდრე ერთად აღებული ქვედა 80%.“ [20, გვ.15]. „... ზოლო ოცდაათი წლის განმავლობაში დაბალ ხელფასიან მშრომელებს (ქვედა 90%) ხელფასი გაეზარდათ მხოლოდ 15%-ით, მაშინ როდესაც ზედა 1%-ს ხელფასი გაეზარდა თითქმის 150%-ით, ხოლო ზედა 0,1%-ს - 300%-ზე მეტით.“ [20, გვ.17]. „მსოფლიოს სიმდიდრე გაყოფილია ორად: თითქმის ნახევარი მოდის მდიდარ ერთ პროცენტზე; მეორე ნახევარი - დანარჩენ 99 პროცენტზე.“ [22, გვ. 1]. „მსოფლიო სიმდიდრის თითქმის ნახევარი მოდის მოსახლეობის უმდიდრეს ერთ პროცენტზე. მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანების 1%-ის სიმდიდრე დღეს აღწევს 110 ტრილიონ დოლარს. ეს 65-ჯერ აღემატება მსოფლიო მოსახლეობის ქვედა ნახევარის სიმდიდრეს. ... მსოფლიო მოსახლეობის ქვედა ნახევარი ფლობს ისეთივე სიმდიდრეს, რაც მსოფლიოს უმდიდრესი 85 ადამიანი.“ [22]. „მსოფლიოში ადამიანების დაახლოებით 80% ფლობს მსოფლიო სიმდიდრის მხოლოდ 6%-ს. მართლაც, მხოლოდ 80 ადამიანს ერთად აქვთ იმდენივე სიმდიდრე, რაც უღარიბეს 3 მილიარდ ადამიანს. ასეთი უთანაბრობა გადაიქცა სერიოზულ პრობლემად - როგორც ეკონომიკური ეფექტიანობისათვის, ისევე სოციალური სტაბილურობისათვის.“ [23, გვ. 65]. თვით სტატისტიკა მოწმობს იმას, რომ ასეთი პოლიტიკა აბსურდულია, არაეფექტიანია და უზუნთა მხოლოდ მსოფლიო მოსახლეობის 80%-ს თვალსაზრისით, ხოლო უმდიდრესი ადამიანების 1%-ის თვალთახედვით ასეთი პოლიტიკა უარესად ეფექტიანია და, ცხადია, იგი არ არის დაინტერესებული მის შეცვლაში.

ლად. როგორც წესი, ეკონომიკის სახელმძღვანელოებში იძლევიან არა ფულის არსის და თვისებების განმარტებას, არამედ მხოლოდ აღწერენ მის ფუნქციებს, როგორც არის ღირებულების საზომი ერთეული, გაცვლის, გადახდის და ღირებულების შენახვის საშუალება. ყველა ეს ფუნქცია უდაოდ მნიშვნელოვანია და ამ ფუნქციების არსებობის თაობაზე ეკონომისტებს შორის არ არსებობს უთანხმოება. უთანხმოება არსებობს იმის თაობაზე, თუ როგორ წარმოიშვა ფული, რამდენად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამა თუ იმ ფუნქციამ ფულის და საერთოდ საბანკო სისტემის წარმოქმნის პროცესში, და თუ რა როლს თამაშობს იგი საბანკო საქმეში დღეს.

5.1. სასაქონლო ფულის თეორია

1. ისტორიულად ეკონომიკურ მეცნიერებაში დაიბადა ორი განსხვავებული მიდგომა ზემოხსენებული პრობლემების გადასაჭრელად - სასაქონლო ფულის თეორია და საკრედიტო ფულის თეორია. სასაქონლო ფულის თეორიის თანახმად, იგი ბუნებრივად დაიბადა ბარტერული ურთიერთობებიდან. ვინაიდან ბარტერული გაცვლა დაკავშირებულია მრავალ პრობლემასთან, რომლებიც ტექნიკურად ართულებენ სასაქონლო გაცვლას, ამიტომ ზოგიერთი საქონელი, რომელზეც არსებობდა მაღალი მოთხოვნა, გამოიყენებოდა როგორც გაცვლის საშუალება, და არა მხოლოდ შესანახად და მოსახმარად. ამ საქონელმა დაიწყო ფულის ფუნქციების შესრულება და ხელი შეუწყო საბაზრო პროცესების ოპტიმიზაციას. საქონლის უშუალო გაცვლა ჩანაცვლა ფულად-სასაქონლო გაცვლამ, რომელშიც ფული წარმოადგენს ნეიტრალურ შუამავალს სასაქონლო გაცვლაში. იგი ხელს უწყობს „რეალურ“ ტრანსაქციებს, მაგრამ, თვითონ თამაშობს ნეიტრალურ როლს ამ პროცესში.

„რეალური ანალიზი“ გამომდინარეობს პრინციპიდან, რომ ეკონომიკური ცხოვრების ყველა არსებითი მოვლენა შეიძლება იქნას აღწერილი საქონლის და მომსახურების, მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების და მათ შორის ურთიერთკავშირების ტერმინებში. ფული შეყვანილია აღწერის სცენარში მხოლოდ ტექნიკური საშუალების მოკრძალებულ როლში, რომელიც მიღებულია ტრანსაქციების ხელშესაწყობად ... იქამდე, სანამ იგი ფუნქციონირებს ნორმალურად, იგი არ ზემოქმედებს ეკონომიკურ პროცესებზე, რომლებიც მიმდინარეობენ ისევე, როგორც ეს მოხდებოდა ბარტერულ ეკონომიკაში: არსებითად ამას გულისხმობს ნეიტრალური ფულის თეორია.“

ი. შუმპეტერი [24, გვ. 277]

ამ მიმართულებით აზროვნებდნენ კლასიკოსები - ა. სმიტი, ჯ. მილი, დ. რიკარდო და კ. მარქსი. თანამედროვე ნეოკლასიკური თეორია ასევე გამომდინარეობს ფულის ნეიტრალობის იდეიდან, რომელიც მხოლოდ ახდენს საქონლის გაცვლის ოპტიმიზაციას, მაგრამ თვითონ არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს.

2. საინტერესოა, რომ არ არსებობს ისტორიული მტკიცებულება ბარტერის წმინდა სახით არსებობის შესახებ. ანტროპოლოგების თანახმად არასოდეს არსებობდა „წმინდა ბარტერული ეკონომიკა“, როგორც ამას გულისხმობენ კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში. ამიტომ იბადება კითხვა - როგორ მოხდა ფულის დაბადება ბარტერიდან? [25]. კ. ჰემპფრი ამტკიცებს, რომ „ბარტერი არასწორად იქნა ინტერპრეტირებული ძირითადად კლასიკურ და ნეოკლასიკურ თეორიებში შექმნილი მითის არსებობის გამო, თითქოს ბარტერში დევს ფულის, და, ესე იგი, თანამედროვე კაპიტალიზმის წარმოშობა.“ [26, გვ.56]. გარდა ამისა, ნეოკლასიკური თეორია ვერ გვიხსნის „ფიატური“ ფულის არსებობას, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი რაიმე საქონელით,

შეუძლებელია გაცვლა ოქროზე ან ვერცხლზე და მსყიდველობითი უნარი მინიჭებულია აქვს მხოლოდ სახელმწიფოს ნებით.

5.2. საკრედიტო ფულის თეორია

1. საკრედიტო ფულის თეორიის თანახმად იგი წარმოადგენს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ნდობის და ვალდებულების სოციალურ ურთიერთობებს. ასეთ შემთხვევაში ფული არ არის დაკავშირებული უშუალოდ საწარმოო ურთიერთობებთან ან სასაქონლო გაცვლასთან. გ. დევისის და მრავალი სხვა მკვლევარის თანახმად, ისტორიული ფაქტები მოწმობენ იმას, რომ საბანკო საქმე რამდენიმე ათასი წლით წინ უსწრებს მონეტური ფულის დაბადებას. ფულადი ურთიერთობების პირველი წერილობითი მტკიცებულებები ნანახი იქნა ბაბილონსა და ძველ ეგვიპტეში. ეს ცივილიზაციები საბანკო სისტემას იყენებდნენ რამდენიმე ათასი წლით ადრე, ვიდრე აღმოაჩენდნენ სასაქონლო ფულის და მონეტების პირველ დამადასტურებელ ფაქტებს. [27, pp. 50-55]. თანამედროვე ბანკების მსგავსად ისინი იყენებდნენ საბუღალტრო ჩანაწერების სისტემას, ანუ აწარმოებდნენ კრედიტების და ვალების აღრიცხვას. მაგრამ, არსებობს ასეთი აზრიც, რომ „საბანკო საქმე არსებობს უხსოვარი დროიდან და მისი დაბადება პრაქტიკულად დროში ემთხვევა ფულის დაბადებას, ვაჭრობის დაწყებას და შრომის დანაწილების პირველ ნაბიჯებს.“ [14, გვ. 37]. ნებისმიერ შემთხვევაში ცხადია, რომ საბანკო ოპერაციები, ფული და კრედიტი არსებობენ უძველესი დროიდან. ¹⁴ ამასთან, ძველი

¹⁴ „არქეოლოგმა ლინორ მანტმა ბაბილონის ნანგრევებში აღმოაჩინა თიხის ფირფიტა ჩანაწერებით, რომლებიც მოწმობენ ქალაქებს შორის ვაჭრობის არსებობაზე და გადახდის კომერციული და ფინანსური საშუალებების გამოყენებაზე. ... გარდა ამისა, ხოაკინ ტრიგო ... წერს, რომ ძვ. წ. დაახლოებით 3300 წ. ტაძარი ურუქი ფლობდა მიწას, რომელზეც იდგა, იღებდა შემოწირულობებს და ანაბრებს, და აგრეთვე სესხებს გასცემდა გლეხებს და საქონლის და ხორბლით

„ბანკირების“ ეს საბანკო ოპერაციები იყო საკმაოდ განვითარებული. ასე მაგალითად, გ. დევისის თანახმად, ეს ბანკები აწარმოებდნენ „კლირინგ“, ანუ „საბუღალტრო“ საქმიანობას, რომელიც ასევე აღწერილია როგორც „ჟირო-ბანკინგი“ – („ჟირო“ – ბერძნულად ნიშნავს „წრეს“). თუ საკმარისი ოდენობის ადამიანი ჩაწერდა თავის ვალებს ერთ ბანკში, ამ ბანკს შეეძლო სხვადასხვა ვალის ლიკვიდირება სხვადასხვა ანგარიშის შესაბამისობაში მოყვანის გზით ინდივიდების დაუსწრებლად. თანამედროვე ბანკები დღემდე აწარმოებენ ამ საკლირინგო საქმიანობას კომპიუტერებში რიცხვების შეყვანის მეშვეობით [27].

2. როგორც მნიშვნელოვანი არგუმენტი, ფულის საკრედიტო თეორიის სასარგებლოდ, ხშირად მოყავთ ხოლმე აგრეთვე სახელმწიფოს როლი ფულის ნიშნების საყოველთაო მიმღებლობის უზრუნველსაყოფად. ისტორიული ფაქტები მოწმობენ ფულის, ვალების და გადასახადების აკრეფის საერთო წარმომავლობაზე. [28, გვ. 43]. სახელმწიფო განსაზღვრავს ღირებულების საანგარიშო ერთეულს როგორც იმას, რასაც იგი „იღებს სახელმწიფო საგადასახადო დაწესებულებებში, ძირითადად გადასახადების გადახდისას“ [29]. სახელმწიფოს მხრიდან ფულის სიმბოლოების აღიარება, როგორც გადახდის კანონიერი საშუალებისა, ამყარებს ამ სიმბოლოების მიმღებლობას საზოგადოებაში. როდესაც მონეტები შედიოდნენ საყოველთაო ხმარებაში, მონეტების ნომინალური ღირებულება იშვიათად თუ უტოლდებოდა ლითონის ღირებულებას, რომლისგანაც ისინი იყვნენ დამზადებული. [30]. ანუ სახელმწიფო თვითონ ადგენდა მონეტის ღირებულებას და თავისუფლად ცვლიდა მას თავისი ნება-სურვილით.

მოვაჭრეებს, და ამგვარად, გახდა ისტორიაში პირველი ცნობილი ბანკი. ... ჰამურაპის კოდექსი ... მკაცრად არეგულირებდა ... კომერციულ საქმიანობას, საზღვრავდა საპროცენტო განაკვეთებს და დააწესა კიდეც განაკვეთი 12,5% სახელმწიფოს მიერ სესხების გასაცემად. ... ძველ ინდურ „მანუს კანონებში“ აგრეთვე ნახსენებია საბანკო და საფინანსო ოპერაციები“ [14, გვ.37].

3. მიუხედავად ამისა, საუკუნეების მანძილზე ლითონის მონეტების გამოყენება არ გამორიცხავს საკრედიტო ფულის თეორიის ცენტრალურ იდეას, რომლის თანახმადაც ფული იქმნება სავალო-საკრედიტო ურთიერთობების გზით და არ არის დამოკიდებული საბაზო საქონლის შინაგან ღირებულებაზე. სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში ფულის ფაქტიური ღირებულება ხან იყო დაკავშირებული ოქროს (ან სხვა საბაზო საქონლის) ღირებულებასთან, ხან - არა. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ფულის ღირებულება განპირობებულია ოქროს ღირებულებით და აქვთ სასაქონლო წარმომავლობა. საერთოდ რამდენად გონივრულია და სასურველია ფულის ღირებულების დაკავშირება ისეთ საქონელთან, როგორც არის ოქრო, - ეს სულ სხვა საკითხია. მეტიც, რომც დაუშვათ, რომ ისტორიულად სხვადასხვა საზოგადოებებში შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ფულის როგორც სასაქონლო, ასევე საკრედიტო წარმომავლობას, ეს არ ეწინააღმდეგება იმას, რომ თავისი წარმომავლობის მიუხედავად, უკვე ფულად აღიარების შემდეგ, ფულადი საქონელი გარდაიქმნება ფულის სიმბოლოდ, ნიშნად, რომლის ღირებულება განპირობებულია არა მისი მატერიალური მატარებელის ღირებულებით, არამედ მისი მსყიდველობითი უნარით, სხვა საქონელზე გაცვლის უნარით, მისი დეფიციტურობით და, ესე იგი, ფულის ნიშნების რაოდენობის თანაფარდობით სასაქონლო მასასთან. ანუ, ფულადი საქონელის ღირებულებას აღარ ენიჭება რაიმე მნიშვნელობა ფულად-სასაქონლო მიმოქცევაში.

4. როგორც კი ესა თუ ის საქონელი იღებდა, როგორც ფულის, საყოველთაო აღიარებას, იგი, ღირებულების საზომი ერთეულის და გაცვლის საშუალების ფუნქციებთან ერთად, ავტომატურად ხდებოდა გადახდის საშუალებაც, რომელიც ასახავს ინდივიდსა და საზოგადოებას შორის სავალო-საკრედიტო ურთიერთობებს. სხვა სიტყვებით, რადგან საბაზრო ეკონომიკაში ადგილი აქვს ეკონომიკური ურთიერთობების დეპერსონალიზაციას, და ინდივიდის-

თვის არა აქვს მნიშვნელობა ვის მიჰყიდის, ან ვისგან იყიდის საქონელს (შესაბამისად, ვისგან მიიღებს, ან ვის მისცემს ფულს), ამიტომ ფულად-სასაქონლო ურთიერთობები ბუნებრივად ტრანსფორმირდება სავალო-საკრედიტო ურთიერთობებში ინდივიდსა და საზოგადოებას შორის. იდეა იმის შესახებ, რომ ფულად-სასაქონლო ურთიერთობები შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული როგორც სავალო-საკრედიტო ურთიერთობები, ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში ნათლად ჩამოაყალიბა მ. ინესმა. თავის სტატიაში „ფულის საკრედიტო თეორია“ იგი წერდა:

„მოკლედ, საკრედიტო თეორია გულისხმობს, რომ: ყიდვა და გაყიდვა არის საქონლის გაცვლა კრედიტზე. ამ მთავარი თეორიიდან გამომდინარეობენ ქვეთეორიები, რომ კრედიტის ან ფულის ღირებულება არ არის დამოკიდებული რომელიმე ლითონის ან ლითონების ღირებულებაზე. არამედ იგი დამოკიდებულია კრედიტორის მიერ შექმნილ „გადახდის“, ასე ვთქვათ, კრედიტის დაფარვის უფლებაზე, და მოვალეს ვალდებულებაზე „გადაიხადოს“ თავისი ვალი; და პირიქით, მოვალეს უფლებაზე თავი გაითავისუფლოს ვალისაგან შეთავაზებით, რომ თავისი ვალი გადაიხადოს ეკვივალენტური ვალით, რომელიც აქვთ კრედიტორებს, და კრედიტორის ვალდებულებაზე მიიღოს ეს შეთავაზება თავისი კრედიტის დასაფარად.

ასეთია ძირითადი თეორია, მაგრამ პრაქტიკაში მოვალესათვის არ არის აუცილებელი შეიძინოს კრედიტი იმავე პირისაგან, ვისი მოვალეც არის. ჩვენ ყველა ვართ მყიდველებიც და გამყიდველებიც, ამიტომ ჩვენ ყველა ერთდროულად ვართ ერთმანეთის კრედიტორებიც და მოვალეებიც. და ბანკების საოცრად ეფექტიანი მექანიზმის წყალობით, რომლებსაც ჩვენ მივყიდით ჩვენს კრედიტებს, და რომლებიც ამგვარად გადაიქცნენ კომერციის საკლირინგო სახლებად, მთელი საზოგადოების ვალები და კრედიტები ცენტრალიზე-

ბულია და აწონასწორებენ ერთმანეთს. ამიტომ პრაქტიკაში ნებისმიერი კარგი კრედიტი გაისტუმრებს ნებისმიერ ვალს.

და ისევ, თეორიაში ჩვენ ვქმნით ვალს ყოველ ჯერზე, როდესაც ვყიდულობთ, და ვიძენთ კრედიტს ყოველთვის, როდესაც ვყიდით. მაგრამ პრაქტიკაში, ეს თეორია ასევე მოდიფიცირებულია, ყოველ შემთხვევაში, განვითარებულ კომერციულ საზოგადოებებში. როდესაც ჩვენ გვაქვს წარმატებები ბიზნესში, ჩვენ ვაგროვებთ კრედიტებს ბანკირებთან, და შემდეგ შეგვიძლია ვიყიდოთ რაიმე ახალი ვალების წარმოქმნის გარეშე, ჩვენი დაგროვილი კრედიტების ნაწილის გადარიცხვით გამყიდველებისათვის. ანდა ისევ, თუ ჩვენ არ გვაქვს დაგროვილი კრედიტები იმ მომენტისთვის, როდესაც გვინდა რაიმეს ყიდვა, ჩვენ შეგვიძლია, იმის ნაცვლად, რომ გავხდეთ გამყიდველისაგან დავალებული, მოვილაპარაკოთ ჩვენს ბანკირებთან, რომ „ვისესხოდ“ კრედიტი მის საბუღალტრო წიგნებში, და შეგვიძლია ამ ნასასხები კრედიტის გადარიცხვა ჩვენი გამყიდველისათვის; და ბანკირს გადავცემთ იგივე ზომის კრედიტს (და რაიმეს დამატებით), რომელსაც ვღებულობთ, როდესაც ვხდებით გამყიდველები. შემდეგ ისევ, სახელმწიფო, საქონლისა და მომსახურების უდიდესი მყიდველი ქვეყანაში, თავისი შესყიდვების საფასურად გამოსცემს უამრავი რაოდენობის პატარა ნიშნებს, რომლებსაც ეწოდება მონეტები და ბანკნოტები, და რომლებიც უბრუნდება მას საგადასახადო მექანიზმის მეშვეობით, და ეს სახელმწიფოს კრედიტები ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ მცირე შესყიდვების საფასურად, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენზე გაიცეს კრედიტები ან ჩვენს ბანკირებს გადავაბაროთ ისინი.“[30, გვ. 151].

ანუ, თავისი გენეზისის და ფორმირების განვლილი სტადიების მიუხედავად, სრულყოფილი ფული არის მხოლოდ სიმბოლო,

ნიშანი, და თავისი ფუნქციების შესასრულებლად ფულის ნიშნები არ საჭიროებენ „ნივთიერ მატარებელს“ საქონლის სახით, რომელსაც აქვს საკუთარი ღირებულება. ამ სიმბოლოების მატერიალური საფუძველი შეიძლება იყოს უბრალოდ ჩანაწერები საბუღალტრო წიგნებში ან კომპიუტერების მეხსიერებაში. ფულის ნიშნების სახით ოქროს და ვერცხლის მონეტების გამოყენების ხანგრძლივი პერიოდი, შესაძლოა, არის ერთ-ერთი ფაქტორი იმ დიდი გავლენისა, რომელიც აქვს ფულის სასაქონლო თეორიას.

5. ფულის არსის, როგორც კრედიტის, გასაგებად და საერთოდ თანამედროვე საბანკო სისტემის გასაგებად, გარდა ფულისათვის მსყიდველობითი უნარის მინიჭებაში სახელმწიფოს როლისა, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი, საჭიროა გავითვალისწინოთ საბანკო საქმის განვითარების ისტორია. ამ ნაშრომში დასახული მიზნებისათვის, დეტალური მეცნიერული ანალიზის ნაცვლად საკმარისია მივმართოდ პატარა „იგავს იუველირის შესახებ“, რომელიც გამოყენებული აქვს პოლ გრიგონს თავის ცნობილ ფილმში „Money as Debt“. [3] ეს იგავი სქემატურად ასახავს თანამედროვე საკრედიტო ფულის ფორმირების ისტორიას, მის ლოგიკას; ნათელს ხდის საბანკო ბიზნესის „მისტიკას“ და, ამ თვალსაზრისით, იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, წარმოადგენს „ლიტერატურულ ჟანრში გაფორმებულ ისტორიულ-ლოგიკურ ანალიზს“.

5.3. „იგავი იუველირის შესახებ“

1. ოდესღაც, დიდი ხნის წინ, ფულის ფუნქციებს ასრულებდნენ სახვდასხვა საგნები - მარილი, საქონელი, გამომშრალი თევზი და ა.შ. ასეთ შემთხვევაში მთავარი იყო ის, რომ ყველას სჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო ამ საგნების გაცვლა სხვა ღირებულ საგნებზე. ოქროს და ვერცხლის ფიზიკურმა თვისებებმა, და ასევე,

მათმა მაღალმა კუთრმა ღირებულებამ, ხელი შეუწყო იმას, რომ თანდათან მათ გამოდევნეს მიმოქცევიდან ფულის სხვა ფორმები. იუველირები ხელს უწყობდნენ ვაჭრობის განვითარებას იმით, რომ ამზადებდნენ მონეტებს - ამ ლითონებისგან ჩამოსხმულ, გარანტირებული სინჯის და ზომის, სტანდარტულ ნიმუშებს. ამასთან, ძვირფასი ლითონების შესანახად იუველირებს ჰქონდათ საიმედო სეიფები. გარდა საკუთარი ფასეულობების შენახვისა, იუველირებს შეეძლოთ სეიფების გამოყენება მათი არენდით გადასაცემად დროებით სარგებლობაში სხვა მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ასევე სჭირდებოდათ თავიანთი მონეტების და ძვირფასეულობის შენახვა. ამ გზით იუველირები ღებულობდნენ მცირეოდენ დამატებით შემოსავალს.

დროთა განმავლობაში იუველირებმა შენიშნეს, რომ მეანაბრეები არასოდეს მოდიოდნენ ერთდროულად, რათა გაეტანათ თავიანთი ოქრო. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ სავალო ხელწერილებმა, რომელსაც იუველირი გასცემდა შესანახად ოქროს მიღებისას, დაიწყეს ბაზარზე მიმოქცევა ფულის ამპლუაში რეალურ ოქროსთან ერთად. ფაქტიურად ეს იყო ქაღალდის ფული. მიმოქცევაში ისინი უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე მძიმე მონეტები.

იმ დროისათვის, იუველირების კიდევ ერთი დამატებითი ბიზნესი იყო ოქროს გაცემა კრედიტის სახით გარკვეული პროცენტის ფასად. ხოლო, რადგან სავალო ხელწერილები გამოიყენებოდა მიმოქცევაში როგორც ფული, ამიტომ, კრედიტის აღებისას, ოქროს ნაცვლად კლიენტები ხშირად იღებდნენ ზემოხსენებულ ხელწერილებს. ეკონომიკის განვითარების კვალობაზე კრედიტებზე მოთხოვნა იზრდებოდა. ამ გარემოებამ იუველირებს შთააგონა აზრი, რომ კრედიტების გაცემისას, სავალო ხელწერილების (ანუ, ფაქტიურად, ქაღალდის ფულის) გაცემა შესაძლებელი იყო გიროში სხვისი ოქროს ჩადებით, რომელიც ინახებოდა მათ სეიფებში. ეს შესაძლებელი იყო, რადან, როგორც უკვე აღინიშნა, მეანაბრეები

ყველა ერთდროულად არასოდეს ითხოვდნენ შენახული ოქროს დაბრუნებას. ამგვარად, იუველირებმა დაიწყეს პროცენტების მიღება კრედიტების გაცემით, რისთვისაც იყენებდნენ არა მხოლოდ საკუთარ ოქროს, არამედ თავიანთი მეანაბრეების ოქროსაც.

კრედიტების გაცემა თანდათან გახდა მათი შემოსავლების ძირითადი წყარო, ხოლო თვითონ, ფაქტიურად, გახდნენ მევახშეები. ისინი მდიდრდებოდნენ კრედიტების გაცემით, რომელთა გირაოშიც იდებოდა სხვისი ოქრო ისე, რომ ოქროს მფლობელებმა არაფერი იცოდნენ ამის შესახებ. იუველირების ასეთი მოქმედებების შესახებ ინფორმაცია ცნობილი გახდა მეანაბრეებისათვის. მათ მოითხოვეს თავიანთი ოქროს დაბრუნება, ან წილში შეეყვანა და მათთვის პროცენტის ნაწილის გადახდა. იუველირები იძულებულნი გახდნენ დათანხმებულიყვნენ. ასე რომ, თუ ადრე მეანაბრეები უხდიდნენ იუველირს ოქროს შენახვის საფასურს, ახლა იუველირი უხდიდა მეანაბრეებს ფულს პროცენტის სახით. ამის შედეგად იუველირები გახდნენ ბანკირები, ხოლო შენახული ოქრო გარდაიქმნა სესხად, რომელსაც ბანკირი იღებდა მეანაბრეებისაგან. ასე წარმოიშვა ბანკები.

კრედიტები გაიცემოდა უფრო მაღალ პროცენტად, ვიდრე პროცენტები, რომელსაც უხდიდნენ მეანაბრეებს. სხვაობა პროცენტებში იყო იუველირის შემოსავალი. მაგრამ იუველირი, ახლა უკვე ბანკირი, არ იყო კმაყოფილი თავისი შემოსავლებით, რომელიც რჩებოდა მეანაბრეთათვის პროცენტის გაცემის შემდეგ. ამასთან, მოთხოვნა კრედიტებზე სულ უფრო იზრდებოდა ევროპელების მიერ კოლონიების გაფართოვების კველობაზე. მაგრამ ბანკირების შესაძლებლობები დაეკმაყოფილებინათ კრედიტებზე მზარდი მოთხოვნა იყო შეზღუდული მათ სეიფებში შენახული ოქროს რაოდენობით. ამიტომ მათ დაიწყეს სავალო ხელწერილების გაცემა, რომლის გირაოშიც იდებოდა ოქრო, რომელიც მათ საერთოდ არ ჰქონდათ. ვერავინ გაიგებდა ამის შესახებ. ხოლო მეანაბრეები არასოდეს მივიდოდნენ ყველა ერთდროულად ოქროს

დაბრუნების მოთხოვნით. ეს იყო თაღლითობა, რომლის მეშვეობითაც ბანკირებმა დაიწყეს ფულის კეთება „არაფრიდან“. ისინი ზღაპრულად გამდიდრდნენ. და მეანაბრებში ამან ისევ დაბადა ეჭვი. მათ მოითხოვეს ოქროს დაბრუნება. დაიწყო პანიკა, რადგან ცხადი გახდა, რომ თაღლითური სქემის გამო მეანაბრეთა ნაწილი ვერ დაიბრუნებდა თავის ოქროს. ბანკები გაკოტრდნენ და მათდამი ნდობა მკვეთრად დაეცა.

ნაცვლად იმისა, რომ აეგრძალა ბანკირების ასეთი მანკიერი პრაქტიკა, სახელმწიფომ დააკანონა იგი. მაგრამ, ამავდროულად, ბანკირებს უნდა შეეზღუდათ არაუზრუნველყოფილი ფულის რაოდენობა, რომელსაც ისინი გასცემდნენ კრედიტის სახით. საშუალოდ, არაუზრუნველყოფილი ფულის კანონით მოთხოვნილი თანაფარდობა ოქროსთან იყო 9:1. ინსპექცია ამოწმებდა თუ რამდენად იცავდნენ ბანკები კანონის ამ მოთხოვნებს. გარდა ამისა, კანონით გათვალისწინებული იყო, რომ საჭიროების შემთხვევაში ცენტრალური ბანკი დაეხმარებოდა ადგილობრივ ბანკებს ოქროს მიწოდებით. ამიტომ, საბანკო სისტემის კრიზისი შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბანკები ყველა ერთდროულად დახარჯავდნენ მთლიანად თავიანთ რეზერვებს. [3]

2. ზემოთ აღწერილი საბანკო სისტემა წარმოადგენს ნაწილობრივი რეზერვების საბანკო სისტემას. იგი გავრცელდა მთელს მსოფლიოში. მაგრამ, ამავე დროს, მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. გაუჩინარდა თვითონ ოქროთი გამყარებული ფული. წარსულში კერძო ბანკები გასცემდნენ კრედიტებს სავალო ვალდებულებების სახით, რომელიც გამყარებული იყო ოქროთი. ეს სავალო ვალდებულებები იყო საბანკო ფული, ანუ, საკრედიტო ფული, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იყო იგივე ღირებულების ოქროს ან ვერცხლის მოთხოვნა. დღეს ეს შეუძლებელია. თანამედროვე საბანკო ფული გამყარებულია არა ოქროთი, არამედ სახელმწიფოს ეროვნული ვალუტით, ანუ, არსებითად, ისევ სავალო ვალდებულებით, საკრედიტო ფულით, რომელიც

გამოშვებულია სახელმწიფოს მიერ. მაგრამ, ოქროს რაოდენობა იყო შეზღუდული ობიექტურად, თავდაპირველად საჭირო იყო მათი მოპოვება საბადოებში. შესაბამისად, მიმოქცევაში არსებული ოქროთი უზრუნველყოფილი ფულის რაოდენობა, აგრეთვე, იყო შეზღუდული. თანამედროვე პირობებში ფულის მასის რეგულირების მექანიზმი რადიკალურად შეიცვალა.

3. დღეს მიმოქცევაში თითქმის მთელი ფული (დაახლოებით 95-97%) არის კომერციული ბანკების ფული. მაგალითად, ინგლისში, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, 1982 წელს, მონეტების და ბანკნოტების თანაფარდობა საბანკო დეპოზიტებთან იყო 1:12, ხოლო 2010 წელს ეს თანაფარდობა გახდა 1:37. [16] ეს მაჩვენებლები ძნელად შესამჩნევია ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგალითად, ადამიანების უმრავლესობა, ალბათ ვერ ამჩნევს ნაღდი ფულით სარგებლობის შემცირებას. მაგრამ საჭიროა განვასხვავოთ ტრანსაქციების სიხშირე და ტრანსაქციების ღირებულება, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ფულით. ნაღდი ფული ჯერ კიდევ გამოიყენება ტრანსაქციების უმრავლესობაში, მაგრამ ასეთი ტრანსაქციების ღირებულება ძალზე მცირეა, მაგალითად, საქართველოში, ალბათ 10-20 ლარზე ნაკლები. ელექტრონული ფული (მოთხოვნამდე დეპოზიტების, ანუ საბანკო ფულის ტრანსფერები ანგარიშიდან ანგარიშზე) გამოიყენება მხოლოდ მსხვილი ტრანსაქციებისთვის და ამიტომ აღწევს ძალიან დიდ მოცულობას. ეს ხდება საკრედიტო და სადებეტო ბარათების, და უფრო და უფრო მეტად, ინტერნეტ ბანკინგის მოხერხებულობის გამო, სადაც მოცულობები გაცილებით დიდია. არცერთ ამ გაცვლის საშუალებაში არ გამოიყენება ბანკნოტები და მონეტები (ანუ სახელმწიფო ფული).

ნაღდი ფულის მიზერული ნაწილის გარდა, ფული ძირითადად მიმოიქცევა ინფორმაციის ფორმით. ფულის უზარმაზარი მასები ჩვენს ეკონომიკაში მოძრაობს მხოლოდ იმის მეშვეობით, რომ ადამიანები წერენ ციფრებს კომპიუტერებში. მათ, ვისაც აქვთ

შესაძლებლობა შექმნან ახალი ფული, აქვთ უდიდესი ძალაუფლება. მათ შეუძლიათ შექმნან სიმდიდრე უზრალოდ კომპიუტერებში რიცხვების შეყვანით და ისინი წყვეტენ იმას, თუ ვინ და რა მიზნებისათვის გამოიყენებს ფულს. [10, გვ.23]

5. იმის შესახებ, რომ ფული არის კრედიტი, წერდა მრავალი ცნობილი ეკონომისტი. ისინი ცალსახად აფიქსირებდნენ თავიანთ პოზიციას ამ საკითხის თაობაზე. ამის სადემონსტრაციოდ ქვემოთ მოგვყავს ამონარიდები ჰ. მაკლეოდის, ჰ. დავენპორტის, ფ. ჯეიმსის, ი. ფიშერის, ი. შუმპეტერის და რ. ვერნერეის შრომებიდან:

*„არაფერია უფრო წარუმატებელი და მეცდომაში შემყვანი, ვიდრე ასე ხშირად გამოყენებული გამო-
ნათქვამი, რომ ... ბანკირის საქმეა ფულის სესხად აღება პირთა ერთი ჯგუფისაგან და მისი გასესხება სხვა ჯგუფისათვის. ბანკირები მართლაც უყრიან თავს თანხებს პირთა დიდი რაოდენობისგან, მაგრამ მათი ბიზნესისათვის დამახასიათებელი ბუნება არის არა ამ ფულის გასესხება სხვა პირებისათვის, არამედ ამ ზოდების საფუძველზე კრედიტების დიდი ზედნაშენის შექმნა; ... ეს კრედიტები გადახდილი იქნება მოთხოვნისთანავე და ასრულებენ იგივე რაოდენობის ნაღდი ფულის ყველა ფუნქციას. ასე რომ ... საბანკო ბიზნესის საქმე არის არა ფულის გასესხება, არამედ კრედიტის შექმნა: და ახლა უკვე, საკლირინგო პალატის მეშვეობით, ამ კრედიტების გადარიცხვა ხდება ერთი ბანკიდან მეორეში ისევე მარტივად, როგორც ერთი და იგივე ბანკში ხდება კრედიტის გადარიცხვა ერთი ანგარიშიდან მეორეზე ჩეკების მეშვეობით. და ყველა ეს კრედიტი ჩვეულებრივ ენაზე და კომერციის პრაქტიკაშიც ზუსტად უდრის ამავე ოდენობის ნაღდი ფულს ან ვალუტას.“ [32, გვ. 406]. „ყველა პრაქტიკული მიზნებისათვის ეს საბანკო კრედიტები იგივეა, რაც ფული. ცხადია, ისინი ვერ იქნება ექსპორტირებული ფულის მსგავსად: მაგრამ ყველა შიდა მიზნებისათვის*

ისინი ქმნიან ისეთივე ეფექტს, როგორც იგივე რაოდენობის ფული. ფაქტიურად წარმოადგენენ არაფრიდან შექმნილ კაპიტალს.“

ჰენრი მაკლეოდი, 1856. [32, გვ. 408].

„... ბანკები არ გაცემენ კრედიტის სახით თავის დეპოზიტებს, ისინი კრედიტების საკუთარი გაფართოვებით ქმნიან დეპოზიტებს.“

ჰერბერტ დავენპორტი, 1913. [33, გვ. 263].

„ბანკები ... ამ კრედიტებს ქმნიან და იღებენ პროცენტს მათი გამოყენებისათვის. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ძველი სახელმწიფო ბანკები, რომლებიც ქმნიდნენ კრედიტებს ბანკნოტების ფორმით, ქმნიდნენ ვალუტას - და კრედიტების შექმნის თანამედროვე სისტემა „დეპოზიტების“ ფორმით, რომლებიც მიმოქცევაშია საბანკო ჩეკების სახით, აკეთებს ზუსტად იგივეს - ქმნის ვალუტას.“

რ. ჰ. ჰოუვი, 1915. [51, გვ.24f].

საბანკო კრედიტების შექმნის თეორია აგრეთვე ისწავლებოდა სახელმძღვანელოებით, რომელითაც სწავლობდნენ ახალი თაობის ეკონომისტები და პოლიტიკოსები 1930-იან წლებში. ფ. ჯეიმსის მონეტარული ეკონომიკის ამერიკულ სახელმძღვანელოში (1930) არაორაზროვნად იყო გაცხადებული:

„... ბანკს შეუძლია შექმნას კრედიტები, რომლებიც ბევრად აღემატება ნაღდ ფულს, რომელიც დეპონირებულია მასში და ამით უკვე ცხადი ხდება, რომ პუნქტების ის უმრავლესობა, რომლებიც წარმოიშობა საბალანსო ანგარიშების ვალდებულებების მხარეს დეპოზიტების სახელწოდებით, შექმნილია არა კლიენტების მიერ დეპონირებული ნაღდი ფულით, არამედ კრედიტების შექმნით, ან ბანკის მიერ თავისი კლიენტების დისკონტირებით. ... ბანკი ახდენს კრედიტის

მონეტიზებას. იგი ქმნის მსყიდველობით უნარს, რომელიც ადრე არ არსებობდა, რადგან მსესხებელს იგი აძლევს მისი ვალების დაფარვის საშუალებებს ისე, რომ არ შეამციროს ფულის რაოდენობა საზოგადოების სხვა წევრების ხელში. ამიტომ, საბანკო კრედიტების არსებულ მოცულობის ყოველ დამატებას მივყავართ საზოგადოებაში ფულის ერთობლივი მიწოდების წმინდა ზრდასთან, და ამ მოცულობის ნებისმიერი შემცირება ამცირებს ფულის საერთო მოცულობას.“

ფ. ჯეიმსი, 1930. [35, გვ. 194].

„როდესაც ბანკი მაძლევს მე კრედიტს \$1000-ს და ამგვარად ჩემს საჩეკო დეპოზიტს ამატებს \$1000-ს, ეს \$1000, „რომელიც მე მაქვს ბანკში“, არის ახალი ფული. იგი ახლად შეიქმნა ბანკის მიერ ჩემი კრედიტიდან და მელნით ჩაიწერა ჩემი საჩეკო წიგნაკის ყუაზე და საბანკო წიგნებში ... გარდა ამ მელნით გაკეთებული ჩანაწერებისა, ამ „ფულს“ არ გააჩნია რეალური ფიზიკური არსებობა.“

ირვინგ ფიშერი, 1935. [36, გვ. 3].

„... ეს გარემოება არსებითად ცვლის ანალიტიკურ სიტუაციას და სრულიად მიუღებელს ხდის საბანკო კრედიტის გაგებას, როგორც არსებული სახსრებისა, რომლებიც წმინდად წარმოსახვითი დაზოგვის მეშვეობით ამოღებულ იქნა წინა გამოყენების სფეროდან და შემდეგ გაცემული იქნა სესხის სახით მისი მფლობელის მიერ. გაცილებით უფრო რეალურია, თუ ვიტყვით, რომ ბანკები „ქმნიან კრედიტს“, ანუ, რომ ისინი ქმნიან დეპოზიტს კრედიტის გაცემისას, ვიდრე იმის თქმა, რომ ისინი გასცემენ დეპოზიტებს, რომლებიც მიზარებული იყო მათთვის. და ამას ამტკიცებს ის, რომ დეპოზიტორები არ გააკეთებდნენ ინვესტიციებს იმ როლში, რომელიც მათ მიაწუჭეს, მაგრამ რომელსაც ისინი არ თამაშობენ. თეორია, რომელსაც ასე დაჟინებით ეპოტიზებია ეკონომისტები, წარმოგვიჩენს მათ დამზოგ-

ველებად მაშინ, როდესაც ისინი არ ახდენენ დაზოგვას და არც აპირებენ ამის გაკეთებას. „კრედიტის შექმნის“ თეორია არა მხოლოდ აღიარებს აშკარა ფაქტებს მათი ხელოვნური კონსტრუქტებით მიჩქმალვის გარეშე, იგი აგრეთვე ავლენს დაზოგვის და ინვესტირების სპეციფიურ მექანიზმს, რომელიც დამახასიათებელია სრულფასოვანი კაპიტალისტური საზოგადოებისთვის, და ბანკების ჭეშმარიტ როლს კაპიტალიზმის ევოლუციაში.“

იზეფ შუმპეტერი, 1954. [24, გვ. 1114]

„ფული არ იყო ბანკის მიერ ამოღებული სხვა გამოყენების სფეროებიდან. იგი არ იყო გადმოტანილი ან გადმორიცხული ეკონომიკის რომელიმე სხვა სფეროდან. მეტიც, მართალია იგი ნაჩვენებია როგორც დეპოზიტი, მაგრამ ფაქტიურად იგი არ იყო დეპონირებული ვინმეს მიერ. ბანკმა უბრალოდ შექმნა ფული ციფრების ჩაწერით თავის საბუღალტრო ჩანაწერებში და კლიენტების საჩეკო წიგნაკებში. ფაქტიურად ბანკი ქმნის ილუზიას, თითქოს მისმა მსესხებელმა შეიტანა დეპოზიტი, რაც რეალურად არ მომხდარა. განსხვავებით იმისაგან, რაც წერია სახელმძღვანელოებში, ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველ ინდივიდუალურ ბანკს შეუძლია ასე შექმნას ფული, როდესაც იგი გასცემს სესხს. სახელმძღვანელოებში ამ ჭეშმარიტების ჩვენებით ... სტუდენტები ისწავლიდნენ თუ სინამდვილეში რას აკეთებენ ბანკები: რომ ისინი ქმნიან ფულს არაფრიდან. ბანკი მხოლოდ ახდენს იმის სიმულაციას, თითქოს მას აქვს სესხის თანხა, რომლითაც დაკრედიტებულია მავანის ანაგარიში, და არავინ იცის ამ განსხვავების შესახებ.“

რიჩარდ ვერნერი, 2005. [10, p. 178].

როგორც ვხედავთ, 100 წელზე მეტია, რაც ცნობილი მეცნიერები იგივეს ამტკიცებენ ფულის და კრედიტის თაობაზე,

რასაც თანამედროვე პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერები. მაგრამ ეს ჭეშმარიტება, რომელსაც ყოველდღიურად ადასტურებენ რეალური ფაქტები, არ აღიწერება სახელმძღვანელოებში, მათ არ ასწავლიან სტუდენტებს, მათ შესახებ არ ხდება საზოგადოების ინფორმირება, თუმცა ყოველივე ეს პირველ რიგში ეხება საზოგადოების ინტერესებს.

VI თავი. ფულის მასის გაზომვა

6.1. ფულადი აგრეგატები

1. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკურ მეცნიერებაში დომინირებდა ჯ. ხიკსის IS-LM ანალიზი, რომელშიც ანალიზის მიღმა რჩება ბანკების როლი. ყველა თანამედროვე მოდელი, მათ შორის DSGE მოდელი, რომელიც დღეს გამოიყენება ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად, ასევე იგნორირებენ ბანკების, და საერთოდ საფინანსო სისტემის გავლენას რეალურ ეკონომიკურ პროცესებზე. ამან ხელი შეუწყო საბანკო კრედიტის მნიშვნელობის დაკნინებას როგორც მაკროეკონომიკურ თეორიაში, ასევე მონეტარულ პოლიტიკაში.

„ფულის რაოდენობრივი განტოლების“ ლოგიკის თანახმად, ფული არის რა მსყიდველობითი უნარი, გავლენას ახდენს რეალურ ეკონომიკურ სექტორზე მაშინ, როდესაც ფაქტიურად ხდება ტრანსაქციები, როდესაც ისინი ასრულებენ გადახდის საშუალების ფუნქციას. ამიტომ, რაოდენობრივი კავშირი ფულის, ფასების და მშპ-ს შორის (რასაც ეფუძნება მონეტარული პოლიტიკა), უფრო ზუსტად აისახება ფულის მიწოდების იმ ნაწილით, რომელიც ტრანსფორმირდება რეალურ მსყიდველობით ძალაში, და არა მისი პასიური ნაწილით, რომელიც ასახავს მხოლოდ ეკონომიკური აგენტების დანაზოგებს და მხოლოდ ირიბ გავლენას ახდენს რეალურ ეკონომიკურ პროცესებზე. მაგრამ, ტრადიციული ეკონომიკური ინდიკატორები M1, M2, M3 ძირითადად წარმოადგენენ მხოლოდ ბანკში დეპონირებულ ფულს, ანუ კერძო სექტორის დანაზოგების ნაწილს, როგორც ფულის მიწოდების პასიურ ნაწილს. ისინი არ უნდა იყოს გამოყენებული ფულის „რაოდენობრივ განტოლებაში“, რადგან მათი მეშვეობით იზომება მხოლოდ ის ფული, რომელიც გაზომვის მომენტში არ გამოიყენება ტრანსაქცი-

ებისთვის. დროის ნებისმიერ მომენტში ისინი არიან მხოლოდ პოტენციური, და არა რეალური მსყიდველობითი ძალა. ამიტომ ის, რასაც ცენტრალური ბანკი ყოველთვის ურად აცხადებს როგორც „ფულის მიწოდებას“, სინამდვილეში არის „ფულადი დანაზოგების მიწოდება“. ამიტომ, ჯერ კიდევ საჭიროა მოინახოს უფრო ზუსტი საზომი რეალური მსყიდველობითი უნარისა, რომელიც ფაქტიურად განკუთვნილია ტრანსაქციებში გამოსაყენებლად. [10].

2. აგრეთვე საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ფულის მასის განსაზღვრა კერძო სექტორის ზოგიერთი აქტივებით, როგორც არის დეპოზიტები, ბადებს იდენტიფიკაციის პრობლემას. ეს პრობლემა გაცნობიერებული იყო მილტონ ფრიდმენის (1956) მიერ, რომელიც წერდა, რომ „არ არსებობს მკაფიო ხაზგამყოფი „ფულსა“ და სხვა აქტივებს შორის.“ რადგან არცერთი მათგანი არ გამოიყენება უშუალოდ შესყიდვებისათვის დროის ნებისმიერ მოცემულ მომენტში, და მხოლოდ ახდენენ პოტენციური მსყიდველობითი უნარის რეპრეზენტირებას, ამიტომ, *a priori* არ არსებობს თეორიული მიზეზი იმისა, თუ რატომ არ უნდა იყოს გამოყენებული M-ის განსაზღვრისათვის კერძო სექტორის აქტივების სულ უფრო და უფრო ფართო დეფინიციები. ამ თვალსაზრისით, ვადიანი დეპოზიტები, სადეპოზიტო სერტიფიკატები, ობლოგაციები და შესაძლოა, აგრეთვე, უძრავი ქონებაც კი, შეიძლება იყოს დეფინირებული როგორც ფული. [38]

3. ფულის რაოდენობა, რომელიც ფაქტიურად გამოიყენება ტრანსაქციებისთვის, შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკები ქმნიან ახალ ფულს. ეს ნიშნავს, რომ საბანკო კრედიტის შექმნას უშუალო გავლენა აქვს ტრანსაქციების მოცულობაზე, მოთხოვნაზე და აგრეთვე ფასებზე. რ. ვერნერი აღნიშნავს, რომ მრავალ სხვა მეცნიერთან ერთად, ამას აცნობიერებდნენ უკვე პოლექემენი (1697), ჯ. ლოო (1720) და ჰ. ტორნტონი (1802). [39], [40], [41] მაგრამ ეს არ გახდა მეინსტრიმის პოზიცია ყურადღების ზედმეტი კონცენტრირების გამო ლითონის

ფულზე. ჰენრი ტორნტონი, თავის კლასიკურ ნაშრომში *The Paper Credit of Great Britain* (1802) აღნიშნავდა, რომ ახალი ფული იქმნება ბანკების მიერ, რომლებიც თავდაპირველად საფინანსო ბაზრებზე შედიან საბანკო კრედიტების ექსპანსიის გზით, რომლებიც ზრდიან საკრედიტო რესურსების მიწოდებას. ი. შუმპეტერი აღნიშნავდა, რომ ეს ავტორები აცნობიერებდნენ, რომ შესაძლოა ფული (ტრადიციულად გაზომილი) და საბანკო კრედიტი იდენტურნი არიან თავისი ეკონომიკური გავლენით:

„როგორც კი გავაცნობიერებთ, რომ ... „კრედიტებით“ გამყარებული მოთხოვნა არსებითად იგივე გზით ზემოქმედებს ფასებზე, როგორც გადახდის კანონიერი საშუალებებით გამყარებული მოთხოვნა, ჩვენ ვადგავართ საკრედიტო სტრუქტურის მქონე სასარგებლო თეორიის გზას. ...“

იოზეფ შუმპეტერი, 1954. [24, გვ. 718].

იმის გაცნობიერება, რომ შესაძლოა კრედიტმა იქონია იგივე ეკონომიკური ეფექტი, რაც ფულმა, იყო მთავარი გარღვევა, რადგან კანონით ფული და კრედიტი წარმოადგენენ სრულიად განსხვავებულ ინსტიტუტებს:

„... ტორნტონის მიერ იმ ფაქტის განჭვრეტამ, რომ აბსტრაგირების გარკვეულ დონეზე გადახდის სხვადასხვა საშუალებები შეიძლება იქნან იტერპრეტირებული როგორც არსებითად ერთნაირი, იყო მთავარი ანალიტიკური მიგნება, რადგან რიგითი პრაქტიკოსები უფრო მეტად იქნებიან განცვიფრებული ტექნიკური განსხვავებებით, ვიდრე ფუნდამენტალური მსგავსებით.“

იოზეფ შუმპეტერი, 1954. [24, გვ. 719].

მე-20 საუკუნის დასაწყისში კრედიტის არსებითი როლი მაკრო-ეკონომიკურ თეორიაში იმდენად ფართოდ იყო აღიარებული, რომ ისახა კიდევ *Encyclopaedia Britannica*-ს მე-11 გამოცემაში (1910 წ.):

„კრედიტების განუზომელმა ზრდამ და მათ რეალიზებამ ინსტრუმენტებში, რომლებიც შეიძლება იყვნენ გამოყენებული როგორც ფულის შემცველები, განაპირობეს ფულის ღირებულების შესახებ შეხედულების გავრცელება, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „საკრედიტო თეორია“. ამ დოქტრინის მიმდევრების თანახმად, ლითონის ფულის ფაქტიურ რაოდენობას აქვს მხოლოდ მიზერული გავლენა ფასების დონეზე, და შესაბამისად, ფულის ღირებულებაზე. ის, რაც სინამდვილეში მნიშვნელოვანია, ეს არის მიმოქცევაში საკრედიტო ინსტრუმენტების მოცულობა. მათ რაოდენობაზეა დამოკიდებული ფასების ცვლილებები. საბოლოო ბაზარზე ოქრო გახდა მხოლოდ წვრილი გასაცვლელი მონეტა და მის რაოდენობას, როგორც ფასების დეტერმინანტისა, ნაკლები მნიშვნელობა აქვს.“

Encyclopaedia Britannica, 1910. ციტ. წყარო [10].

მაგრამ, დროთა განმავლობაში ამ თეორიებმა დაკარგეს მნიშვნელობა, და ადგილი დაუთმეს დღეს უკვე ტრადიციულად ქცეულ შეხედულებას. თანამედროვე ორტოდოქსული ეკონომიკური თეორია ახდენს იმ ფაქტის იგნორირებას, რომ კერძო ბანკები ქმნიან ფულს. და მის ეკონომიკურ მოდელებში არ არის გათვალისწინებული საბანკო სისტემის არსებობა.¹⁵ იგულისხმება,

¹⁵ მიკროეკონომიკურ მიდგომაზე დაფუძნებული „დინამიკური სტოქასტიკური საერთო წონასწორობის“ (DGSE) მოდელების ეკონომიკურ თეორიაში გამოჩენის შესახებ ენდრიუ ჰოლდეინი წერს: „ვინაიდან ეს მოდელები იყო შექმნილი რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის საფუძველზე, მათში ფინანსური სექტორი (აქტივების ფასები, ფული და კრედიტი) თამაშობდა აშკარად მეორეხარისხოვან როლს, თუ საერთოდ თამაშობდა რაიმე როლს.“ [42, გვ. 3]. და შემდეგ წერს: „ თანამედროვე კრიზისმა გამოავლინა უშველელი უფსკრული ამ მოდელებსა და ახალ ფინანსურ რეალობას შორის. რეტროსპექტულად უცნაურია,

რომ ფული *ნეიტრალურია* და არ ახდენს გავლენას რეალურ ეკონომიკურ პროცესებზე. ასეთ თეორიაზე დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკა, ცხადია, ვერ იქნება ეფექტიანი და ფაქტები ადასტურებენ ამას.

6.2. ფულის მიმოქცევის სიჩქარე

1. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ფულადი მასა იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე მშპ. ამიტომ, ფულის „რაოდენობრივი განტოლების“ თანახმად, ფულის მიმოქცევის სიჩქარის მაჩვენებელი მცირდება. ეს აშკარად არის ანომალია, ან ფული სადღაც უჩინარდება, და თუ ეს ასეა, ესეც არის ანომალია. მეინსტრიმის თეორია ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ ახსნას თუ რატომ ხდება ეს. მრავალრიცხოვან სტატიებში და სამეცნიერო შრომებში, რომლებიც ეძღვნება ამ პრობლემას, ამ ანომალიას მრავალნაირად უწოდეს: „ფულის სიჩქარის ვარდნა“, „ფულის სიჩქარის პრობლემა“, „ფულის მიწოდების ფუნქციის ჩამოშლა“, „გაუჩინარებული ფულის მისტერია“, „ფულის სიჩქარის ენიგმა“ და სხვ. ამ მოვლენის ახსნას ეცადნენ სხვადასხვა სპეციფიკური ფაქტორებით (ლიბერალიზაციით, საგადასახადო წნეხის შესუსტებით, შემოსავლების ეფექტით). მაგრამ ემპირიული ფაქტები მოწმობენ, რომ ეს არგუმენტები არ არის საკმარისად დამაჯერებელი.


2. ფულის სიჩქარის სტაბილურობის დასამტკიცებლად ცდილობდნენ გამოეყენებინათ ფულის სულ უფრო ფართო აგრეგატები. მაგრამ ფულის სიჩქარის არასტაბილურობას მაინც ჰქონდა ადგილი. გასული საუკუნის 90-ანი წლების დასაწყისში, ეკონომისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ განვითარებული

როგორ შეეძლოთ ამდენ ეკონომისტებს გაემართლებინათ ამ პრიმიტიული „მიკი-მაუს მოდელების“ გამოყენება.“ [42, გვ. 5]

ქვეყნების უმრავლესობაში კავშირი ფულის აგრეგატებსა და მშპ-ს შორის გაუქმდა. და ფაქტიურად შეწყვიტეს კიდეც ამ ანომალიის მიზეზების კვლევა. [10] მაგრამ, ფულის მიმოქცევის სიჩქარის და ფულზე მოთხოვნის არასტაბილურობა ნიშნავს, რომ ცენტრალური ბანკი ვერ შეძლებს აკონტროლოს ფულის მიწოდება და მისი მეშვეობით განახორციელოს მონეტარული პოლიტიკა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ 1980-იან წლებში ინგლისში და აშშ-ში უარი თქვეს M3-ის ტარგეტირებაზე, ხოლო ევროპის ცენტრალურ ბანკებში, მართალია, გრძელდებოდა ფულადი აგრეგატების მონიტორინგი, მაგრამ სულ უფრო ცხადად მიანიშნებდნენ იმაზე, რომ ისინი თამაშობდნენ უმნიშვნელო როლს მონეტარული პოლიტიკის ფორმირებაში. [1]

ამის მთავარი მიზეზია ის, რომ ეს თეორია არ ითვალისწინებს ბანკის, როგორც კრედიტის, ფულის და მსყიდველობითი უნარის შემქმნელის, განსაკუთრებულ როლს. ამის გამო არასაკმარისი ყურადღება ექცევა ბანკების მიერ შექმნილი კრედიტების მოცულობას, მათ განაწილებას და, შესაბამისად, ფულადი ინექციების მიმართულებებს. არ მიმდინარეობს იმის მონიტორინგი, მიემართება თუ არა ახლად შექმნილი კრედიტები ისეთ ტრანსაქციებზე, რომელთაც შეაქვთ წვლილი მშპ-ის ზრდაში.

3. როგორც აღინიშნა, 80-იანი წლებიდან დაწყებული განვითარებულ ქვეყნებში საბანკო კრედიტები იზრდება გაცილებით სწრაფად, ვიდრე მშპ. (იხ. ნან. 2). ეს მოწმობს იმაზე, რომ შექმნილი კრედიტების სულ უფრო დიდი ნაწილის კანალიზება ხდება ფინანსურ სპეკულაციებში და უკვე არსებული აქტივების შემენახე. კრედიტების და მშპ-ის დინამიკის ასეთი არანორმალური თანაფარდობა ძალიან ძვირად უჯდება საზოგადოებას, რადგან ქმნის არასტაბილურობას, იწვევს რესურსების არაეფექტიან განაწილებას და ქმნის ფინანსური და ეკონომიკური კრიზისების წინაპირობებს.



ნახ. 2. განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში კერძო შიდა კრედიტები პროცენტებში მშპ-თან მიმართებაში.
 (წყარო: IMF, *International Financial Statistics*, and *World Economic Outlook*, various issues; Reinhart, Reinhart, and Rogoff, 2012)

VII თავი. ფულის რაოდენობრივი ბანტოლეკა

1. ზემოთქმული მიუთითებს მაკროეკონომიკური მენისტრის სრულ არაადეკვატურობაზე. რადგან გამოდის, რომ არ არსებობს მაკროეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი მთავარი „საყრდენი წერტილი“ - სტაბილური კავშირი ფულსა და ეკონომიკის რეალურ სექტორს შორის. მხოლოდ ეს ფაქტიც საკმარისია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ორთოდოქსული მაკროეკონომიკური თეორიის უუნარობაში ახსნას ეკონომიკური რეალობა, რომ აღარაფერი ვთქვათ მის უუნარობაზე შემოგვთავაზოს გონივრული მონეტარული პოლიტიკა. მართლაც, ნეოკლასიკოსების პოზიციის თანახმად ფინანსური სექტორის განვითარება ასოცირდება რეალური სექტორის ფუნქციონირების გაუმჯობესებასთან. ეს მცდარი დასკვნა დაედო საფუძვლად იმ არაჯანსაღ მონეტარულ პოლიტიკას, რომელმაც წარმოშვა კატასტროფული შედეგები.¹⁶

¹⁶ ერთ-ერთ თავის მოხსენებაში ა. ტერნერი აღნიშნავდა, რომ „კრიზისამდე საკრედიტო მხარი იზრდებოდა წლიდან წლამდე. მაგრამ უცნაურია, რომ ასეთი უზარმაზარი ზრდის მიუხედავად მას არ ანიჭებდნენ მნიშვნელობას. არ დაეხადად კითხვა - არსებობს კი ასეთი ზრდის გონივრული ზღვარი? შესაძლებელია თუ არა, რომ კრედიტები იყოს უზომოდ ბევრი, ან ძალიან ცოტა? ... ფინანსისტები მიიჩნევდნენ - რაც მეტია ფინანსური აქტიობა, მით უკეთესია, ხოლო მაკროეკონომისტები - უბრალოდ ახდენდნენ ფინანსური სექტორის მნიშვნელობის იგნორირებას, ჰქონდად ნეიტრალური დამოკიდებულება. მათ უბრალოდ არ აინტერესებდათ ეს საკითხი. საერთო ეკონომიკური წონასწორობის მოდელებში ბანკები და საფინანსო სისტემა უბრალოდ არ არსებობენ. უცნაურია, როგორ შეიძლება შევქმნათ მონეტარული ეკონიკის მოდელები, მხედველობაში მივიღოთ ეკონომიკაზე საპროცენტო განაკვეთის გავლენა, და ამასთან ასეთ მოდელებში არ იყოს გათვალისწინებული ბანკები, საფინანსო სისტემა. ამ მოდელებში არის რეპრეზენტატული ფირმა და რეპრეზენტატული შიდამეურნეობა, მაგრამ არ არის საბანკო სისტემა. ... საერთოდ ფინანსების თეორეტიკოსები და ეკონომიკის ისტორიკოსები ამბობენ, რომ რაც მეტია ფინანსიალიზაცია, მით უკეთესი. რაც შეეხება მაკროეკონომისტებს, რომლებმაც შექმნეს ფულის თანამედროვე თეორია

2. როდესაც ბანკები ოპტიმისტურად არიან განწყობილი, ისინი აქტიურად ქმნიან მსესხებლებისთვის ახალ კრედიტებს და დეპოზიტებს, და ესე იგი, ახალ ფულს. როდესაც პესიმისტურად არიან განწყობილნი, ისინი ამცირებენ დაკრედიტების და ახალი ფულის შექმნის მასშტაბებს. თუ მეტი ფული უზრუნველბათ მათ, ვიდრე თვითონ ქმნიან, მაშინ ეკონომიკაში ფულის მიწოდება მცირდება, თუ პირიქით - მაშინ ფულის მიწოდება იზრდება. ანუ, კრედიტების, ფულის და მსყიდველობითი უნარის მიწოდება ეკონომიკაში ძირითადად დამოკიდებულია კერძო ბანკების ოპტიმისტურ ან პესიმისტურ განწყობებზე და აქედან წარმოქმნილ სტიმულებზე. ამასთან, ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა მიზნებზე გაიცემა კრედიტები, რამდენად უწყობენ ხელს მშპ-ის ზრდას ამ კრედიტებით დფინანსებული ოპერაციები. ამაზეა დამოკიდებული, თუ რას ექნება ადგილი, აქტივების ფასების ზრდას, რესურსების არაეფექტიან განაწილებას, საფინანსო „ბუშტის“ ფორმირებას და ფინანსურ კრიზისს, თუ, პირი-

და რომლებიც მუშაობენ ცენტრალურ ბანკებში, ისინი ამბობენ, რომ ზოგადად, რაც არ უნდა მოხდეს ფინანსურ სექტორში, იგი ნეიტრალურია და შეიძლება მისი იგნორირება. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, მაგრამ მე გეუბნებით სიმართლეს, რომ ის, რასაც იყენებენ ცენტრალური ბანკები, ეგრედ წოდებული DSGE მოდელი, თითქმის არ შეიცავს თავის თავში საფინანსო სისტემას. არსებობს ახალი კეინზიანელის მაიკლ ვუდფორდის მაკროეკონომიკური თეორიის ვებერთელა ტომი „საპროცენტო განაკვეთი და ფასები“, დაახლოებით 800-გვერდიანი, იგი მართლაც არ შეიცავს საფინანსო სისტემას. ანდა ვნახოთ რას წერენ ოლივერ ბლანშარი ან მერვინ კინგი. „ჩვენ ვგულისხმობთ, რომ შეგვიძლია საფინანსო სისტემის დეტალების უმრავლესობის იგნორირება.“ (ოლივერ ბლანშარი. IMF-ის მთავარი ეკონომისტი, 2012 წ.). „ახალი კეინზიანელების მონეტარული ეკონომიკური თეორიის ძირითადი მოდელი არ ითვალისწინებს ფინანსურ შუამავლობას, ასე რომ ფული, კრედიტი და ბანკები არ თამაშობენ მნიშვნელოვან როლს.“ (მერვინ კინგი, სტემპის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექცია, 2012). მართლაც უცნაურია, რადგან ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ საპროცენტო განაკვეთი მოქმედებს ფინანსური სისტემის მეშვეობით. მაგრამ არსებობს ფილოსოფია, რომელიც ფინანსურ სისტემას აღწერს როგორც ვუალს, რომელშიც საპროცენტო განაკვეთი გადის იმისათვის, რომ ზეგავლენა იქონიოს რეალურ ეკონომიკაზე, მაგრამ, რომელიც თითქოს და არ განიცდის იმ ფაქტორების გავლენას, რომლებსაც ადგილი აქვთ თვითონ საფინანსო სისტემაში.“ [43].

ქით, ახალი პროდუქტების და მომსახურების შექმნას, მწარმოებლურობის ზრდას და ეკონომიკის არაინფლაციურ ზრდას. [1], [10], [37].

3. ისტორია მოწმობს, რომ ბანკები უპირატესობას ანიჭებენ კრედიტების გაცემას ფინანსური და სპეკულაციური ოპერაციებისთვის, უძრავი ქონების საყიდლად, რომლებიც ხშირად იძლევიან სწრაფ მოგებას, ან დაკავშირებული არიან დაბალ რისკთან, მაგრამ არ შეაქვთ წვლილი მშპ-ის ზრდაში. ტრანსაქციები, რომლებიც გავლენას ახდენენ მშპ-ის ზრდაზე, წარმოადგენენ მთლიანად ეკონომიკაში განხორციელებული ტრანსაქციების მხოლოდ ნაწილს. მაგრამ იმ ტრანსაქციებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ფინანსურ სპეკულაციებთან, უკვე არსებული აქტივების (უძრავი ქონების, ნახმარი მანქანების და სხვ.) ყიდვასთან და ა.შ., არ შეაქვთ წვლილი ნომინალური მშპ-ის ზრდაში. მაგრამ მენისტრიში ფულის რაოდენობრივი განტოლება ნომინალური მშპ-ის მეშვეობით გამოხატავს ყველა ტრანსაქციის მთლიან ღირებულებას. შესაბამისად, თუ გაიზრდება იმ ტრანსაქციების ღირებულება, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მშპ-თან, მაშინ მშპ ვერ ასახავს ადეკვატურად ტრანსაქციების საერთო ღირებულების ცვლილებებს. ამ შემთხვევაში ცხადია, ფულის რაოდენობრივი განტოლება, $MV = PY$, შექმნის ფულის სიჩქარის (V) შემცირების ილუზიას, რადგან ფული გამოიყენება არა მხოლოდ ნომინალურ მშპ-თან (ფორმულაში PY) დაკავშირებული ტრანსაქციებისთვის, არამედ სხვა ტრანსაქციებისთვისაც. ეს გარემოება ნათელს ხდის, თუ რატომ შემცირდა ფულის მიმოქცევის სიჩქარე იმ ქვეყნებში, სადაც მკვეთრად გაიზარდა ფასები აქტივებზე (აქტივებზე ფასების ზრდა მიანიშნებს სპეკულაციური ტრანსაქციების ზრდაზე). [10]

4. ძალზე მნიშვნელოვანია რეტროსპექტულად თვალი გავადევნოთ თუ სად შეიპარა შეცდომა ნეოკლასიკოსების მაკროეკონომიკური შეხედულებების ფორმირებისას. მათი მაკროე-

კონომიკური თეორიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს ფულის რაოდენობრივი თეორია და მისი განტოლება $MV = PY$. ეს განტოლება მიჩნეულია იგივეობად, რადგან იგი ითვლება ჭეშმარიტად თვით განსაზღვრების თანახმად და, ამიტომ, არ საჭორიებს შემდგომ განსჯას. ფულის რაოდენობრივი განტოლება, რომელიც რამდენადმე განსხვავდება თანამედროვე განტოლებისაგან, შემოთავაზებული იყო გასული საუკუნის დასაწყისში ირვინგ ფიშერის მიერ (1911):

$$MV = PT$$

სადაც: M – არის მიმოქცევაში ფულის რაოდენობა;

V – ფულის მიმოქცევის სიჩქარე;

P – ფასი თითოეულ ტრანსაქციაში;

T - ტრანსაქციების რაოდენობა.

უფრო ზუსტად, ი. ფიშერის თანახმად, ტრანსაქციების საერთო ღირებულება უდრის $P_T T = \sum P_T t_i$. ეს განტოლება ეფუძნება იდეას, რომ ტრანსაქციების საერთო ღირებულება (PT) უნდა უდრიდეს ფულის მთლიან თანხას, რომელიც გადახდილია ამ ტრანსაქციებში. ი. ფიშერს მხედველობაში ჰქონდა ის გარემოება, რომ გარიგებების საერთო ღირებულება იყო გაცილებით მეტი, ვიდრე ქვეყანაში არსებული ოქროს და ვერცხლის მარაგები. ამრიგად, იგი აცნობიერებდა, რომ ბანკები ემსახურებოდნენ ფულის მიმოქცევაში ოქროს მარაგების ეკონომიას. ამიტომ, ამა თუ იმ ფორმით, „მულტიპლიკატორი“ იყო აუცილებელი. ამ ფუნქციას ასრულებდა ფულის მიმოქცევის სიჩქარე (V). [10]

5. მაგრამ ი. ფიშერის განტოლებას გააჩნდა სერიოზული ნაკლი. პრაქტიკული გამოყენებისათვის არსებობდა სტატისტიკური მონაცემები მხოლოდ M-ს და P-სთვის. ფულის სიჩქარე (V) იყო გასაანგარიშებელი პარამეტრი. ამიტომ, ტრანსაქციების რაოდენობის (T) ამსახველი მონაცემები იყო აუცილებელი. მაგრამ

სტატისტიკაში არ ხდებოდა ასეთი მონაცემების აღრიცხვა, ხოლო ეროვნული შემოსავლისა და მშპ-ის საკმაოდ საიმედო აღრიცხვა უკვე არსებობდა. ეროვნული ანგარიშების სისტემის თანახმად, არსებითად PY-ს მსგავსი აგრეგატი, შეიძლება გამოიხატოს ეროვნული შემოსავლის ან მთლიანი ეროვნული პროდუქტის მეშვეობით. ამიტომ, არტურ პიგუ (1917) და მრავალი მისი კოლეგა კემბრიჯის უნივერსიტეტიდან მიიჩნევდნენ, რომ ფულის მიწოდება უნდა იყოს „ერთობლივი ნომინალური ხარჯების“ პროპორციული და წარმოდგენილი იყოს მშპ-ის საშუალებით. ამიტომ მრავალმა ეკონომისტმა კემბრიჯიდან, ფორმულაში PT-ს ნაცვლად დაიწყო PY-ს გამოყენება, (სადაც P – არის ფასების დონე, Y – რეალური მშპ), და ამის შედეგად მათ მიიღეს თანამედროვე ფორმულა: $MV = PY$ [10].

ეკონომისტების უმრავლესობა იყენებს ფორმულის ამ ვერსიას, რომელიც ეფუძნება ეროვნულ შემოსავალს, თუმცა განტოლების ორიგინალური ვერსია გულისხმობდა ეკონომიკაში ტრანსაქციების მთლიან რაოდენობას, და არა მხოლოდ მშპ-ს. იგივე ფორმულა გამოიყენება სახელმძღვანელოებში. მაგრამ იგი არ ასახავს რეალობას. მრავალრიხოვანი კვლევები ადასტურებენ, რომ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ტრანსაქციებს აქვთ უზარმაზარი მასშტაბები, თუმცა სტატისტიკა არ ითვალისწინებს მათ მშპ-ის განაგარიშებისას. ასევე ი. ფიშერი, და მის შემდეგ ჯ. კეინზიც, ცალსახად განასხვავებდნენ, ერთი მხრივ, საბოლოო პროდუქტის და მომსახურების ყიდვასთან დაკავშირებულ ტრანსაქციებს (რომლებიც აღირიცხება მშპ-ში) და, მეორე მხრივ, ფინანსურ ტრანსაქციებს (რომლებიც არ აღირიცხება მშპ-ში). ინგლისის ცენტრალური სტატისტიკური ოფისი (Central Statistical Office - CSO, 1986) მიიჩნევდა, რომ რაოდენობრივ განტოლებაში უნდა იყოს გამოყენებული ტრანსაქციების საერთო ღირებულება, მაშინ როდესაც მშპ წარმოადგენს ტრანსაქციების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც შეიცავს საბოლოო პროდუქტს. თავის სანობელო

ლექციაში ჯ. სტიგლიცი აღნიშნავდა, რომ: „თანამედროვე ეკონომიკაში ტრანსაქციების უმრავლესობისთვის გამოიყენება კრედიტი, და არა ფული, და ტრანსაქციების უმრავლესობა არის უბრალოდ აქტივების გაცვლა და ამიტომ არ გააჩნიათ კავშირი უშუალოდ მშპ-სთან.“ [11].

6. სხვადასხვა ტრანსაქციებს შორის არსებული ამ განსხვავების იგნორირება ბადებს მრავალ პრობლემას როგორც თეორიაში, ისე მონეტარული პოლიტიკის ფორმირებისას [10]. ეს დასტურდება ფაქტებით. „ნავთობის კრიზისმა“ 70-იან წლებში და სტაგფლაციამ, რომელიც წარმოშვა კეინზიანურმა პოლიტიკამ, ხელი შეუწყო იმას, რომ ხელისუფლებაში მოსულმა რ. რეიგანმა და მ. ტეტჩერმა ორიენტაცია აიღეს თავისუფალ ბაზრებზე და დაიწყეს კონტროლის შესუსტება საბაკო საქმიანობაზე. ამის შემდეგ არ ხორციელდებოდა პირდაპირი კონტროლი: ხდებოდა საწარმოო ინვესტიციების დაკრედიტება, თუ კრედიტები გაიცემოდა სამომხმარებლო მიზნებზე და უკვე არსებული აქტივების საყიდლად. როგორც უკვე აღინიშნა, ამ გარემოებამ ხელი შეუწყო პროცესებს, რომლებმაც ჯერ წარმოშვეს ეკონომიკური ზრდა, მაგრამ შემდეგ წარმოშვეს 2008-2010 წლების ღრმა კრიზისი.

„მთავრობა უნდა ქმნიდეს, უშვებდეს და უზრუნველყოფდეს მთლიანად იმ ფულის და კრედიტების მიმოქცევას, რომელიც აუცილებელია მთავრობის ხარჯების და მომხმარებელთა მსყიდველობითი უნარის დასაკმაყოფილებლად. ამ პრინციპის გაზიარებით, გადასახადის გადამხდელები დაზოგავენ სესხთან დაკავშირებული პროცენტების უზარმაზარ თანხებს. ფულის შექმნის და გამოშვების პრივილეგია არის მთავრობის არა მხოლოდ უმაღლესი პრეროგატივა, არამედ არის მისთვის უდიდესი შემოქმედებითი შესაძლებლობებიც.“

აბრამ ლინკოლნი, აშშ-ის მე-16 პრეზიდენტი 1861 – 1865 წლებში.

VIII თავი. შიშობიერებასთან დაკავშირებული რეკონსტრუქციები

1. ჩვენ დავინახეთ, რომ კერძო ბანკები წარმოადგენენ ეკონომიკურ აგენტებს, რომელთაც აქვთ უნარი არაფრიდან შექმნან ფული და თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე გაანაწილონ იგი. ამის შედეგად კომერციულმა ბანკებმა შეიძინეს უზარმაზარი ეკონომიკური ძალაუფლება. ცხადია, რომ თუ მიკროდონეზე ყოველი კერძო ბანკი თვითონ ქმნის, და თვითონვე ანაწილებს ფულს და მსყიდველობით უნარს, ეს ნიშნავს, რომ მაკროდონეზეც მსყიდველობითი უნარის და ფულის განაწილება ქვეყანაში დამოკიდებულია კერძო ბანკების გადაწყვეტილებებზე და მათ ინტერესებზე. ამიტომ, კომერციულ ბანკებს აქვთ უდიდესი გავლენა ეკონომიკურ პროცესებზე. მათზე დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკის ფუნქციონირების ეფექტიანობა, ინვესტიციების სტრუქტურა და დარგობრივი სტრუქტურა, დასაქმება, ინფლაცია, ეკონომიკის ზრდის ტემპები. ფაქტიურად კომერციული ბანკების მფლობელები, კერძო პირთა მცირე ჯგუფი, თავისი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე არაფორმალურად წყვეტენ თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყნის ეკონომიკა, მიუხედავად

იმისა, რომ მათთვის ეს უფლება არავის მიუნიჭებია. ამის უფლება მათ მიანიჭა თვით საბანკო სისტემამ.

2. ბანკირების კოლექტიურ გადაწყვეცილებებს იმის შესახებ, თუ რამდენი შეიქმნას ფული, ვის მიეცეს იგი კრედიტის სახით, და ვის - არა, აქვთ პრინციპული მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისთვის. თუ კრედიტები გაიცემა სამომხმარებლო მიზნებზე, უნდა ველოდოთ სამომხმარებლო ფასების ზრდას. თუ კრედიტები გაიცემა ფინანსური სპეკულაციების დასაფინანსებლად, უნდა ველოდოთ აქტივებზე ფასების ზრდას, ხოლო თუ კრედიტები გაიცემა საწარმოო ინვესტიციებისთვის, შეიძლება ველოდოთ ეკონომიკურ ზრდას ინფლაციის გარეშე [37].

როდესაც კრედიტები გაიცემა არასაწარმოო ოპერაციებისთვის, მაშინ ადგილი აქვს ახალი ფულის შექმნას, მაგრამ ამით არ იქმნება საქონელი და მომსახურება. თუ ასეთი კრედიტების მოცულობა უზომოდ გაიზრდება, ეს შექმნის არასტაბილურობას მთლიანად ეკონომიკაში. რადგან ასეთი ოპერაციების შედეგად არ იქმნება საქონელი და მომსახურება, არ იქმნება ახალი შემოსავლები, რაც აუცილებელია ვალების მომსახურებისთვის, თავნის და პროცენტების დასაფარად. მართალია, ფინანსური სპეკულაციების სფეროში ცალკეული ოპერაციები შეიძლება იყოს მომგებიანი, მაგრამ მთლიანობაში ამ სფეროში ადგილი აქვს მხოლოდ შემოსავლების გადანაწილებას და ერთის მოგება დაკავშირებულია ვიღაცის წაგებასთან. ხოლო თუ კრედიტები მიემართება წარმოების სფეროში ბიზნეს-ინვესტიციების დასაფინანსებლად, მაშინ ინფლაცია არ წარმოიშვება. იქმნება საქონელი და მომსახურება, სამუშაო ადგილები და შემოსავლები. შესაბამისად, ვალების მომსახურება შესაძლებელი ხდება ფინანსური და ეკონომიკური სტაბილურობის პირობებში. ეკონომიკა ეფექტიანად ფუნქციონირებს ინფლაციისა და უმუშევრობის გარეშე.

3. ნეოლიბერალური პოლიტიკის და მეტი ეკონომიკური თავისუფლების მინიჭების პირობებში, კერძო ბანკები ცდილობენ

დააკრედიტონ მოკლევადიანი და ნაკლებ სარისკო პროექტები. ამიტომ კრედიტების უმეტესი ნაწილი გაიცემა იმპორტის, ვაჭრობის, უკვე არსებული უძრავი ქონების შექმნის, სამომხმარებლო მოთხოვნის, სპეკულაციური გარიგებების დასაფინანსებლად, და არა გრძელვადიანი საწარმოო ინვესტიციების დასაფინანსებლად. შესაბამისად, ბანკების მიერ შექმნილი ფულის უდიდესი ნაწილი მიემართება უძრავი ქონების და სამომხმარებლო ბაზრებზე. როგორც აღინიშნა, ამის შედეგად იზრდება ფასები სახლებზე, ბინებზე, მიწის ნაკვეთებზე, მანქანებზე, სამომხმარებლო ტექნიკაზე, ფასიან ქალაქებზე. ეს ფული ხელს არ უწყობს უშუალოდ სამუშაო ადგილების შექმნას.¹⁷ ისინი მხოლოდ ზრდიან ცხოვრების ღირებულებას, ეკონომიკურ უთანაბრობას, ფინანსურ არასტაბილურობას და წარმოშობენ კრიზისებს. [16]

4. ამასთან დაკავშირებით პ. გრიგონი სვავს კითხვას: „რა შეიძლება გაკეთდეს ასეთ შემზარავ სიტუაციაში? ჯერ ერთი, ჩვენ გვჭირდება ფულის სხვა კონცეფცია. დადგა დრო, რომ ადამიანებმა საკუთარ თავსაც და მთავრობასაც დაუსვან 4 მარტივი შეკითხვა. მთელ მსოფლიოში სახელმწიფოები ფულს სესხულობენ კერძო ბანკებისგან. სახელმწიფო ვალი შეადგენს საერთო ვალის ლომის წილს. ამ ვალის გადახდას ხმარდება გადასახადების უდიდესი ნაწილი. ამასთან, ვიცით, რომ ბანკები უბრალოდ ქმნიან ფულს, რომელსაც გასცემენ სესხად და მთავრობები აძლევენ მათ ამის უფლებას. პირველი კითხვა: რატომ იღებენ მთავრობები კერძო ბანკებისაგან პროცენტთან სესხებს, თუ მათ შეუძლიათ შექმნან თავიანთი საკუთარი ფული, და თანაც, უპროცენტოდ? მეორე მნიშვნელოვანი კითხვა: ფული რატომ უნდა იქმნებოდეს, როგორც

¹⁷ მართალია არაპირაპირ, ირიბად, ერთობლივი მოთხოვნის ხელოვნური სტიმულირების საშუალებით, სამომხმარებლო კრედიტები გავლენას ახდენენ წარმოების სტიმულირებაზე, მაგრამ, როგორც სამართლიანად ამტკიცებს პ. მინსკის „ფინანსური არასტაბილურობის ჰიპოთეზა“, და როგორც ამას ადასტურებენ რეალური პროცესები, საკრედიტო ექსპანსიის გზით მოთხოვნის და ეკონომიკური ზრდის ხელოვნური გამყარება მთავრდება კრიზისით.

ვიდაცის ვალი? რატომ არ შეიძლება შეიქმნას ფული, რომელიც მუდმივად იქნება მიმოქცევაში და არ გახდება საჭირო გაუთავებლად მათი ვალად აღება და პროცენტების გადახდა მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი არსებობდნენ? მესამე კითხვა: როგორ შეიძლება ფულის მუდმივ ზრდაზე დაფუძნებული მონეტარული სისტემა გამოიყენებოდეს სტაბილური ეკონომიკის შესაქმნელად? ხომ უფრო ლოგიკურია, რომ ფულის მუდმივი ზრდა და ეკონომიკის სტაბილურობა გამორიცხავენ ერთმანეთს? და, ბოლოს, მეოთხე კითხვა: რა უყოთ ფულის მუდმივ ზრდაზე დაფუძნებულ არსებულ სისტემას? რისი შეცვლაა საჭირო სტაბილური ეკონომიკის შესაქმნელად?“ [3].

5. ის, რომ ადრე თუ გვიან საბანკო სისტემის რეფორმა გარდუვალია - ეს სრულიად აშკარაა. მაგრამ, „... ჩვენ არ უნდა გვეჩვენდეს იმის ილუზია, რომ მეინსტრიმი ადვილად მიიღებს ფულის, კრედიტის და საბანკო საქმის ალტერნატიულ პარადიგმას. ეს არ არის უბრალოდ კაბინეტური თამაშები, არამედ ტვინების ბრძოლა, რომელშიც ჩადებულია ძლევამოსილი ინტერეს-ჯგუფების მაღალი ფსონი.“ [42, გვ. 13]. მაგრამ არსებულ პირობებში არის კი შესაძლებელი რაიმეს გაკეთება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საბანკო სისტემის ფუნქციონირებას?

როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკაში ბანკები არა მარტო ქმნიან მსყიდველობითი უნარის ძირითად ნაწილს, არამედ წყვეტენ იმას თუ ვინ და რა მიზნებისთვის გამოიყენოს იგი. არ არსებობს იმის გარანტია, რომ ცალკეული ბანკების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დაემთხვევა კრედიტების ისეთ განთავსებას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმიზაციას. მართლაც, ბანკებში, საკრედიტო ოფიცრების სტიმულებმა შესაძლოა განაპირობონ მათი გადაწყვეტილებები, რომლებიც არ ემთხვევა საზოგადოებრივ ინტერესებს. (შესაძლოა მათ უპირატესობა მიანიჭონ მსხვილ

ფირმებს, რადგან ეს ამცირებს რისკს, ან უძრავი ქონების გადამყიდველებს, რადგან მოელიან დიდ მოგებას).

სახელმწიფოს შეუძლია ჩაერიოს და ინსტიტუციონალურად შეუქმნას ბანკებს პირობები, რომლებიც საკრედიტო ოფიცრებს გაუჩენენ ისეთ სტიმულებს, რომლებიც შესაბამისობაში მოიყვანენ მათ ინდივიდუალურ მოქმედებებს საზოგადოების ინტერესებთან. მეორეც, ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ქვეყანაში კეთილდღეობის ზრდას თუ ჩაერევიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში იმის თაობაზე, თუ მთლიანობაში რამდენი კრედიტი იქნეს გაცემული, როგორ განაწილდეს კრედიტები ეკონომიკის დარგებს შორის და რამდენად შეიზღუდოს არამწარმოებლური კრედიტები (სამომხმარებლო ან სპეკულაციური მიზნებისათვის). ამან შეიძლება მიიღოს ფორმალური ან არაფორმალური ხასიათი, ან ცენტრალური ბანკის „რეკომენდაციების“ ფორმა. [10].

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2008-2010 წწ. კრიზისამდე ცენტრალური ბანკები კრედიტების ეფექტიანად განთავსების საკითხს მთლიანად ანდობდნენ ბაზარს, რადგან მიაჩნდათ, რომ ბაზარი უკეთ გადაწყვეტს ამ საკითხს. ცხადია მათ ჰქონდათ ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ მათ არ გააჩნდათ თავიანთი პოზიცია იმის შესახებ, თუ სად ჯობია კრედიტების ჩადება - ბიზნესში თუ უძრავ ქონებაში. მაგრამ კრიზისის შემდეგ ზოგიერთმა ცენტრალურმა ბანკმა დაიწყო ჩარევა ამ საკითხში და შეიმუშავა თავისი პრიორიტეტები. მაგალითად, ინგლისის ბანკმა უპირატესობა მიანიჭა მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებას, ევროპის ბანკმა - არაიპოთეკურ კრედიტებს, ჩინეთის ბანკმა - აგრარულ კრედიტებს და მცირე ბიზნესს, კორეის ბანკმა - მცირე და საშუალო ბიზნესს. მართალია მათ მიაჩნიათ, რომ ეს დროებითი მოვლენაა, განპირობებულია პოსტკრიზისული ვითარებით და შემდეგში აპირებენ დაუბრუნდნენ „ნეიტრალური ფულის“ პოლიტიკას, მაგრამ ნიშანდობლივია ის, რომ მათ გაუჩნდათ გარკვეული

პოზიცია არა მარტო კრედიტების საერთო მოცულობასთან დაკავშირებით, არამედ ალტერნატიულ მიზნებს შორის მათ განაწილებასთან დაკავშირებითაც [43].

6. პროფესორი რ. ვერნერი გთავაზობს რეფორმების თავისეულ ხედვას, რომელიც ეფუძნება გერმანიის გამოცდილებას. იგი თვლის, რომ ზოგიერთი ქვეყანა წარმატებით ახერხებს აქტივების ინფლაციის პრევენციას. მაგალითად, გერმანიას აქვს ისეთი საბანკო სისტემა, რომელშიც, კრედიტების რეგულირების გარეშე, დომინირებენ ისეთი ბანკები, რომელთაც არ სურთ ფინანსური სპეკულაციების დაფინანსება. პირველ რიგში, ეს არის ადგილობრივი ბანკები. გერმანიაში ბანკების 70%, ანუ 1500 ბანკი, არის სახალხო ბანკი. ფაქტიურად, გერმანიაში ბანკების უმრავლესობა არის მცირე ზომის ბანკი. ისინი საწარმოო მიზნებისათვის აკრედიტებენ მცირე და საშუალო ბიზნესს, რომელიც, მიუხედავად საომარი პერიოდების სირთულეებისა, წარმოადგენენ გერმანიის ეკონომიკური სისტემის წარმატების ძირითად საყრდენს ბოლო 200 წლის განმავლობაში. მხოლოდ ამით გახდა შესაძლებელი გერმანული ეკონომიკის წარმატების უზრუნველყოფა. ასე არ არის ინგლისში, სადაც დომინირებენ მსხვილი ბანკები. ამიტომ ინგლისში არსებობს მცირე და საშუალო საწარმოების პრობლემა. ამგვარად, პრობლემის გადაჭრას წარმოადგენს მცირე ბანკების შექმნა. ისინი არიან მცირე და საშუალო ბიზნესის ნაციონალური კრედიტორები, ისინი უზრუნველყოფენ სტაბილურ ზრდას, არ წარმოშობენ ციკლებს, საბანკო კრიზისებს, და საზოგადოების ფულით ბანკების გაკოტრებიდან ხსნის აუცილებლობას. გერმანიაში 200 წლის მანძილზე არ ყოფილა საზოგადოების ფულით ბანკების გადარჩენის შემთხვევა და არც ერთ დეპოზიტორს არ დაუკარგავს ფული. [44]

რატომ არის მნიშვნელოვანი მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსირება? იმიტომ, რომ მცირე და საშუალო ფირმებს აქვთ დიდი მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებისათვის:

1. უმრავლეს ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოები ახორციელებენ ერთობლივი ინვესტიციების (კაპიტალური ხარჯების) 20-30%-ზე მეტს;
2. მცირე და საშუალო საწარმოები ინგლისში უზრუნველ-ყოფენ დასაქმების დაახლოებით 65%-ს, სხვა ქვეყნებში - დაახლოებით 70%-ს, ხოლო იაპონიაში - თითქმის 80%-ს. ისინი არიან სამუშაო ძალის ყველაზე დიდი დამსაქ-მებლები.
3. ფული, რომელიც ინვესტირებულია მცირე და საშუალო ბიზნესში, ქმნის გაცილებით მეტ სამუშაო ადგილებს, ვიდრე იგივე ფული, ინვესტირებული მსხვილ კომპა-ნიებში. რაოდენობრივად ისინი ქმნიან ყველაზე ბევრ საუშაო ადგილს.

როგორც წესი, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის არ არის ხელმისაწვდომი კაპიტალის ბაზრები. მათთვის გარე დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენენ ბანკები. როგორ ვუზრუნველყოთ, რომ ბანკები სტაბილურად აფინანსებდნენ მცირე და საშუალო ბიზნესს? ამისთვის საჭიროა მცირე ზომის ბანკები. საბანკო სისტემის მთავარ კანონზომიერებას წარმოადგენს ის, რომ დიდი ბანკები დიდი კრედიტებით აკრედიტებენ დიდ მსესხებლებს. მათთვის დამახასიათებელია მასშტაბური ფინანსური სპეკულაციების დაკრედიტებისკენ მიდრეკილება. ისინი ნაკლებად ინტერესდებიან მცირე ბიზნესით. ხოლო მცირე ზომის ბანკები ძირითადად აკრედიტებენ მცირე და საშუალო ფირმებს. [44].

7. მართალია, საბანკო სექტორის სტრუქტურის სრულყოფა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მის ფუნქციონირებას, მაგრამ ცხადია, რომ ეს არ არის პრობლემის სრულად მოგვარება. 2008-2010 წწ. კრიზისის შემდეგ ჯ. ბენესმა და მ. კამპოფმა წარმოადგინეს

პრობლემის უფრო ფუნდამენტური გადაჭრის პროექტი, რომელიც გულისხმობს საბანკო სისტემაში დეპოზიტების ნაწილობრივი რეზერვების ჩანაცვლებას 100%-იანი რეზერვებით. [6]. ასეთ პირობებში თითოეული ბანკი ვალდებული იქნება დროის ნებისმიერ მომენტში სრულად იქონიოს მისი მიმდინარე დეპოზიტების ტოლი რეზერვები. ეს რეზერვები ეფექტიანად არის მიბმული დეპოზიტებთან და ამიტომ ვერ იქნებიან ბანკის მიერ გამოყენებული საკუთარი მიზნებისათვის. თავისი ინვესტიციებისათვის (კრედიტების გასაცემად ან ფასიანი ქაღალდების საყიდლად) ბანკს უნდა ჰქონდეს დამატებითი რესურსები. ჯ. ბენესის და მ. კამპოვის პროექტი არსებითად წარმოადგენს ანალოგიური პროექტის განახლებულ ვარიანტს, რომელიც 30-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ შემდეგ წარმოადგინეს ირვინგ ფიშერმა, ჰენრი საიმონსმა და იმ დროის სხვა ცნობილმა ეკონომისტებმა.

ამასთან დაკავშირებით ა. ტერნერი წერს, რომ „რამდენიმე ეკონომისტი, რომლებმაც გამოიარეს ამერიკის 1920-იანი წლების ბუმი და შემდგომი „დიდი დეპრესია“, ისეთები, როგორც იყვნენ ირვინგ ფიშერი და ჰენრი საიმონსი, მივიდნენ დასკვნამდე, რომ პასუხი უნდა იყოს ძალიან რადიკალური. მათ სჯეროდათ, რომ „ნაწილობრივი რეზერვების ბანკები“, რომლითაც ცენტრალური ბანკის რეზერვებში, ან ბანკნოტებით და მონეტებით, ინახავენ თავიანთი ვალდებულებების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს, და რომლებსაც, ამის გამო, შეუძლიათ შექმნან კრედიტები და ფული, წარმოადგენენ იმდენად დიდ საფრთხეს, რომ საჭიროა მათი გაუქმება. იგივეზე გაამახვილა ყურადღება მილტონ ფრიდმენმა 1948 წელს დაწერილ სტატიაში. ამის ნაცვლად ისინი სთავაზობდნენ, რომ ბაკებმა უნდა იქონიონ თავიანთი დეპოზიტების 100%-ის ტოლი რეზერვები და არ უნდა თამაშობდნენ როლს კრედიტების ზრდაში, და ამის ნაცვლად იყვნენ მხოლოდ ფულადი დანაზოგების შემნახველები და

ეწოდნენ ფასიან მომსახურებას. სავალო ხელშეკრულება ჯერ კიდევ იარსებებს ეკონომიკაში, მაგრამ ეს მოხდება საბანკო სისტემის გარეთ და არ მოითხოვს ახალი ფულის და მსყიდველობითი უნარის შექმნას. სახელმწიფო პოლიტიკამ უნდა შექმნას კრედიტების განაწილების სხვა მექანიზმი, ნაცვლად იმისა, რომელიც ხორციელდება მხოლოდ კერძო გადაწყვეტილებების საფუძველზე. ამასთან, ამ მექანიზმმა თავი უნდა აარიდოს უძრავი ქონების სასარგებლოდ გადახრებისაგან და ამის ნაცვლად ხელი შეუწყოს რესურსების განაწილების პოტენციურად უფრო სოციალურად სასარგებლო ფორმებს. ხედავენ რა ამ ქაოსს, რომელიც განვითარებული ქვეყნების უძრავლესობას დამართა თვისუფალი საფინანსო ბაზრების ღირებებში უზომო რწმენამ, განვითარებადი ქვეყნების მთავრობებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ სწრაფი და ყოვლისმომცველი ფინანსური ლიბერალიზაციის ილუზორულ უპირატესობასთან დაკავშირებით. ეს წინადადებები გახდება თავდასხმის ობიექტი, როგორც ანტი-საბაზრო და ზრდის შემაფერხებელი. მაგრამ არგუმენტები ზრდის შეფერხების თაობაზე ეფუძნება ილუზიას, რომ კრედიტების სწრაფი ზრდა აუცილებელია ეკონომიკური ზრდისთვის და აგრეთვე ეფუძნება იმის უუნარობას, რომ გაცნობიერების, რომ მზარდი საკრედიტო მხარი გარდუვალად გამოიწვევს კრიზისს და პოსტკრიზისულ რეცესიას. ხოლო ანტისაბაზრო არგუმენტები ახდენენ იმ რეალობის იგნორირებას, რომ ყველა საფინანსო ბაზარი არასრულყოფილია, ხოლო საბანკო საქმის ბაზარი - ყველაზე მეტად არასრულყოფილია. ირვინგ ფიშერი და ჰენრი საიმონსი იყვნენ თავისუფალი ბაზრის მომხრეები და სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი სახელმწიფო ინტერვენციების მიმართ. მაგრამ ისინი მიიჩნევდნენ, რომ კრედიტების და ფულის შექმნის პროცესები შინაგანი ბუნებით იმდენად განსხვავდებიან სხვა პროცესებისაგან და იმდენად არიან სოციალური, რომ მათთან მიმართებაში არ უნდა იყოს გამოყენებული თავისუფალი ბაზრის პრინციპები.

ისინი მართებულად მიიჩნევენ, რომ კრედიტების შექმნა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია იმისათვის, რომ მხოლოდ ბანკირებს მივანდოთ იგი.“ [16, გვ. 10].

8. არსებობს უფრო რადიკალური პროექტებიც. ერთ-ერთი ასეთი პროექტია „სუვერენული ფულის სისტემა“. წინა პროექტი, ისევე როგორც 100%-იანი საბანკო რეზერვების განახლებული პროექტი, გულისხმობენ ფულადი მიმოქცევის ორ ნაწილად გაყოფას. ერთი გულისხმობს ფულს, რომელიც მიმოქცევაშია (საბანკო დეპოზიტები), ხოლო მეორეა ფული, რომლითაც ბანკები სარგებლობენ ერთმანეთთან ანგარიშსწორებისთვის (ცენტრალური ბანკის რეზერვები, რომლებიც არ არიან ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის). ამ სისტემაში ბანკებს ჯერ კიდევ შეუძლიათ ფულის შექმნა, ხოლო სუვერენული ფულის სიტემა გულისხმობს ფულის მიმოქცევის მხოლოდ ერთ სისტემას. დეპოზიტების და კრედიტების ნაცვლად მიმოქცევაში იქნება მხოლოდ ცენტრალური ბანკის მიერ გამოშვებული სუვერენული ფული. ამიტომ ბანკები ვეღარ შეძლებენ ახალი ფულის შექმნას და ამის უფლება ექნება მხოლოდ სახელმწიფოს. [20], [46].

„სუვერენული ფულის“ პროექტის მიზანი არის იგივე, რაც 100%-ანი რეზერვების პროექტის შემთხვევაში. კერძოდ, ბანკების მიერ ფულის შექმნის შეწყვეტა დაკრედიტების პროცესში. მაგრამ ამ მიზნის მიღწევის ხერხი განსხვავებულია. 100%-იანი რეზერვების შემთხვევაში ბანკებს აიძულებენ დეპოზიტების საპირწონედ შეინახონ რეზერვები. მაგრამ ეს არ არის მიზნის მიღწევის გარანტი. 100%-იანი რეზერვების პირობებში ბანკები ჯერ კიდევ შეძლებენ ფულის შექმნას. რატომ? იმავე მიზეზით, რის გამოც ნაწილობრივი რეზერვების კოეფიციენტი ვერ ზღუდავს ფულის შექმნას. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ცენტრალური ბანკები ყოველთვის აკმაყოფილებენ კერძო ბანკების მოთხოვნას რეზერვებზე. ამიტომ, 100%-იანი რეზერვების პირობებშიც კერძო ბანკები შეძლებენ ახალი ფულის შექმნას

კრედიტების გაცემისას და შემდეგ ცენტრალური ბანკებიდან მოთხოვნილი რეზერვების მიღებას. ამისგან განსხვავებით, სუვერენული ფულის სიტემაში ფულის მიმოქცევა არ არის ორად გახლეჩილი და იარსებებს მხოლოდ ერთი ფულადი მასა, რომელიც მიმოქცევაში იქნება, როგორც საბანკო სისტემის შიგნით, ისე მის გარეთ.

9. სუვერენული ფულის სისტემის არსი მდგომარეობს შემდეგში: როგორც ნაღდი ფულის, ისე ელექტრონული ფულის შექმნის უფლება მინიჭებული იქნებათ მხოლოდ ცენტრალურ ბანკებს. კერძო ბანკები უწინდებულად შეძლებენ კრედიტების გაცემას, მაგრამ ამ პროცესში ვერ შეძლებენ ახალი ფული შექმნას. ისინი შეასრულებენ ორ ფუნქციას: 1) გადახდის ფუნქციას: ეკონომიკურ სუბიექტებს შორის გადახდების ადმინისტრირება და ფულის უსაფრთხოდ შენახვა; 2) დაზოგვის და დაკრედიტების ფუნქციას: შეასრულებენ შუამავლის ფუნქციას დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის.

გადახდის ფუნქციის შესასრულებლად ბიზნესს და მოქალაქეებს ექნებათ გახსნილი **ტრანსაქციების ანგარიშები** (Transaction Accounts). ამ ანგარიშებზე სახსრები იქნება ცენტრალური ბანკის მიერ შექმნილი ელექტრონული სუვერენული ფული, და არა კერძო ბანკების მიერ შექმნილი დეპოზიტები. ამ სახსრების შენახვა მოხდება ცენტრალურ ბანკში ელექტრონული ფორმით და იურიდიულად იქნება კლიენტის საკუთრებაში. ტრანსაქციების ფონდები მთლიანად განთავისუფლდება რისკისაგან, რადგან ბანკები ვერ შეძლებენ მის ინვესტირებას. ბანკები დანერგავენ გადახდების სისტემებს (მაგალითად, საჩეკო წიგნაკები, სადებეტო ბარათები, ინტერნეტ-ბანკინგი და ბანკომატები), რომლებიც საშუალებას მისცემენ კლიენტებს გამოიყენონ თავისი სუვერენული ფული გადახდებისათვის. ეს ანგარიშები იქნება უპროცენტო და ამ მომსახურებისათვის ბანკები აიღებენ საფასურს კლიენტებისაგან.

ბანკების საშუამავლო ფუნქცია განხორციელდება *საინვესტიციო ანგარიშების* (Investment Accounts) მეშვეობით. კლიენტს, რომელსაც ექნება დაზოგვის ან ინვესტირების სურვილი პროცენტების მისაღებად, მოუწევს სახსრების გადარიცხვა თავისი ტრანსაქციების ანგარიშიდან *საინვესტიციო ფონდში* (Investment Fund), რომელიც ეკუთვნის ბანკს. ბანკი თავისი კლიენტისათვის შექმნის საინვესტიციო ანგარიშს, რომელიც წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას, და ბანკი პასუხისმგებელია კლიენტისათვის სახსრების დაბრუნებაზე შეთანხმებულ ვადებში. [20]

ბანკების ფუნქცია იქნება საინვესტიციო ანგარიშების მფლობელთა ფულადი სახსრების გაერთიანება, ამ სახსრებით მსესხებლების დაკრედიტება სხვადასხვა მიზნებისათვის და, ამგვარად, რისკების დივერსიფიცირება მენაბრეთა ინტერესებში. საინვესტიციო ანგარიშები არ იქნება დაზღვეული სახელმწიფოს მიერ და ამიტომ მოექცევიან რისკის ქვეშ, ხოლო რისკებს გაინაწილებენ ბანკები და კლიენტები. მარეგულირებელი ორგანოები დააწესებენ სავალდებულო ნორმებს ბანკების საკუთარ კაპიტალთან დაკავშირებით და გამოიყენებენ სხვა შემზღვევით ზომებს საინვესტიციო ანგარიშებთან დაკავშირებით, რათა თავიდან აიცილონ ბანკების უგუნური ქმედებები. ამგვარად, ბანკები რეალურად გახდებიან ჭეშმარიტი შუამავლები, ანუ ისეთი შუამავლები, როგორცაა დღეს მათ შეცდომით მიიჩნევენ საზოგადოების უმრავლესობა.

ცენტრალური ბანკი პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ ახალი ფულის შექმნისათვის იმ რაოდენობით, რომელიც აუცილებელია არაინფლაციური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. იგი შეძლებს უშუალოდ არეგულიროს ფულის შექმნის პროცესი და ამისათვის არ დასჭირდება საპროცენტო განაკვეთის გამოყენება, რათა გავლენა იქონიოს კერძო ბანკების მიერ კრედიტების და ფულის შექმნის პროცესზე (როგორც ეს ხდება დღეს) [46, გვ. 7-8].

„მხოლოდ პატარა საიდუმლო საჭიროებს დაცვას. დიდი საიდუმლო დაცულია იმით, რომ იგი დაუჯერებელია ბრბოსათვის.“

მარშალ მაკლაჰანი, მედია - „გურუ“.

„ჩვენ მადლობას ვუხდით „ვაშინგტონ პოსტს“, „ნიუ-იორკ ტაიმსს“, ჟურნალ „ტაიმსს“ და სხვა გამომცემლობებს, რომელთა რედაქტორებიც ესწრებოდნენ ჩვენს შეკრებებს და 40 წლის განმავლობაში ერთგულად ასრულებდნენ პირობას არ გაემხილად საიდუმლო. ჩვენთვის შეუძლებელი გახდებოდა ჩვენი გლობალური გეგმის განვითარება, თუ ამ წლების განმავლობაში მოვექცეოდით პრესის პროექტორების შუქში. მაგრამ თანამედროვე მსოფლიო მზად არის მსოფლიო მართველობაზე გადასასვლელად. ინტელექტუალური ელიტის და მსოფლიო ბანკირების ზენაციონალური ბატონობა ცალსახად აღემატება ეროვნულ თვითგამორკვევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასულ საუკუნეებში.“

დევიდ როქველერი, სამხრევი კომისიისადმი მიმართვიდან, 1991 წ.

დასკვნა

1. სახელმძღვანელოების თანახმად: 1) ბანკები არიან უბრალო შუამავლები დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის; 2) ბანკები კრედიტებს გასცემენ მეწარმეებზე ბიზნეს-პროექტებში ინვესტირების მიზნით. როგორც ვნახეთ, არც პირველი, არც მეორე დებულება არ შეესაბამება სინამდვილეს. ბანკები არიან არა შუამავლები, არამედ ისინი თვითონაც ქმნიან და ანაწილებენ ფულს დაკრედიტების პროცესში. ხოლო საწარმოო ინვესტიციების მიზნებზე გაიცემა კრედიტების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი.

კრედიტების ძირითადი მასა გაიცემა უძრავი ქონების შესაძენად, სპეკულაციების და მოხმარების დასაფინანსებლად. ბანკების ასეთი საქმიანობა მომგებიანია მათთვის, მაგრამ არ არის მომგებიანი საზოგადოებისთვის. მაგრამ საზოგადოება არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, რომ საბანკო სისტემა სრულიად ლეგალურად ახდენს საზოგადოების მსყიდველობითი უნარის გადანაწილებას თავის სასარგებლოდ და პრაქტიკულად უსასყიდლოდ და ფარულად ითვისებს საზოგადოების მიერ შექმნილ დოვლათს.¹⁸

¹⁸ „რიგით მოქალაქეებს ალბათ არ მოეწონებათ, თუ მათ ეტყვიან, რომ ბანკებს შეუძლიათ ფულის შექმნა და ქმნიან ფულს ... და ისინი, ვინც აკონტროლებს ერის ფულს, მართავენ მთავრობის პოლიტიკას და ხელში უჭირავთ ადამიანების ბედი.“ **რეჯინალდ მაკკენა**, ინგლისის მიდლენდის ბანკის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე. ციტ. წყარო [3]. „... ბანკირი, საბოლოო ანგარიშით, ითვისებს ამ სახსრებს და მიიჩნევს მათ თავის საკუთრებად. მოკლედ, ბანკები აგროვებენ უდღეს სიმდიდრეს ძირითადად საგადახდო საშუალებების შექმნის წყალობით და სხვა პირთა საზარალოდ. მაგრამ, ბანკების მიერ მიყენებული ზიანი, რომელიც მდგომარეობს თანდათან ფარდობითი მსყიდველობითი უნარის შემცირებაში, ძალიან განზოგადებულია და განზავებულია. ეს პროცესი მიმდინარეობს პერმანენტულად და დაკავშირებულია საბანკო სისტემაში გადახდის საშუალებების არაფრიდან შექმნასთან. სიმდიდრის შეუჭრებელი გადანაწილება ბანკირების სასარგებლოდ ხდება მუდმივად, სანამ საბანკო მეწარმეობა არ განიცდის რაიმე რყევებს და აქტივები განაგრძობენ ბანკირების ბალანსების ზრდას კრედიტების და ინვესტიციების ფორმით, რომლებიც გამყარებულია არაფრიდან შექმნილი დეპოზიტებით.“ [14, გვ. 153] „ეს ორივე საქმიანობა (დეპოზიტების შექმნა და ბანკოტების ემისია) ახდენს მნიშვნელოვანი აქტივების გენერირებას ბანკებისათვის, რომლებიც თანდათან ართმევენ ამ სიმდიდრეს ბაზრის ყველა სხვა მონაწილეს ისეთი პროცესის მეშვეობით, რომლის ვერც გაგება, და ვერც იდენტიფიცირება საბაზრო აგენტებს არ შეუძლიათ, - პროცესისა, რომელიც იწვევს ამ საზოგადოებაში გამოყენებული ფულის ერთეულის მსყიდველობითი უნარის შეუმჩნეველ დაქვეითებას. საკრედიტო ექსპანსია ხორციელდება ახალი დეპოზიტების და ბანკოტების შექმნით, და რადგან საზოგადოების სუბიექტური თვალსაზრისით ისინი ითვისებენ ფულად, ამიტომ, ნორმალურ პირობებში ისინი არასოდეს იქნება ამოღებული. ამ გზით ბანკები ითვისებენ უზარმაზარ სიმდიდრეს, რომლებსაც ისინი, საბუღალტრო თვალთახედვით, უზრუნველყოფენ დეპოზიტებით და ბანკოტებით, რაც საშუალებას აძლევს მათ შენიღბონ ის ფაქტი, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, ბანკები არიან ერთადერთი ბენეფიციარები, რომლებიც de facto დებულობენ მთელ მოგებას ამ აქტივებიდან. ამგვარად, მათ აღმოაჩინეს ფინანსირების უმრეტე წყარო, რომლის დაბრუნებასაც, როგორც ჩანს,

2. „საბჭოთა იმპერიის“ დაშლის შემდეგ ეკონომიკური გარდაქმნებისათვის ეკონომიკურმა მეცნიერებამ ვერაფერი უკეთესი ვერ შესთავაზა გათავისუფლებულ ქვეყნებს გარდა „ვაშინგტონის კონსენსუსის“ იდეებისა, თავისი: „შოკური თერაპიის“, პრივატიზაციის, ფასების გათავისუფლების და სხვ. რეცეპტებით. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი მრავალ პრობლემას, რომლის წინაშეც დღეს დგას საქართველო. და მართლაც, თუ გარდაქმნების პირველ წლებში „შოკური თერაპია“ და პრივატიზაცია იყო „ლედვის ფოთოლი“ აშკარად კრიმინალური მოქმედებებისთვის და ხალხის გამარცხისთვის, თანამედროვე საბანკო სისტემა უკვე სრულიად ლეგალურად აგრძელებს ხალხის ძარცვას ყველას თვალწინ. და ისევე, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, ეს შესაძლებელი გახდა რთულად ორგანიზებული საფინანსო სისტემის წყალობით, რომელიც აგებულია ნეოკლასიკური თეორიის მანეტარისტულ იდეებზე. მაგრამ სათანადო პროფესიული ცოდნის გარეშე საზოგადოებას არ შეუძლია თვითონ გაერკვეს ფინანსური პროცესების სირთულეებში. არც ეკონომიკურ სახელმძღვანელოებში წერია იმის შესახებ, თუ სინამდვილეში რა ხდება საბანკო სისტემაში.

3. „აპრილის ყოველთვიურ ანგარიშში ბუნდესბანკი დაგვიანებით დაეთანხმა ინგლისის ბანკს და ნათლად განაცხადა, რომ სახელმძღვანელოების უმრავლესობაში ბანკების და ფულის შექმნის პროცესის ინტერპრეტაცია მცდარია: ბანკები არ არიან შუამავლები; ისინი ქმნიან ფულს ex-nihilo (არაფრიდან).“ [47, გვ.7]. ისღა დაგვრჩენია ვიმედოვნოდ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი გაიმეორებს ინგლისის და გერმანიის ცენტრალური ბანკების მაგალითს და გააკეთებს სათანადო განცხადებას (ეს შეესაბამება მის „დასავლური სტანდარტების დანერგვის“ პოლიტიკას). სახელმძღვანელოებში (ასევე თვით ეროვნული ბანკის

მათ არ მოსთხოვენ, ანუ „სესხი“, რომელიც მათ არასოდეს უნდა დააბრუნონ (არსებითად „საჩუქარი“).“ [14, გვ.188].

ოფოციალურ საიტზე) ამ საკითხების არასწორი ინტერპრეტაციის აღიარება ჩაითვლებოდა პირველ ნაბიჯად სწორი მიმართულებით. ადრე თუ გვიან, მისი ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა საქართველოში აბსურდული, სოციალურად უსამართლო და ეკონომიკურად მადესტაბილიზირებელი საბანკო სისტემის რეფორმირების გზების ძიება; მეორეც, ახალი სახელმძღვანელოების შექმნა და ეკონომიკური განათლების მოძველებული სისტემის რეფორმა; და მესამეც, საზოგადოების ინფორმირება კომერციული ბანკების რეალური საქმიანობის და მათი დამანგრეველი შედეგების შესახებ.

4. საქართველომ შექმნა ფულად-საკრედიტო და საბანკო სისტემის დასავლური მოდელი, ატარებს ანალოგიურ პრინციპებზე დაფუძნებულ მონეტარულ პოლიტიკას, და წარმოშვა ანალოგიური პრობლემები და ფინანსური დესტაბილიზაციის რისკები. სამწუხაროდ, თუ ვიმსჯელებთ სამეცნიერო პუბლიკაციების, განცხადებების და მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით, საქართველოში მრავალი მეცნიერი, პოლიტიკოსი და მთლიანად საზოგადოება, სათანადოდ ვერ აცნობიერებენ ამ პრობლემების სერიოზულობას. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ამ პრობლემების გადაჭრა საჭიროებს იმდენად ძირფესვიან რეფორმებს, და ეხება იმდენად გავლენიანი ჯგუფების ინტერესებს, რომ მათი წინააღმდეგობის გადალახვას რეფორმატორები შეძლებენ მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერით. ამიტომ, საჭიროა ამ საზოგადოებრივი აზრის შექმნა. ამისთვის ერთ-ერთ მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს ეკონომიკური განათლების არსებული სისტემა. ეკონომიკურ მეცნიერებაში დღეს არსებული 20-ზე მეტი მიმდინარეობიდან, ეკონომიკურ ფაკულტეტებზე ასწავლიან მხოლოდ ერთს, ისიც სრულიად დისკრედიტირებულს, და თანაც, ასწავლიან სამ საფეხურად, მასალის თანდათან

გართულებით, რასაც ეთმობა უამრავი სალექციო საათები ¹⁹ (დაახლოებით ასე ხდება სხვა ქვეყნებშიც, თუმცა ზოგიერთ წამყვან უნივერსიტეტში უკვე გაიხსნა ჰეტეროდოქსული თეორიების კათედრები. მაგალითად, ლონდონის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ასეთ კათედრას ხელმძღვანელობს სტივი კინი.)

ეკონომიკურ განათლებაში შექმნილი ეს აშკარა აბსურდული სიტუაცია შეუძლებელია იყოს შემთხვევითი. ეკონომიკური განათლება არის საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების და ეკონომიკური ძალაუფლების შენარჩუნების მძლავრი იარაღი. რატომ დომინირებს საქართველოში რეალობას მოწყვეტილი „ეკონომიქსის“ სწავლება? მთავარ მიზეზად სახელდება ის, რომ ასე ხდება მთელს მსოფლიოში. ამასთან, არაფერი ითქმება „ეკონომიქსის“ სწავლებასთან დაკავშირებით უპრეცედენტო მასშტაბის პროტეს-

¹⁹ „ეკონომიქსის“ სწავლება მომდინარეობს სამ დონეზე, მასალის თანადათან გართულებით, რთული მათემატიკური აპარატის გამოყენებით. „დღეს უკვე თითქმის ყველასათვის ცხადია, ... რომ ჩვენი კოლექტიური უუნარობა დაგვეწახა კატასტროფა მის გაჩენამდე და ის ფაქტი, რომ სისტემა, რომელიც ჩამოიშალა, იყო შეკერილი ისე, რომ შესაბამისობაში მოყვანილიყო მეინსტრიმის სწავლებასთან, ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, სახელმძღვანელებმა, რომელითაც ვსარგებლობთ, და კურსებმა, რომლებსაც ვასწავლით, მისცეს თავშესაფარი ფუნდამენტალურ ილუზიებს იმის თაობაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა, და განსაკუთრებით მისი ბაზრები. ხოლო ეკონომიქსში არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სწავლება, რადგან, როგორც ერთხელ აღნიშნა უფროსმა გელბრეიტმა, ეკონომიქსი პირველ რიგში არის სწავლების პროფესია. ეს ბუნებრივად ხდის ეკონომიქსს საწყის წერტილად როგორც იმის ანალიზისათვის, თუ როგორ მოხდა, რომ ასე სამინლად ცუდად განვითარდა ეკონომიქსი, და რა შეიძლება გაკეთდეს, რომ მომავალში მან ხელი არ შეუწყოს ადამიანურ კატასტროფებს. ათწლეულზე მეტია გრეგორი მენქიუს „ეკონომიქსის პრინციპები“, თავის ხუთ ვერსიაში, მთელს მსოფლიოში აღიარებულია ძირითად დომინირებულ სახელმძღვანელოდ. ასევე მისი ავტორი, როგორც პრეზიდენტ ბუშის ეკონომიკური მრჩეველების კომისიის თავმჯდომარე 2003 წლიდან 2005 წლამდე, უშუალოდ იყო ჩართული კატასტროფის ინჟინერინგში. ამიტომ, მენქიუს სახელმძღვანელო მიმაჩნია იდეალურ ადგილად იმ გასაღების, აზრთა წყობის, ძაფის საძიებლად, თუ როგორ მოხდა, რომ ეკონომიკური პროფესია, ასევე საზოგადოება, რომელსაც იგი ასწავლის, გახდნენ იმდენად უმეცარი, დეზინფორმირებული და უყურადღებო იმის თაობაზე, თუ როგორ ფუნქციონირებენ ეკონომიკები რეალურ სამყაროში.“ [48, გვ. 2].

ტის შესახებ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტების, პროფესორის და ცნობილ მეცნიერთა მხრიდან.²⁰

5. პირველი ნაბიჯი, რომელიც ინდა გადაიდგას იმისათვის, რომ საზოგადოება გათავისუფლდეს იმ თავსმოხვეული ეკონომიკური ილუზიებისგან, რომლის მეშვეობითაც ხდება მისი მანიპულირება და ქვეყნის ეკონომიკის არასწორი გზით განვითარება, არის ეკონომიკური განათლების რადიკალური რეფორმა. სხვა დისციპლინებისგან გასხვავებით ეკონომიკურ თეორიაში ღრმა კრიზისის გამო სამწუხაროდ დღეისათვის არ არსებობს ერთიანი პარადიგმა, რომელსაც უნდა იზიარებდეს დარგის მეცნიერთა დიდი უმრავლესობა. ასეთ ვითარებაში ერთად-ერთი გამოსავალია ნაცვლად დისკრედიტირებული „ეკონომიქის“ სამსაფეხურიანი სწავლებისა, რომელსაც ეთმობა უამრავი სალექციო დრო, უმჯობესია ეს დრო გადანაწილდეს შედარებით გავლენიანი ალტერნატიული ჰეტეროდოქსული მიმდინარეობების შესასწავლად. ეს თეორიები (ინსტიტუციონალიზმი, ახლი კეინზიანელები, ნეოავსტრიული სკოლა, ნეომარქსისტული თეორია, ინოვაციური ეკონომიკური თეორია, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიქი, ეკონომიკური კიბერნეტიკა, ნეოეკონომიქი და სხვ.) შეიცავენ მრავალ ძალზე სინტერესო

²⁰ არაფერს ამბობენ მსოფლიოში მიმდინარე სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობაზე, რომელშიც უკვე 2014 წელს იყო გაერთიანებული 30 ქვეყნიდან მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების 65 სტუდენტური ორგანიზაცია; სამეცნიერო ცენტრების შესახებ, მათ შორის ჯორჯ სოროსის მიერ დაფუძნებულ „ახალი ეკონომიკური აზროვნების ინსტიტუტზე“, რომლებიც შეიქმნენ სპეციალურად ალტერნეტიული ეკონომიკური პარადიგმის შესამუშავებლად; იმის შესახებ, რომ 2008 წელს აშშ-ის კონგრესშიც კი განიხილეს ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული მდგომარეობა და მისი უუნარობა მსოფლიო კრიზისის პროგნოზირების თაობაზე; იმის შესახებ, რომ ინგლისის პარლამენტშიც კი განიხილებოდა საბანკო სისტემის ძირფესვიანი რეფორმირების საკითხი ფულის და კრედიტის ახალი მეცნიერული გაგების საფუძველზე; არაფერს ამბობენ უამრავ კონფერენციებზე, სამეცნიერო შრომებზე თუ პუბლიცისტურ წერილებზე, რომლებიც ეძღვნება ღრმა კრიზისს ეკონომიკურ მეცნიერებაში და ახალი ეკონომიკური პარადიგმის შემუშავების აუცილებლობას; ეკონომიკური განათლების პროგრამებში რადიკალური ცვლილებების შეტანის აუცილებლობას და ა.შ.

იდეას და მათი სწავლება ხელს შეუწყობს როგორც მომავალი ეკონომისტების და პოლიტიკოსების შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ასევე, უფრო სრული წარმოდგენის შექმნას ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობის თაობაზე. ნებისმიერ შემთხვევაში მიუღებელია XXI საუკუნეში უნივერსიტეტებში *a priori* მცდარი თეორიის სწავლება და, ფაქტიურად, მეცნიერების სახელით „სიცრუის ქადაგება“.

6. საქართველო უნდა გახდეს დასავლური სამყაროს ნაწილი და სავსებით ცხადია, რომ ჩვენთვის არ არსებობს სხვა ალტერნატივა. მაგრამ, ამასთან საჭიროა ვაცნობიერებდეთ, რომ დასავლური ცივილიზაციის მრავალ სიკეთესთან ერთად საქართველოს მოუწევს იმ პრობლემებთან დაპირისპირება, რომლებიც თან სდევს ამ ცივილიზაციას. გარდა იმისა, რაც მართლაც ღირებულია და მიბაძვის ღირსია, დასავლეთში მრავლად არის ისიც, რაც სრულიად მიუღებელია საქართველოს ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურისა თუ ზნეობისათვის. ამიტომ, საჭიროა დასავლური კანონების, ინსტიტუტების და სხვა ატრიბუტების არა მექანიკური კოპირება. საჭიროა ძალისხმევა, რომ გადმოვიღოთ მხოლოდ ჩვენს თვითმყოფადობასთან თავსებადი, და ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი დასავლური ფასეულობები; ვაღიაროთ საკუთარი შეცდომები და პრობლემები; ვიქონიოთ ადეკვატური რეაგირება მათზე. დასავლეთი არ არის მხოლოდ ის, რასაც აცხადებენ და აკეთებენ პოლიტიკოსები, არამედ ისიც, რასაც ფიქრობენ, ამბობენ და აკეთებენ ისინი, ვინც აკრიტიკებს მათ, ისინი ვინც არ ეგუება უსამართლობას, სისატიკეს და ძალადობას, რასაც არ არის მოკლებული დასავლური სამყარო ისევე, როგორც მთელი დანარჩენი სამყარო. დასავლეთი ასოცირდება თავისუფლების სულისკვეთებასთან, საკუთარ ბედზე პასუხისმგებლობასთან, პირივნების ლეგიტიმური ინტერესების და სოციალური სამართლიანობის დაიცვის მზაობასთან. თუ გვინდა გავხდეთ დასავლური სამყაროს ღირსეული ნაწილი და არა მისი

მახინჯი დანამატი, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მართალია დასავლეთი გვეხმარება რუსეთის იმპერიული ზრახვებისაგან დაცვაში, მაგრამ იგი ვერ დაგვიცავს ჩვენ ჩვენივე თავისაგან. როგორ გავაკეთოდ ეს? ამის სწავლაც დასავლეთისგან გვმართებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- [1]. Werner R., Where money comes from..
<https://www.youtube.com/watch?v=r7qOuY9ZJ8w>
- [2]. Ryan-Collins J., Greenham T., Werner R., Jackson A.. 2012. Where Does Money Come From? A Guide to the UK Monetary and Banking System. www.positivemoney.org.
- [3]. Grignon P., 2009. "Money as Debt". www.moneyasdebt.net
- [4]. Fisher I. 100% Money and the Public Debt. Michael Schemmann ThaiSunset Publications, 2009. <http://www.thaisunset.com/>
- [5]. Keen S.. The Roving Cavaliers of Credit. January 31, 2009, Debtwatch. <http://www.debtdeflation.com/blogs/2009/01/31/therovingcavaliersofcredit/>
- [6]. Benes J., Kumhof M. The Chicago Plan Revisited. International Monetary Fund, August 2012. WP/12/202. <http://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2012/wp12202.pdf>.
- [7]. Turner A., Credit, Money and Leverage: What Wicksell, Hayek and Fisher Knew and Modern Macroeconomics Forgot. Stockholm School of Economics Conference on: "Towards a Sustainable Financial System", Stockholm, 12 September 2013.
- [8]. Stiglitz J., Weiss A. Credit rationing in markets with imperfect information, *American Economic Review*, vol. 71, no. 3, 1981, pp. 393–410.
- [9]. Schumpeter, J. Die Theorie der wirtschaftlichen Entwicklung. Leipzig: Duncker und Humblot. 1912, p. 225. ციტი. წყარო: Richard A. Werner. A lost century in economics: Three theories of banking and the conclusive evidence, *International Review of Financial Analysis* 46 (2016) 361-379.
- [10]. Werner R., New Paradigm in Macroeconomics : Solving the Riddle of Japanese Macroeconomic Performance. PALGRAVE MACMILLAN, New York, N.Y. 2005.
- [11]. Stiglitz J. Information and the Change in the Paradigm in Economics. Prize Lecture, December 8, 2001.
- [12]. Barkley Rosser Jr., *A Nobel Prize for Asymmetric Information: The Economic Contributions of George Akerlof, Michael Spence, and Joseph Stiglitz*. *Review of Political Economy*, Volume 15, 2003, Issue 1.
- [13]. Editorial. Don't Mention the Reerve Ratio. http://www.islamic-finance.com/item113_f.htm
- [14]. де Сото У. Х. Деньги, банковский кредит и экономические циклы. Челябинск: Социум, 2008.

- [15]. *Reinhart C., Rogoff K.*, Financial and Sovereign Debt Crises: Some Lessons Learned and Those Forgotten, IMF Working Paper, December 2013, WP/13/266.
- [16]. Turner A. *Between Debt and Devil: Money, Credit, and Fixing Global Finance.* Princeton University Press, 2016.
- [17]. Minsky, H. "The Modeling of Financial Instability: An introduction". Modeling and Simulation. Proceedings of the Fifth Annual Pittsburgh Conference, 1974.
- [18]. Keen S., *Debunking Economics – Revised, Expanded and Integrated Edition: The Naked Emperor Dethroned?* Zed Books Ltd, New York, NY, 2011.
- [19]. Minsky, H. *Can 'It' Happen Again?: Essays on instability and finance,* Armonk, NY: M. E. Sharpe, 1982.
- [20]. Dyson B., Hodgson G., van Lerven F., *Sovereign Money. An Introduction.,* Positive Money, December, 2016, www.positivemoney.org.
- [21]. Stiglitz, J. *The Price of Inequality: How Today's Divided Society Endangers Our Future.* W. W. Norton & Company, 2012.
- [22]. OXFAM, Briefing paper, Working for the Few, 20 January, 2014. www.oxfam.org.
- [23]. Human Development Report 2015. (UNDP).
- [24]. Schumpeter, J. *History of Economic Analysis,* New York: Oxford University Press, 1954.
- [25]. Mauss M., *The Gift,* London: Cohen & West, 1966.
- [26]. Humphrey C., Barter and Economic Disintegration *Man*, 20 March, 1985.: pp.48-72.
- [27]. Davies G., *A History of Money.* Cardiff: University of Wales Press. 2002, pp. 50-55.
- [28]. Grierson, P., *The Origins of Money,* London: Athlone Press, 1977.
- [29]. Knapp, G. F., *The State Theory of Money.* London: Macmillan. 1905.
- [30]. Innes M. The Credit Theory of Money. *The Banking Law Journal*, Vol.31, 1914, Dec./Jan., pp. 151-168.
- [31]. Ferguson, N., *The Ascent of Money: A Financial History of the World.* London: Penguin, 2008.
- [32]. MacLeod, H. D. *The Theory and Practice of Banking,* 2 vols., London: Longman, Greens and Co., 1856. (citations from the 6th edition of 1906).
- [33]. Davenport, H. J. *The Economics of Enterprise.* New York: Augustus M. Kelley, 1913.
- [34]. Cassel, G. *The Theory of Social Economy.* T. Fisher Unwin., 1923.
- [35]. James, F. C. *The Economics of Money, Credit and Banking* New York: Ronald Press Co. 1930.

- [36]. Fisher, I. 100% Money. New York: The Adelphi Company, 1935.
- [37]. Werner R. A lost century in economics: Three theories of banking and the conclusive evidence. *International Review of Financial Analysis* 46, 2016, 361–379.
- [38]. Friedman, M. The quantity theory of money – a restatement, in Milton Friedman (ed.), *Studies in the Quantity Theory of Money*, Chicago: University of Chicago Press, 1956.
- [39]. Pollexfen, J. *A Discourse of Trade, Coyn, and Paper Credits: and of Ways and Means to Gain, and Retain Riches*, London: Brabazon Aylmer, 1697.
- [40]. Law, J. *Money and Trade Consider'd with a Proposal for Suppllying the Nation with Money*, 1720.
(Цит. по: Richard A. Werner. A lost century in economics: Three theories of banking and the conclusive evidence. *International Review of Financial Analysis* 46, 2016, pp. 361–379)
- [41]. Thornton, H. *An Enquiry into the Nature and Effects of the Paper Credit of Great Britain*, London: Hatchard, 1802.
- [42]. Haldane, A. What have the economist ever done for us? Blogpost VOX.EU, October 1, 2012.
- [43]. Turner A. A new era for monetary policy - Adair Turner. 17 Febr, 2015.
<https://www.youtube.com/watch?v=UVQdeb0EdWA>
- [44]. Werner R. Banking for the bankers vs. banking for the community. *Banking and money reform conference*. Dublin, Ireland - 29 April 2016.
- [45]. Sovereign Money and full reserve banking proposals aren't one and the same.
<http://positivemoney.org/2017/04/sovereign-money-is-not-full-reserve-banking/>
- [46]. Dyson B., Jackson A., Hodgson G. *Creating a Sovereign Monetary System*. Positive Money, London, Davina House, 15th July 2014, pp. 7-8.
www.positivemoney.org
- [47]. Haering N. Bundesbank rejects 100%-money based on sophistry and false claims. May 11, 2017. <http://norberthaering.de/en/32-english/news/830-buba-100-percent-money>.
- [48]. Fullbrook E.. Toxic Textbooks. In *The Handbook of Pluralist Economics Education*, ed. Jack Reardon. London and New York: Routledge. 2009.
<http://www.toxictextbooks.com/ToxicTextbooksFullbrook.htm>
- [50]. Маркс К., Энгельс Ф. Соч. Изд. 2-е., Т. 25, ч.2. М. Госполитиздат, 1962, с. 92
- [51]. Howe, R. H. *The Evolution of Banking; A study of the development of the credit system*. Chicago: C. H. Kerr & Company.1915